*მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა...*

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების გაზეთი

№ 1, ოქტომბერი, 1992 წელი, ფასი 5 მან.

# აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები



კარგად მახსოვს, ე. წ. „აფხაზური წერილით“ გამოწვეული 1989 წლის აჟიოტაჟი, რომელსაც თან დაერთო ისევ ე. წ. „ლიხნის შეკრება“, რომელზედაც აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს თითქმის ყველა წევრი შეგნებულად თუ შეუგნებლად ბაიყუშებივით გამოცხადდა და ყველა აფხაზმა ერთხმად მოაწერა ხელი ე. წ. ლიხნის ცნობილ დეკლარაციას, რომელიც ფაქტიურად პირველი დოკუმენტური ცდა იყო აფხაზეთის საქართველოდან გამოსვლისა.

ეს იყო არაპირველი და არაუკანასკნელი პროვოკაციული დოკუმენტი, შედგენილი აფხაზი სეპარატისტების მიერ, რომელიც საფუძველს უმზადებდა იმ სისხლიან დღეებს, 1989 წლის 15 ივლისით რომ დაიწყო და 1992 წლის 14 აგვისტოთი გაგრძელდა...

ბული გახდა სოხუმში ჩამობრძანებულიყო.

შეხვედრა შედგა პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაში. შეხვედრაზე, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, აფხაზური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები იყვნენ უმრავლესობა. ჩვენი ინტელიგენციიდან შეხვედრაზე მხოლოდ რამდენიმე ე. წ. ნეიტრალური პიროვნება იყო მოწვეული. მაგრამ მოხდა ისე, რომ ვილაცამ სიაში მოგვიანებით რამდენიმე ქართველი მწერალიც შეიტანა, მათ შორის მოვხვდი მეც. საოლქო კომიტეტის შესასვლელ კარებთან მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული ..და ჩვენ, სიაში დამატებით ჩაწერილები, მანამდე არ გაგვატარეს, ვიდრე „ზემოდან“ არ დარეკეს.

ამ შეხვედრის შესახებ აფხაზი სეპარატისტები და ექსტრემისტები და მისი გამოხტომები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის (მაშინ კანდიდატის) ბატონი ზურაბ პაპასკირის გამოსვლის დროს. იგი, უკმაყოფილო იმით, რომ ბატონი ზურაბი ისტორიული ფაქტებითა და ციტატებითაც კი მისთვის ჩვეული სიდინჯით ამტკიცებდა აფხაზეთის მარადიულ განუყოფელობას საქართველოდან, ხშირად უხეშად აწყვეტინებდა სიტყვას შეძახილით „ნიუჩ, ნიუჩ, ნიუჩ...“

მე კი ამ მოიერიშეზე პირიქით შემექმნა სწორედ ნიუჩის შთაბეჭდილება...

ბოლოს და ბოლოს ვერ აიტანა ჯუმბერ პატიაშვილმა ამ პიროვნების სითავხედე, წამოდგა ფეხზე და საკმაოდ მკაცრად და დაჯერებით შეუტია: „შენგან მართლაც ყველაფრის ღირსი ვართ ქართველები, მოსკოვში სადოქტორო ჩაგიგდეს, ჩვენ დაგაცვევინეთ თბილისში, ინსტიტუტის რექტორად თავად შენივე კოლეგებს არ უნდოდით და ჩვენ გაგიყვანეთ. ახე ემართება კარგის მქნელს, ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო, — შეახსენა ბატონმა ჯუმბერმა მოიერიშეს დათა თუთაშხიას სიტყვები.

თავხედი მოირიშე დროებით დაცხრა და მიყუჩდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავის სტიქიას დაუბრუნდა. იგი ჩემს უკან იჯდა, და წამოგზნებულ მისი სახის ნაკვთებს ხშირად ვაკვირდებოდი, თვალებშიც არაერთგზის ჩავხედე და მართალი გითხრათ, იგი ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას არც კი სტოვებდა.

ერთი წლის შემდეგ სწორედ ამ პიროვნებამ დაიკავა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი და ისევ და ისევ აფხაზეთის გამყიდველ ქართველთა წყალობით.

ეს პიროვნება გახლდათ პატივცემული ვლადისლავ არძინბა.

აფხაზი სეპარატისტების არც ერთი გამოსვლა აფხაზეთის ქართველობას უპასუხოდ არ დაგვიტოვებია, მიუხედავად იმისა, ხელისუფალნი კარგა მოზრდილ ბურთსაც დროულად გვჩრიდნენ პირში და ზოგჯერ რეპრესიებსაც კი მიმართავდნენ.

გამონაკლისი არც „აფხაზური წერილი“ ყოფილა და არც ლიხნის 1989 წლის ცნობილი „დეკლარაცია“.

აფხაზეთში მაშინვე დაიწყო ქართველთა საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ესტაფეტასავით აიტაცა თბილისმა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მთელი ბიუროსა და მთავრობის წევრთა შემადგენლობით იძულები, როგორც ყოველთვის, წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი და პატიაშვილთან „შეტევისათვის“ საფუძვლიანად მომზადებული. რაიონებიდან წინასწარ ჩამოეყვანათ „ყოვლისმცოდნე“ მოხუცები და ჩოხა-ახალუხსა და ფაფახში გამოწყობილი აგრესიული მასა.

ინტელიგენციის ყველა აფხაზი წარმომადგენელი, მეცნიერი იყო იგი, მწერალი თუ პარტიული მუშაკი, მოვლენებს ისე ხატავდა, თითქოს მონები იყვნენ და ქართველთა ბატონობისაგან კისრები ჰქონდათ გადახეხილი.

განსაკუთრებით აქტიურობდა ჩემთვის უცნობი ერთი პიროვნება, რომელსაც ვერ ვიტყვი, რომ ინტელიგენტური შეხედულება ჰქონდა-მეთქი. იგი ყოველ წამი-წუთს, პათოლოგიური აგზნებით, ხან ფეხზე წამომჯდარი, ხან მჯდომიარე რეპლიკებითა და უხეში წამოძახილებით უტევდა პარტიულ ელიტას.

განსაკუთრებით დამამახსოვრ-

**ჯანო ჯანელიძე.**

# სისხლი სისხლის წილ!..

აფხაზმა ექსტრემისტებმა და სეპარატისტებმა უკვე ნიღაბი ჩამოიხსნეს და სრულყოფილად გამოჩნდა მათი არაადამიანური ნეოფაშისტური მახინჯი სახე.

ნაწამები, კბილებდამძვრალი და შემდეგ ცოცხლად დამარხული უგრეხელიძე, ორ ათეულზე მეტი უმოწყალოდ დახვრეტილი გაგრის პოლიციის ქართველი მუშაკები, გადამთიელი ბანდიტების მიერ ჰიქით შესმული ბუთხუზ მგელაძის სისხლი, ყელგამოჭრილი, ცხვირმოჭმული და თვალებდათხრილი ათეულობით ქართველი ბავშვი, ქალი თუ მამაკაცი, გაგრის სტადიონზე დახოცილი 800-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა, შემდეგ შექუჩებული, ბენზინგადასხმული და დამწვარი მათი ცხედრები, ცოლთან ერთად უმიზეზოდ დახვრეტილი 80 წლის ბარამია, ნოდარ ჩარკვიანი, 70 წელს მიტანებული გიორგი გეგეჭკორი და სიცოცხლით სავსე, ბრწყინვალე სპეციალისტი ექიმი გია გეგეჭკორი, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ჯინჭარაძე და მისი მოგვარე და და სეხნია ინჟინერი მიხეილ ჯინჭარაძე, მედიცინის და იზოლდა ხვისტანი, მიხეილ გელოვანი, ვახტანგ ჰელიძე და... ღმერთო ჩემო, კიდევ ვინ და კიდევ რამდენი!..

ეს ჯოჯოხეთის მოციქულები განა კითხულობდნენ ვინ ვინ იყო, ზვიადისტი თუ ედუარდისტი, როცა გაგრის სტადიონზე შეუბრალებლად ქლეტდნენ ათობით ქართველს...

გამოფხიზლდით, ქართველნო, გამოფხიზლდით, მტერი ვერაგია და პირსისხლიანი და მან პასუხიც სწორედ შესაფერისი უნდა მიიღოს!..

სიკვდილი სიკვდილითვე, დაითრგუნების!..

სისხლი სისხლის წილ!..

**არჩევნების დღე საქართველოს გადარჩენის დღეა!..**

# არძინბას ცრუ აღსარება

თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო

### რა ხდებოდა სოფელ ალახაძში?!.

9 სექტემბერს ალბათ ბევრმა იხილა და მოისმინა საქართველოს ტელევიზიით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ თენგიზ სიგუას ინტერვიუ, რომელშიაც სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „აფხაზური მხარე აკონტროლებს ქართულ სოფლებს გაგრაში, ლიძავას, ალახაძს, გუდაუთაში — ახალსოფელს და სხვ. აფხაზთა მხარე გვატყობინებს, რომ ამ სოფლებში აწიოკებას ადგილი არა აქვსო“...

ვერ გეტყვით საიდან და რა წყაროებიდან მიიღო ბატონმა თენგიზ სიგუამ ასეთი ინფორმაცია. ჩვენ კი ნამდვილად ვიცით, თუ როგორ „აკონტროლებს“ აფხაზური მხარე ქართულ სოფლებს.

ჭეშმარიტებისათვის მოვუსმინოთ ჟურნალისტს, რომელიც 12 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე სოფელ ალახაძში იმყოფებოდა და თავად იხილა და განიცადა ის, რაც იქ ხდებოდა.

* * *

პირველი შეშფოთება სოფელს 14 აგვისტოდანვე დაეტყო, 15 დილიდან ალახაძი სრულ ალყაში აღმოჩნდა. მთავარ ტრასაზე, ბიჭვინთის მოსახვევთან დაიდგა აფხაზების პიკეტი, ეს როგორც 1989 წლის ივლისის დღეებში. მაგრამ პიკეტს ვინ დაჯერდა?!. მალე დაიწყო ნამდვილი ბარიკადების აგება. ჩაიკეტა ბიჭვინთისაკენ გასასვლელი მხარე. იგივე ამბები ხდებოდა მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებასთან. ცხადი გახდა, რომ აქ საომარი მოქმედებებისათვის თადარიგი გუშინ და გუშინწინ როდი დაიწყო. აფხაზური მოსახლეობა, როგორც იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებული აღმოჩნდა, ჩვენ კი სანადირო თოფებიც კი არ გაგვაჩნდა. ნამდვილად ჭკუის სასწავლი გაკვეთილებია, ცოტა ნაგვიანევი თუ არ არის...

საომარი მოქმედების პირველი დღიდანვე დაიწყო სოფლიდან აფხაზი, რუსი, სომეხი და ყველა რჯულის მოსახლეობის ევაკუირება. კომფორტაბელური ავტობუსები ემსახურებოდა მათ. ჩვენ, ქართველებს კი ფეხით გავლის საშუალებასაც არ გვაძლევდნენ. აფხაზი ქალები და ბავშვები, რასაკვირველია, გუდაუთისაკენ მიეშურებოდნენ. ჩვენ კი ზღვისაკენ გასასვლელი გზაც ჩაგვიკეტეს და შიგ სოფელში მოგვამწყვდიეს. ყველაფერი ეს წინასწარი განზრახვით ხდებოდა. გარდა ამისა რუსი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ გაგრაში და გაგრიდან; ქართველების ყოველი ნაბიჯი კი მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარეს.

საკონტროლო პუნქტთან ჩვენდა გასაოცრად მთელი დირსებით იდგა კოლმეურნეობის თავკაცი მიხეილ კაპში. ბავშვიანმა ქალმა, როცა იგი შენიშნა, გახარებულმა შველისათვის მიმართა, მისგან კი გაისმა ბრძანება: „უკან!“ სულ მალე აქ გასვლა-გამოსვლა სარფისა და ბიზნესის საქმე გახდა და ამ საქმეში მთელი დატვირთვით ჩაერთო სომეხი ეროვნების მძღოლები. გაყვან-შემოყვანა სულ ცოტა სამი ათასი მანეთი. ვაი, უბედურებავ, ქართულ მიწაზე ვინ განმკებლობს?!

იყო ასეთი შემთხვევაც: მიხეილ კაპშმა „საკონტროლო პუნქტთან შოთხანი, ხანდაზმული ქალი თამარ ჭელიძე შენიშნა. შაოსანმა სულ ერთი კვირის წინ ქალიშვილი დაკრძალა, აფხაზის მეუღლე. მაგრამ გასაჭირში ჩავარდნილ შაოსანს არაფერმა უშველა. სოფლის თავკაცი გულქვა და სინდისგარეცხილი აღმოჩნდა და ბრძანა: „ის ქალი აფხაზურად კი გესაუბრებათ, მაგრამ ქართული ჯილაგისაა და უკან დააბრუნეთ!“

რასაკვირველია, ბრძანება შესრულებულ იქნა.

საინტერესოა, ყველაფერი რომ ჩაცხრება, როგორ უნდა მიხეილ კაპშს სოფელში დარჩეს და იმუშაოს?!

ნუთუ ყველას ყველაფერი უნდა ეპატიოს?!.

ნუთუ ქართველთა შემწყნარებლობას საზღვარი არ უნდა ჰქონდეს?!

აქ თითქმის ერთი თვის მანძილზე პური მხოლოდ სულ ხუთჯერ მოიტანეს. წარმოიდგინეთ, რა დღეში იმყოფებოდნენ დედები და განსაკუთრებით ბავშვები და ჩვილშვილიანი დედები?!. ამ დროს კი ბიჭვინთაში ფოთიდან შემოზიდული ფქვილით აცხობდნენ და მიირთმევდნენ პურს. პურის მანქანაზე, რომელიც ალახაძს გადიოდა, მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული. კონტროლს აფხაზი და ჩეჩენი ბოევიკები ახორციელებდნენ და სიმართლე უნდა ითქვას, მართლაც უმკაცრესად. კიდევ მეტი, იყო ასეთი შემთხვევა, მაღაზიასთან მომლოდინე ქალებს ნიშნის მოგებით ენაც კი უჩვენეს ჩეჩენმა ბოევიკებმა, რომლებიც სპეციალურ მანქანას აკონტროლებდნენ, ნომრით „88 — 64 ააა“.

დიახ, ამ შემთხვევაშიც უცხოელის ხელი და კონტროლი!..

* * *

აშკარა ბრძოლის ნიშნები 19 აგვისტოსათვის გამოჩნდა, როცა ტყვიამფრქვევისა და ავტომატის კაკანი გაისმა ბიჭვინთის მოსახვევთან, დასახლება „წითელ ჯვართან“. მალე წამოვიდა ტყვიის სეტყვა კოლხიდიდან და პირუკუ.

მოსახლეობა სრულ ბლოკადაში მოექცა. ეს საინფორმაციო ბლოკადასაც შეეხო. თბილისიდან ტელეგადაცემებს არ უჩვენებდნენ, გამორთეს ბიჭვინთის ანძა. გაგრის მეშვეობით მხოლოდ ხმას ვისმენდით დიქტორისას.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი სოფელი მძევლად იყო აყვანილი. ეს იმითაც გახდა ცხადი, რომ აფხაზმა და ჩეჩენმა ბოევიკებმა სოფელი მოიარეს, გაჩხრიკეს და იარაღისგან პირწმინდად გაწმინდეს, თუმცა ბევრი არაფერი გვებადა. მეორე მხარე კი კბილებამდე შეიარაღებული აღმოჩნდა. ჩვენ კი, ხმები, აფხაზების შეიარაღების შესახებ არა და არ გვჯეროდა.

ალბათ აწი ვირწმუნებთ.

როცა სოფელი იარაღისაგან გაწმინდეს, შემდეგ დაიწყო მანქანებისაგან წმენდა და ეს ოპერაცია აფხაზმა და ჩეჩენმა ყაჩაღებმა დიდი წარმატებით ჩაატარეს. არ დარჩენილა არც ერთი ქართული ოჯახი, რომელსაც მანქანა შეატოვეს. მანქანები, რასაკვირველია, გუდაუთასა და ბიჭვინთისაკენ გაუყენეს გზას.

გამორთეს ტელეფონები. სკოლაში შემორჩა ერთადერთი ტელეფონი, მაგრამ მოგვიანებით მისი ხაზიც გადაჭრეს, აპარატები აავლიჯეს და წაიღეს, შემდეგ ფოსტაში შეიჭრნენ ჩეჩენი ბანდიტები და გაანადგურეს კომუტატორი. ხოლო ელექტროქვესადგურის მუშაკი ზურაბ დარცმელია მკაცრად გააფრთხილეს, თუ ხაზს აღადგენ, ქვესადგურს ნაცარტუტად ვაქცევთო.

შემდეგ და შემდეგ აფხაზ-ჩეჩენთა თარეშმა უფრო და უფრო თავხედური სახე მიიღო. 31 აგვისტოს, დღისით, 12 საათზე ძმების წულეისკირების ოჯახებს შეიარაღებული ბანდიტები მიადგნენ და მოითხოვეს სახლის განთავისუფლება, მოტივით, აქ საომარი მოქმედება იწყებაო. მალე კი მანქანები მოაყენეს და ყველაფერი გაზიდეს პირწმინდად, რაც კი ებადა ამ გამრჯე ხალხს.

ამის შემდეგ მთელი მოსახლეობა გააფრთხილეს, დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი და თავი სარდაფებში შეაფარეთო. რასაკვირველია, ეს იმისათვის დასჭირდათ, რომ თავისუფლად, დაუბრკოლებლივ განეძარცვათ მთელი სოფელი. შემდეგ შეტევის დაწყება მოიმიზეზეს, სოფელი დააცლევინეს მცხოვრებთ და ყველაფერი გაზიდეს.

ამის შემდეგ სოფელი ალახაძი აფხაზ-ჩეჩენთა სათარეშო ასპარეზი გახდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაძარცვეს ონარ და ოთარ წულეისკირები, არვაშა ხარებავა, გიგანტ ხასაია, ავთანდილ სიგუა, მურმან ჩქოტუა, სანდრო ნაროუშვილი და კიდევ ვინ და ვინ, ეს ჩვენი უბედურების შემოქმედი ვლადისლავ არძინბა კი თავის ინტერვიუში, რომელსაც მოსკოვი გადმოსცემდა და შემდეგ თბილისი იმეორებდა, უსირცხვილოდ აცხადებდა, ქართული სოფლები დაცულია და ხელუხლებელიო.

აბა, რა უნდა დაუჯერო ამ გარეწართა მოთავე გარეწარს??. უნდა გენახათ, როგორ ეზიდებოდნენ, რა აშკარად, რა ურცხვად ეს აფხაზ-ჩეჩენი ბანდიტები ნაძარცვს სოფლიდან.

იყო შემთხვევა, როცა მძარცველს იჭერდნენ, მაგრამ იმის შიშით, რომ უფრო უარესი არ დაგვაწიონ თავსო, უვნებლად უშვებდნენ. ამ მძარცველებს, უნდა აღინიშნოს სომეხი ეროვნების ადგილობრივი მცხოვრებნიც უწყობნენ ხელს, ხან ჩუმად, ხანაც აშკარად...

გადამთიელი ჩეჩნები დაურიდებლად ათვალიერებდნენ ადგილობრივ ქართველთა სახლ-კარსა და შემოგარენს და მოწონებითა და კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, ყოჩაღ, კარგად მოგიწყვიათ აქაურობა, ცოტა ხანიც და ჩვენ ჩავსახლდებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობას სიტყვა აქვს მოცემული, თქვენ კარგად იბრძოლეთ და აქვე დაგტოვებთო.

რასაკვირველია, გადამთიელი გადამთიელს ეპატიჟება!..

ერთ საღამოს თავს დაესხნენ ზურაბ დარცმელიას ოჯახს, იქ თბილისელი ბიძა ბორის ელიავა იყო შემორჩენილი. როცა გაიგეს ის თბილისელია, ასე უთხრეს, სათ გიჩქარება, მალე ჩვენ თვითონ ჩავალთ თბილისში და იქ მაინც არ დაგედგომებაო. საქართველოს მანამ არ მოვეშვებით, ვიდრე ყველა ქართველს ყელს არ გამოვჭრით და ამ სამოთხეს არ დავეპატრონებითო.

აი, ვინ მოიპატიჟეს „დახმარებისათვის? არძინბამ და მისმა თანამზრახველებმა!..

აი, ვის უხდის მადლობას არძინბა გარჯისათვის და ვის პირდება ფულად თუ სხვადასხვა გასამრჯელოს!..

დიახ, რაც ავანა, ის ჩავანაო!..

...და მაინც თითქმის ყველა ქართველს აწუხებს კითხვა, რატომ მოხდა, რომ მთელი ქართული სოფლები მიუგდეს საჯიჯგნად და საწიოკებლად აფხაზ და ჩეჩენ ბანდიტებს, როცა თავისუფლად შეეძლოთ განეხორციელებინათ შეტევა ქართულ გვარდიას განთიადიდან და დაეკავებინათ თითქმის დაუბრკოლებლივ მთელი რიგი სტრატეგიული პუნქტები — ბზიფის რკინიგზისა და გზატკეცილის ხიდები, რითაც ჩაკეტავდნენ და კონტროლს გაუწევდნენ ბზიფის ხეობას, რომლიდანაც დაუბრკოლებლივ შემოდიან და შემოდიან კავკასიის გაღმიდან გადამთიელი ბანდიტები?!

დიახ, რიწიდან მოეშურებიან კომფორტაბელური ავტობუსებით გადამთიელები და იკავებენ ბიჭვინთის სხვადასხვა დასასვენებელ კორპუსებსა და პანსიონატებს, ძარცვავენ ქართულ მოსახლეობას, სალაფავს ლაფავენ და გასატანი კი გააქვთ. ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა კი შეურაცხყოფილი, უიარაღო და ხელშეკრული ბორგავს და მაინც ხვალინდელ დღეს იმედით შეჰყურებს.

დიახ, არც ისე საშინელია ეშმაკი, როგორსაც ხატავენ, 40 — 50 ავტომატიც რომ ჰქონდეთ ჩვენს ბიჭებს, ამ გადამთიელ ბანდიტებს საკადრის პასუხს გასცემდნენ და ფეხსაც ამოუკვეთავდნენ ქართული მიწიდან.

...და მაინც ასე მეჩვენება, რომ, რაც აქ, ალახაძში ხდებოდა, სამოთხედ გამოიყურება იმასთან შედარებით, რაც ბიჭვინთასა და გუდაუთაში გადახდა ქართულ მოსახლეობას.

სამოთხე კი ასე გამოიყურება: აფხაზ-ჩეჩნების მიერ ყელგამოჭრილი ცოლ-ქმარი ლობჟანიძეები, დახოცილი ფოჩხიძე, ჭელაძე, გოგრიჭიანი...

დიახ, ასეთია ალახაძისთა ბედი!..

მოლაპარაკება გრძელდება, მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალებით ხელშეკრულებად რჩება, მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ მის შესრულებაზე?!.

საბჭოურ კონსტიტუციაზე უკეთესი კონსტიტუცია, მგონია, ძნელად მოიძებნებოდა, მაგრამ განა რაიმე სრულდებოდა ამ კონსტიტუციიდან?!

მთავარია არა ის, რა ხელშეკრულებას დებ, არამედ ვისთან დებ ამ ხელშეკრულებას...

როცა ეს სტრიქონები იწერება, ტელევიზია ისევ გადმოსცემს ცნობებს, რომ ბრძოლები გაგრაში გრძელდება...

გიორგი გურჩიანი

## ინციდენტი 1

ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია და რაიმე საქმიანი თუ უბრალო, ადამიანური ურთიერთობა ჰქონია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონ ზურაბ ლაბახუასთან, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისი მაღალი კულტურითა და გულთბილი დამოკიდებულებით.

წარსულ დროში რომ მიგვყავს საუბარი, მკითხველი არ შეშფოთდეს, რადგან იგი დღეს ისევ ცოცხალია და საღ-სალამათი, მაგრამ ფაქტი ფაქტია, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფა ნამდვილად სურდა იმ ორ ბანდიტს, რომლებიც საკუთარი ბინის მისასვლელთან ჩაუსაფრდნენ და დაესხნენ თავს ბატონ ზურაბს. ერთმა მისი თანმხლები პირი განაცალკევა და პისტოლეტის მუქარით იქვე, კედელზე მიაყენა. მეორე ბანდიტი კი ზურაბს ლიფტში შეუხტა და რამოდენიმე დარტყმა მიაყენა პისტოლეტის ტარით თავის არეში. ვალში არც ბატონი ზურაბი დარჩენია მომხდურს, მაგრამ შეიარაღებულ ბანდიტთან შიშველი ხელებით, აბა. ბევრს რას გახდებოდა ბუნებით მშვიდობისმოყვარე და თვინიერი კაცი?! ბანდიტებმა ხალხის ხმაურზე თავს გაქცევით უშველეს, იქვე ჩასხდნენ მანქანაში და გაუჩინარდნენ. თუმცა, როგორც ჩვენ მისმა ახლობლებმა გადმოგვცეს, გაქცეულთა მანქანის ნომერიც ცნობილია და მათი სახის ფიზიონომიაც.

როგორც ამბობენ, აგრეთვე, მომხდურნი აფხაზურ აქცენტზე საუბრობდნენ, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ მავანთ და მავანთ შეუძლიათ აქცენტიც შეიცვალონო. მაგრამ არა გვგონია, იმ გაწამაწიაში ასეთი გარდასახვისათვის რომ ცხელოდათ იმ გარეწრებს. ეს შეიძლება თვით გარკვეულ წრეებს არ აწყობთ, არ აწყობთ, რადგან ბატონი ზურაბი ის კაცია, რომლისთვისაც მთავარი არა ეროვნება, არამედ სიმართლე გახლავთ. თუმცა არც მის ცხოვრებაში გახლავთ გამორიცხული სხვადასხვა პოლიტიკური და ცხოვრებისეული ზიგზაგები, ამის მაგალითია მის მიერ ამასწინად ქ. სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გამოთქმულ სიტყვაში გარეული ერთ-ერთი საკმაოზე მეტად ყალბი და გაუთვლელი ფრაზა, რომ მუჰაჯირობის ამ დღესასწაულით საფუძველი ეყრება აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რაც, წარმოთქმული სიტყვის კონტექსტში იკითხება, როგორც აფხაზეთის გამოყოფა საქართველოდან (?!).

მაგრამ, აქვე უნდა დავძინოთ, რომ არა გვგონია, ამის გამო შემთხვეოდეს რაიმე უსიამოვნება ბატონ ზურაბს, როგორც ამას აფხაზური ტელევიზია ქადაგებდა. ასე რომ იყოს, ამდენ ხანს არძინბა და ვორონოვი ქართველებს ოთხში უნდა ამოეღოთ, მაგრამ დღემდის ეს არ მომხდარა.

ჩვენი აზრით, ეს ინციდენტი უფრო იმან გამოიწვია, რომ ბატონი ზურაბი აფხაზურ და ქართულ სამთავრობო თუ სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში მარებლისა და შემრიგებლის როლს ასრულებდა, რაც, რასაკვირველია, აფსუა-ექსტრემისტებს ჭკუაში არ დაუჯდათ.



# ერთი ჭიქა სისხლი

## ანუ ციცქნა ცრემლის საფასურად ნაჩუქარი სიცოცხლე

**სახეზე,** რომ იტყვიან, მიტკლისაო, სწორედ ისეთი ფერი ადევს. ხანდაზმული კაცი არ ეთქმის, მაგრამ ეტყობა, ამ ათიოდე დღეს ათი წლით მოუხუცებია, ასეთ შთაბეჭდილებას საკმაოზე მეტად მოჭარბებული ჭაღარა წვერიც ამძაფრებს.

დიახ, ფერგამკრთალი და გაფითრებული სახის კანი, თან შეშფოთებული და წამონთებული თვალები ნათლად მეტყველებენ, რომ მას რაღაც არაადამიანური და არაამქვეყნიური გადახდომია თავს.

არა, შიში არ ეთქმის შუქრი მგელაძის შეშფოთებას. ეს უფრო პროტესტია და ჯანყი, პროტესტი და ჯანყი ამაყი, გაუტეხელი ქართველი კაცისა, იმ კაცისა, რომელიც უკვე ათიოდე კი არა, ოციოდე წელია მონის მდგომარეობაში ჩააყენეს, უფრო სწორად, უნდათ, ჩააყენონ, მაგრამ ის ყოველნაირად ცდილობს, არ ემონოს, არ დაემორჩილოს, არ გატყდეს.

— იმ სისხლიან 1989 წლის 15-16 ივლისს ცოლ-შვილით აფხაზურ პიკეტში მოვხვდი, ბიჭვინთაში. თითქმის ყველა მიცნობდა პიკეტის მონაწილეთაგან და რომ მიცნობდნენ, სწორედ ეს იყო უბედურება. მათ ასეთ შემთხვევაში ნაცნობობა და მეგობრობა არ იციან. ქართველი ხარ. ე. ი. მტერი ხარ, ან მათ მხარეზე უნდა გადახვიდე და შენს სისხლსა და სინდისს უნდა უღალატო, ან გაგანადგურებენ, დიახ, გაგანადგურებენ. მეც მაშინვე მომმართეს, რადიოთი ან ტელევიზიით გამოდი და შენი ხალხი აძაგეო.

რასაკვირველია, ზიზღით მივაჩერდი ჩემს მოსაუბრეს და ზიზღითვე მივმართე: „საკუთარი გამოცდილებით მსჯელობთ?!." იგი ქართული გვარისა იყო. სხვები წამოეშველნენ, მცემეს, მანქანა დამიმტვრიეს, ბავშვები სავარძელს ქვემოთ შემიკუჭეს. ხელი არც მე დამიკლია, მაგრამ ოცთან ერთი რას გავხდებოდი?!. როცა მშვიდობა ჩამოვარდა, ვუჩივლე, არ მოვეშვი, სასამართლო რამდენჯერ არ შედგა, შედეგი არ ჩანდა. შემდეგ პროცესი ბათუმში გადაიტანეს, 10 წელი უნდა მიეცათ და 5 წელს დააჯერეს. 1,5 წელიწადში გამოვიდა, გამყიდველ და კორუმპირებულ ქართველთა წყალობით. როგორც აქ, ჩვენთან, აფხაზეთში ამბობენ, 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიან დღეებს დააძლიო თბილისელი თუ აქაური პროკურატურის მუშაკები და გამომძიებლები. გამდიდრებისა და ჯიბის გასქელების საშუალება გახდა აფხაზეთის ქართველთა უბედურება და დაღვრილი სისხლი.

დიახ, სამი წლის წინათ დაღვრილი სისხლისა და ქართველთა მასობრივი დევნისა და შეურაცხყოფის გამო თითქმის დაუსჯელი დარჩა ასობით აფხაზი ექსტრემისტი.

ყოველივე ამან, რასაკვირველია, სითავხედისა და დაუსჯელობის სინდრომი ჩაუნერგა არა მარტო ექსტრემისტებსა და სეპარატისტებს, არამედ აფხაზი ეროვნების თითქმის ყველა წარმომადგენელს და დაიწყო ქართველთა მასობრივი შევიწროება და დევნა აფხაზეთიდან, რასაც აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ელიტა ჩაუდგა სათავეში ვლადისლავ არძინბას თავკაცობით.

და, აი, შედეგი, ახალი უბედურება და სისხლისღვრა.

შეტაკების პირველივე დღიდან აგვითვალისწუნეს ბიჭვინთის ქართველები, მაგრამ აშკარად შევიწროებას და შეურაცხყოფას ჯერ ვერ ბედავდნენ, მაგრამ, როცა შეიტყვეს, რომ ჩვენი გვარდია არ აპირებდა იერიშის გაგრძელებას და მთელი აფხაზეთის ტერიტორიის დაკავებას, ამით გათავხედებულებმა, დაიწყეს ქართველი მოსახლეობის მასობრივი ძარცვა-გლეჯა და შეურაცხყოფა. შემდეგ ამასაც არ დასჯერდნენ და მძევლებს მძევლებზე იყვანდნენ.

მეც მათ შორის მოვხვდი. მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვასა და შეურაცხყოფაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩამოსული ჩეჩენი ბანდიტები.

ბიჭვინთის ტერიტორიაზე მთელი სამოქალაქო თუ სამხედრო ხელისუფლება ამ ჩამოსული გარეწრების ხელში გადავიდა. მასობრივად ძარცვავდნენ ქართველთა სახლებს და შემდეგ წვავდნენ. მე პირადად თითქმის შიშველი ამიყვანეს სახლიდან, ღამით, ორი-სამი დღე მცემდნენ, შეურაცხმყოფდნენ და რატომღაც ხელის წართმევას ცდილობდნენ. ბოლოს მივხვდი, როცა ცემით თითქმის გონწართმეულს მკლავი დანით გამიფატრეს, სისხლი ღვარღვარით ჩამომდიოდა და... ჭიქაში გროვდებოდა, როცა ჭიქა აივსო, ერთ-ერთმა ჩეჩენმა მხეცმა ჭიქა მაღლა ალაპყრო, ეს ქართველთა სისხლია და უნდა დავლიოო და სისხლით სავსე ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

დიახ ამის შემდეგ განა შეიძლება შერიგებაზე ლაპარაკი, ან შეიძლება მათ ადამიანები უწოდო?!. ნურავინ იფიქრებს, აგრძელებს საუბარს ჩვენი ნარკვევის ტანჯული გმირი, რომ ამას მხოლოდ ჩამოსული ჩეჩენი ბანდიტები აკეთებენ და აფხაზი ექსტრემისტები კეთილშობილების ნათელით იყვნენ შემოსილნი. არა, ისინი, ეს ექსტრემისტი ვიგინდარები სწორედ იმ ჩამოთრეულ კაცისმკვლელებზე არიან ამოფარებულნი და ყველაფერი მათი სურვილისა და ნების თანახმად კეთდება. სწორედ მათი მითითებითა და დასმენით ხდება ყოველი ქართველი ოჯახის ძარცვა-აწიოკება და შემდეგ ერთად იყოფენ ნაძარცვს. სწორედ მათი მითითებით ხდება იმ ქართველთა არაადამიანური წამება, რომლებიც ადრე რაიმე წინააღმდეგობას უწევდნენ ამ თავგასულ სეპარატისტებსა და ექსტრემისტებს.

რამდენიმე ქართველი (მათ შორის მეც) უკვე გამზადებული იყო დასახვრეტად. განაჩენი ალბათ 5-10 წუთში აღსრულდებოდა, როცა ალექსანდრე ანქვაბი მოვიდა და ჩვენი განთავისუფლება მოითხოვა. ჩეჩენმა ბანდიტებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, თითქოს მსუყე ლუკმას ართმევდნენ პირიდან, მაგრამ მოთხოვნა იმდენად პრინციპული და კატეგორიული იყო, რომ ისინი იძულებული გახდნენ გავენთავისუფლებინეთ. კარგად ვხედავდი, როგორი სიძულვილით უყურებდნენ ანქვაბს, და საერთოდ იმ წარმომადგენლობას, რომლებიც მძევლების გაცვლას აწარმოებდნენ.

დიახ, მათთვის ყოველივე ადამიანური და ჰუმანიური უცხოა და მიუღებელი. ისინი აქ საშოვარზე ჩამოვიდნენ. ისინი სწორედ ჩეჩენი ხალხის ის ნაწილია, რომელიც თვით იმ ხალხისათვისაც კი ზედმეტია და მიუღებელი. მიტომაც დაულოცეს გზა აფხაზეთისაკენ. მათ ბზიფი, ალახაძი, კოლხიდა და საერთოდ მთელი აფხაზეთი საკუთარ საბრძანებლად მიაჩნიათ და, ვინც ხმაში ხელს უშლის, ვინც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც თვით აფსუა, მზად არიან კედელთან მიაყენონ და ასეც აკეთებენ. როგორც გვიან გავიგე, ჩემი განთავისუფლება თვით ბატონ ედუარდ შევარდნაძის მითითებით მოხდა, ჩემი მეუღლე ჩავარდნია ფეხებში სოხუმში ჩამოსულ შევარდნაძეს, შევედრებია, გადამირჩინე ქმარი, ნუ დამიობლებთ ბავშვებსო.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ცრემლებიც თავის საქმეს აკეთებენ და დიდი პოლიტიკოსებიც ანგარიშს უწევენ გულწრფელ და ციცქნა ცრემლს.

არ შემიძლია პატივისცემით არ მოვიხსენიო ბიჭვინთელი აფხაზი კოსტია (გვარს საგანგებოდ არ ვასახელებ), რომელმაც მკლავის გადაჭრის შემდეგ, სისხლისგან თითქმის დაცლილი, ძალად გამოსტაცა ჩემი თავი გამხეცებულ ჩეჩნებს, წამიყვანა საავადმყოფოში და ჭრილობა შეახვევინა.

ეტყობა, ყველა აფხაზი როდია ექსტრემიზმის ჭაობში ჩაფლული და სიძულვილის შხამით მოწამლული.

ვტოვებთ ბატონ შუქრ.ას, სევდიანს, გაფითრებულს და თან მოგვყვება იჭვი და შეშფოთება გაჭიანურებულ მოლაპარაკებათა გამო, რომელიც თითქოს მშვიდობას ემსახურება, მაგრამ ეს ხომ ჯერჯერობით ოჩ... ვენებითია და ფიქციაა. ...ლავ გრძელდება ასობით ქარ...ველ ადამიანთა, ქართველთა ...ხთა ძარცვა-გლეჯა, შეურაცხ...ფა, ქვლავ იღვრება ქართული სისხლი, იმ მიწისათვის, ...ულსაც საქართველო ჰქვია ...ხელად და, რომლის დაპატრ...ებას ასე თავგამოდებით ცდი...ბენ ქედგალმიდან ჩამოსული ა...სუები და მათი მოძმენი (რო...რც ისინი უწოდებენ) — ადიღ...ელი და ჩეჩენი ბანდიტები.

ჭეშმარიტად, ბრძოლა გ...ძელდება!..

ბოჩა ჩიგო[illegible]ძე



სისხლიანი ქრონიკები

## ნიჭი სიყვარულისა



იგი ნელა, ჩაფიქრებით საუბრობს, თითქოსდა ხან ბავშვობაში მოგზაურობს, ხან ციცაბოზე გადადის, ხან უფსკრულის პირას დგას და ბეწვის ხიდზე გადასასვლელად ემზადება. მაგრამ ყოველთვის, გამუდმებით ღიმილი დასთამაშებს სახეზე. იგი მშენებელია და ერთი შეხედვით თითქოსდა პოლიტიკასთან არც თუ ისე ახლოს უნდა იდგეს.

დიახ, ჭეშმარიტად, იგი არც არის პოლიტიკოსი, მისი პროფესია მშენებლობა, ხიდ-ესტაკადათა მშენებლობაა. მაგრამ, როცა საუბარი დღევანდელ თუ ხვალინდელ საქართველოზე ჩამოვარდება, იგი საოცრად იძაბება, მისი ოდნავ ინერტული მოდუნებული და უწყინარი გამომეტყველება დაძაბული და შთამაგონებელი ხდება, სახეზე ყოველი ნაკვთი ეჭიმება, ფართე, ნათელი შუბლი გაუვარდისფერდება. საოცარ ცოდნას ავლენს ისტორიასა, სოციოლოგიასა თუ პოლიტოლოგიაში. ზეპირად მოყავს გამოთქმები და ფრაზები სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა, რომლებიც ზოგჯერ მილიონობით ადამიანთა და ეპოქათა ბედს განსაზღვრავენ.

ყველაზე ძვირფასი რაც ამ კაცში ვიპოვნე, ეს არის საოცარი ნიჭი ერთგულებისა, სიყვარულისა, თანადგომისა.

გივი ნიკოლოზის ძე ძიგავა დაბადებით თბილისელია, სისხლ-ჯილაგით კოლხი, სულითა და იდეალებით ქართველი და საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობისათვის მზად არის ცოტნეობა და თევდორე ბერობა გასწიოს.

ამ შუახნის კაცს ასობით ხიდი და გადასასვლელები უშენებია სომხეთსა თუ ირანის საზღვრებთან, სამეგრელოსა თუ საჯავახოში, აზერბაიჯანსა თუ კრასნოდარში და დღეს აფხაზეთში დაივანა და აქ დატრიალებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბატალიების მონაწილე გახდა.

როცა აფხაზეთის ქართველი მწერლები აფხაზეთის მწერალთა კავშირს გამოეყვნენ და მისი რეზიდენციაც დატოვეს, ახლად შესახლებულ უბადრუკ შენობაში მოგვაკითხა თანამოძმე კალმოსნებს, გაგვამხნევა და დახმარების ხელიც გამოგვიწოდა.

ჩვენი გაზეთის არსებობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაშიც თავისი წილი მიუძღვის და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ადამიანის უზენაეს ნიჭზე, რომელსაც სიყვარული ჰქვია სახელად.

როცა ვეკითხებით, თქვენი ჰობი, ჩვეული გულუბრყვილობით იღიმის და ...ე, სხვათაშორის თავისთვის ჩაილაპარაკებს, — სიმართლეო.

მიტომაც ამშვენებს ამ სოხუმელ მშენებელს მართალი კაცის სახელი.

ჯონდო ჯიჯიხაძე

სისხლიანი ქრონიკები

სისხლიანი ქრონიკები

აფხაზეთის ომმა სხვა საშინელებებთან ერთად ისეთი მოვლენაც წამოატივტივა, როგორიც მძევლად აყვანის ყოვლად უგვანი ინსტიტუტია. ერთი კია, ამ ყოვლადგაუმართლებელ საქციელს აფხაზთა მხარე მიმართავს. უმძიმეს დღეში ჰყავდათ ქვემოეშერელი ქართველები თავისსავე თანასოფლელებს — აფხაზებს და ჩრდილოელ ბანდიტებს.

12 სექტემბერს, დიდი ხნის ტანჯვა-ვაების შემდეგ ქვემოეშერელთა ერთმა ჯგუფმა როგორც იქნა დააღწია თავი საშინელ მდგომარეობას და სოხუმს გადმოვიდა. მათ შორის იყო სოხუმის რაიონული პოლიკლინიკის მთავარი ექიმი პავლე კვიკვინია. მის გადმოცემას, რასაც ბატონი პავლე ჰყვება, სრულყოფილად ალბათ ვერანაირი ქაღალდი ვერ შესძლებს. გთავაზობთ მის ნაუბარს.



# რეპორტაჟი ჯოჯოხეთიდან

აფხაზური გვარდიის მიერ სრულიად გაუმართლებლად დაწყებული საომარი კონფლიქტის პირველ დღეებში ქვემო ეშერის ტერიტორიაზე გამაგრებული აფხაზი სამხედროები და ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ბედავდა ქართველთა ხელის ხლებას. ეს ეტყობა მათი პანიკური შიშით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე კეთილშობილი გრძნობით. მაშინ სად ეცალათ სადამსჯელო ოპერაციებისათვის, ქართული გვარდია ხომ ძლევამოსილად მიიწევდა წინ. აფსუებსაც გაქცევისკენ ეჭირათ თვალი. ორჯერ კიდეც მოასწრეს გაქცევა უკანმოუხედავად, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ქართველთა წინსვლა შეჩერდა, ორივეჯერ დაბრუნდნენ სოფელში და პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ.

სამიოდ დღეს გასტანა ეიფორიულმა მდგომარეობამ. შემდეგ უკვე დაიწყო ქართველთა თავზე საავდრო ღრუბლების შეყრა. დაიწყეს აფხაზმა გვარდიელებმა ქართველთა ეზოებში შევარდნა, ხალხის დაშინება, აწიოკება, მუქარა, ძარცვა , სროლა დასაშინებლად. გვეუბნებოდნენ: „1931 წლიდან ჩვენი სისხლის სმის მეტი არაფერი გიკეთებიათ ქართველებს, ახლა თქვენს სისხლს დავლევთო“. იმავდროულად ფართო მასშტაბი მიეცა ქართველთა ძარცვა-რბევას. წისქვილკომბინატის მე-10 სახლში მცხოვრებ კონსტანტინე ჩხეიძის ოჯახი გაძარცვეს პირველად. ბინის პატრონები ადგილზე რომ არ დახვდნენ, გატეხეს ბინა, წასალები წაიღეს, თავად შესახლდნენ შიგ და გარაჟიც პირწმინდად გაცალეს. აქ პირველად გამოჩნდა ვ. არძინბას ძმისშვილი ქამალი არძინბა. „კამაზის“ საჭეს უჯდა და ძალზედაც აქტიურობდა. ასევე მონაწილეობდა იგი სხვა მრავალ შემთხვევაშიც.

ჩეჩენ-ადიღეელების გამოჩენამდე სოხუმის, ოჩამჩირის, გუდაუთის, რაიონების აფხაზი მცხოვრებლები იროდნენ ქვ. ეშერაში. ვინ, რა ჯურისა და საქმიანობის ხალხი გნებავთ, იქ რომ არ ყოფილიყო — კრიმინალური ელემენტებიდან დაწყებული ინტელიგენციის წარმომადგენლებით დასრულებული. თავდაპირველად სანადირო თოფებით შეიარაღებულნი ჰარბობდნენ, არც სამხედრო ფორმიანები ჩანდნენ მაინცდამაინც. შემოიჭრებოდა რამდენიმე შეიარაღებული პირტიტველა აფხაზი ჰაბუკი, გვაფრთხილებდნენ, ერთი გასროლაც რომ გავიგონოთ თქვენი მხრიდან, ყველას ამოგჟუჟავთო. ამასთან გამოგვიცხადეს, რომ სოხუმში გაუგონარი ძარცვა-გლეჯა მიდის ქართველი გვარდიების მხრიდან. ქართველებსაც არ ინდობენ, ამიტომ ჩვენ აქ თქვენს დასაცავად ვართ მოსულიო. ჩვენს შეკითხვაზე, ასეთ შემთხვევაში რატომ გატეხეთ და გაძარცვეთ ჩვენს სოფელში არსებული საწყობებიო, გვიპასუხეს, ახლა საომარი მდგომარეობის გამო საწვავი და სხვა რამეები გვჭირდება, ომი დასრულდება თუ არა ყველაფერს დავაბრუნებთო.

ჩვენდა გასაოცრად, აფხაზი ბოევიკები თავისუფლად დაპარპაშებდნენ სნგ-ს არმიის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილებისა და სანატორიუმების ტერიტორიაზე. რუსეთის ჯარის წარმომადგენლებმა არამარტო დაუთმეს მათ ეს ობიექტები, არამედ თავადაც ეხმარებოდნენ ტრანსპორტით, აღჭურვილობით, თავად რუსი მძღოლები ემსახურებოდნენ მათ გადაყვან-გადმოყვანას.

17 აგვისტოდან მოყოლებული განსაკუთრებით გართულდა ჩვენი მდგომარეობა, გატეხეს და დაარბიეს ყველა საწყობი, სადაც კი ქართველი იყო ხელმძღვანელად. „გატეხეს“ რუსული ჯარის საწყობიც და ამის შემდეგ სუყველანი სამხედრო ტანსაცმელში გამოჭიმულნი დადიოდნენ. რაც შეეხება რუსებს, მათ არათუ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პროტესტიც კი არ გამოუთქვამთ ამ თავხედური პოგრომების გამო.

ვერ ვიტყვი, თითქოს აფხაზ მეზობელთაგან ყველას ექციოს ზურგი ქართველთათვის. რამდენიმე მათგანი ოჯახებითურთ შემოდიოდა ჩვენთან და გვეხმარებოდა შესაძლებლობისამებრ, მაგრამ შემდეგ, როცა ბოევიკთა დაწოლა გაძლიერდა, ისინი იძულებულნი გახდნენ თავი შეეკავებინათ ჩვენთან კონტაქტისაგან.

კიდევ ერთი რამ, რაც შეიძლება ითქვას აფხაზთა სასარგებლოდ, ისაა, რომ მილიციის ზოგიერთი თანამშრომელი ცდილობდა შედარებით ადამიანურად დაეჭირა თავი.

დაიწყო მოსახლეობის ტერორიზება. მას შემდეგ მიიღო ამან განსაკუთრებით მძიმე ხასიათი, რაც სოფელში ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულები გამოჩნდნენ. ქართველები გაუთავებლად გაჰყავდათ „შტაბში“ და ეს უფრო ხშირად ღამღამობით ხდებოდა. სცემდნენ, აწამებდნენ, ამცირებდნენ იმის გამო, რომ ის ქართველია. ვინც ოდნავ მაინც გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, იქვე უსწორდებოდნენ. ეტყობა ვერ მოენელებინათ ის ამბავი, რომ თავის დროზე აქაურმა ქართველობამ წისქვილკომბინატის დირექტორად ძალად თავსმოხვეული აფხაზის კანდიდატურა უარყო. მრავალგზის აყვედრიდნენ ამას, განანებთ ასე რომ იქცევითო — დასძენდნენ. შედიოდნენ ეზოებში, ჰაერში სროლით სახლებში შეყრიდნენ ხოლმე, თუკი ვინმეს დალანდავდნენ იქ.

ერთ დღეს შევამჩნიეთ ზღვაში მოტივტივე გვამი. მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, აფხაზებმა არ მოგვცეს მისი გამოტანისა და ამოცნობის საშუალება... საწყალი უპატრონო მკვდარი დინებამ ახალი ათონის მიმართულებით წაიღო და ვინ უწყის სად მიარიყა კიდეც...

სექტემბრის დასაწყისიდან კვლავ გახშირდა ჩვენი მეზობლების გაყვანა დაკითხვებზე. ერთი ასეთი გაყვანის შემდეგ ედიშერ უგრეხელიძე მთელი დღე-ღამით გაქრა. გუდაუთაში წაეყვანათ ვილაც ოჩამჩირელ ციბულკინს და ეშერელ ანზორ ხვარწკიას. მეორე საღამოს დაბრუნდა ნაგვემი, სახის მარცხენა მხარე ცემით ჰქონდა დალურჯებული. შიშით გათანგულმა დაფარა ნამდვილი მიზეზი და ქუჩაში დავეციო გაგვიმარტა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მხარეთა მოლაპარაკების შედეგად სოხუმში გასვლის შესაძლებლობა მოგვეცა. გახარებული იყო საწყალი ედიშერი, როცა აფხაზური გვარდიის პოდპოლკოვნიკმა ლეშჩუკმა მისი გვარიც შეიტანა სოხუმს გადასაყვანთა სიაში. მანამდე რამდენიმეჯერ მიუვარდნენ სახლში, ბევრჯერ აწამეს, სცემდნენ, აშინებდნენ და აიძულებდნენ ეს ყოველივე დაეფარა... ბოლოს, გადასვლის წინადღეს მიუვარდნენ ისევ. ედიშერი ადგილზე არ დახვდათ და მისი ვაჟი ზაზა უნდა წაეყვანათ, მაგრამ ამ დროს მოუსწრო მამამ, ედიშერი მე ვარ, ბავშვს თავს ანებეთო, ასე იხსნა შვილი, რომელიც ჩვენთან ერთად დაბრუნდა სოხუმს, თავად კი წაიყვანეს... თხუთმეტ-ოც წუთში ავტომატის ჯერი მოგვესმა და მივხვდით რაშიც იყო საქმე. უმალ გავეშურეთ აფხაზური გვარდიის ნაწილში და ეშერელ ვალერი აგრბას მოვთხოვეთ, აეხსნა სად წაიყვანეს ედიშერ უგრეხელიძე. მისი განმარტებით იგი სპეცნაწილის მეომრებს წაეყვანა, რომლებიც პირადად აგრბას არ ემორჩილებოდნენ. ზემო ეშერაში წაიყვანეს, იქ შტაბია მოწყობილიო. როგორც აღმოჩნდა, იგი არსად არ წაუყვანიათ, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით დაეხვრიტათ უწყალოდ...

ჯერ კიდევ 11 სექტემბერს, გამოჩენის პირველსავე დღეს ჩრდილო-კავკასიელთა ბანდებმა მოსთხოვეს ქართველ მოსახლეობას სიცოცხლის საფასურად 100 ათასი მანეთის შეგროვება. იმავე დღეს გააუპატიურეს რამდენიმე მანდილოსანი. გაჩხრიკეს და გაძარცვეს ოთარ ბერულავას ოჯახი. მამა-შვილი სადღაც წაიყვანეს. ასევე წაიყვანეს სამშენებლო საწყობის გამგე ზ. სოხაძე. ისიც დაკარგული იყო და როცა ბოლოს ძმებმა გამოიყვანეს, საშინელ მდგომარეობაში მყოფი ვერავის ვერ ცნობდა. ასევე სასტიკად გაუსწორდნენ რუსი ეროვნების კაცს, გვარად ვერტიაშკინს, რომელიც გაზის გასამართი სადგურის ახლოს ცხოვრობდა, და რომელიც ეტყობა რაღაც საშინელის მოწმე გახდა.

მრავალჯერ წაიყვანეს შოთა მეტრეველი და მზევინარ ჯელაძე. ეძებდნენ სხვებსაც. ერთ საღამოს შოთა წაიყვანეს და ესროლეს. სასიკვდილოდ დაჭრილი ქუჩაში დააგდეს და მთელი ღამე ასე უპატრონოდ იყო მიტოვებული. მეორე დღეს ჯერ ადგილობრივ მოწყობილ სანნაწილში, შემდეგ გუდაუთის საავადმყოფოში გადაუყვანიათ, მაგრამ როგორც დავაზუსტეთ, ახალგაზრდა კაცი ოპერაციის გაკეთების მიუხედავად გარდაცვლილიყო. მუცლის არეში ჰქონია ოთხი ჭრილობა მიყენებული პისტოლეტით.

ასევე უმოწყალოდ იქნა დაცხრილული დათო მინაძეც — სრულიად უწყინარი, ჩუმი ვაჟკაცი. ავტომატის ჩვიდმეტი ტყვია ჰქონდა ტანზე მორტყმული საცოდავს. ბოლოს შუბლშიც დაეხალათ ერთი ტყვია არაკაცებს.

არავის ერიდებოდნენ, არც იწყალებდნენ ისინი. 8 სექტემბერს სროლით მიეჭრნენ სამივე მაღლივი სახლის მცხოვრებლებს, გამოყარეს დედიშობილანად გარეთ, შეყარეს სატვირთო მანქანაზე და ახალი ათონისაკენ გააქანეს. ძალზე აქტიურობდა ვინმე ილარიონი, გაზის მანქანის მძღოლი, რომლისთვისაც ძმა მოეკლათ და ქართულ გვარდიას აბრალებდა. აღმოჩნდა კი, რომ მისი ძმა თავად აფხაზებს მოეშორებინათ თავიდან რატომღაც. სწორედ ის სცემდა არაადამიანურად ავტომატის კონდახით უმწეო ხალხს. როცა თავად აფხაზებმა წაართვეს ავტომატი, ნიჩბით დაერია ძარაზე დაყრილებს. საბოლოოდ, ეტყობა, მაინც ვერ გაბედეს ამდენი ხალხის დახვრეტა და უკანვე მოაბრუნეს.

რუსების როლზე ამ უბედურებაში უკვე აღვნიშნე, ერთი ფაქტიც მინდა მოვიყვანო: ყოფილი სსრკ თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში (გამგე სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი ანატოლი ფილია) 8 სექტემბერს ჩაასახლეს ჩრდილოელი ბანდიტები. სანატორიუმის მუშაკები ემსახურებოდნენ მათ მთელი მონდომებით. ისიც მეტად საგულისხმოა, რომ ზევრ ჩეჩენს აქაური ჩაწერა ჰქონდა პასპორტში ბეჭდით დამოწმებული. ზოგიერთი მათგანი ქართველის ოჯახში „ჩასახლდა“ კიდეც, ახალი მიწერით.

ამდენი ტანჯვა-წამების გადამტან ქართველ მამაკაცებს სიკვდილი გვერჩივნა ასეთ ყოფას, იქნებ კბილებითაც დაგვეღრღნა ჩვენი გამამწარებლები, მაგრამ უცოდველი ბავშვებისა და ქალების ამოხოცვის შიშით ვიყავით წადუმებულნი...

მეტად ცინიკური იყო ჩვენი გამოცილებაც მათი მხრიდან: 12 სექტემბერს 100 კაცამდე ჯგუფი ცნობილი მოლაპარაკების შედეგად გამოვემართეთ სოხუმისაკენ. მივედით დასასვენებელ სახლ „გუმისთასთან“. შეგვაჩერეს გვითხრეს განკარგულება არ მოსულა და ვერ გაგიშვებთ, ამასთან გვეშინია ქართველმა სნაიპერებმა არ დაგხოცონო. დიდხანს გვაწვალეს, შემდეგ ნახევარ კილომეტრამდე დაგვახევინეს უკან, ერთად მოგვაქუჩეს, ალყა შემოგვარტყეს და რაღაც სახელდახელო მიტინგის მსგავსი რამ ჩაატარეს. ჯერ იყო, ქვემოეშერელი შინკუბა გვიმტკიცებდა, დებო, ძმებო, ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთად ვაშენოთ რაც დანგრეულია, სად მიდიხართ, ვინც შეგაწუხათ მე მაჩვენეთ, ჩემივე ხელით დავხვრეტ ყველასო. თქვენ პროვოკატორები გირევიათ, ისინი გაიძულებენ წასვლას აქედან, გადმოგვეცით ისინი, ჩვენ გავუსწორდებით, თქვენ კი დაბრუნდით სახლებში და მშვიდად იცხოვრეთო. შემდეგ ვილაც ჩეჩენი გამობრძანდა სიტყვით: მე თქვენს დასაცავად მოვედი, იმ ხალხის სისხლი უნდა დავლვაროო, ვინც ეს სისხლისღვრა წამოიწყო, თქვენ არას გერჩითო.

როგორ „გვიცავდნენ“, ჩვენ უკვე გვქონდა განცდილი წინა დღეებში. ბოლოს, როგორც იქნა წამოგვიყვანეს და ხიდს მოვადექით. გამოღმა გამოსულებმა უკვე ვიცოდით, რომ გადავრჩით, აწ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება....

ჩაიწერა
**სერგო წურწუმიამ**

**სურათზე:** შეურაცხყოფილი და დევნილი ქართული მოსახლეობა.

**უთხრა უფალმა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი?**

**მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ.**

# მოგვარის ტყვიით...

## საიდან ამდენი სიძულვილი და ბოლმა?!



ის ჯერ 19 წლისაც არ იყო. 7 ოქტომბერს შეუსრულდებოდა 19. 14 აგვისტოს კი მისთვის ყველაფერი დამთავრდა. ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის II კურსის სტუდენტი, წარჩინებული და ხანიმუში, არშინიანი ბეჭებითა და მკერდით... ორი აფხაზი გვარდიელი დაატყვევა ქალაქ სოხუმში, თეთრ ხიდთან, იარაღი აჰყარა, და გაბანდღურებული ორივე გაუშვა. გაოცებულმა მეგობრებმა რომ მკითხეს, რას აკეთებ, ზედმეტი სიკეთე, იგივე ბოროტებააო, ღიმილით უპასუხა, რას მქვია ნაკლები და ზედმეტი სიკეთე, სიკეთე ისევე როგორც ცრემლი — წუხილი განა შეიძლება გაიზომოს ან აიწონოს?!.

ვერაფერი უპასუხეს.

მას კი სიკეთე მოგვარის, თავისივე მოგვარის ტყვიამ დაუბრუნა. დიახ, მის მხურვალე გულში გაცივდა მოგვარის მიერ ნასროლი ცხელი ტყვია.

დიახ, ერთი სისხლისანი, ერთი ხორცისანი, ერთი სულისანი და ერთი გვარისანი ესვრიან და ჰკლავენ ერთმანეთს. საიდან მაინც ახეთი და ამოდენა სიძულვილი და ისიც გუშინდელი ქართველისაგან?!.

გაოგნებული დაცქერი ზაზა გაბუნიას გალიმებულ სახეს, მოელვარე თვალებს, სურათიდან რომ მომჩერებია და ვერ წარმომიდგენია, რომ მას უკვე სიკვდილი დაეპატრონა, რომ იგი თავისივე მოგვარემ და სისხლთაგანმა გაიმეტა.

ახლა ორივენი საფლავში წვანან მოკლულიც და მკვლელიც.

ვინ აგებს ყოველივე ამისათვის პასუხს?!

— არძინბა აქ მონათესავე ხალხს აჩოცინებს ერთმანეთს და გადამთიელს კი ეპატიჟება, პასპორტებს ურიგებს, უკვე ქართველთა ბინებშიც ჩაწერა ისინი, სირიელი, თურქი, ადიღეელი, აბაზი, ჩეჩენი, და ვინ იცის ვინ, ძაღლი და მამაძაღლი, ჩვენ კი ენგურგაღმა გვიპირებს გახახლებას, არადა ამოწყვეტით გვემუქრება.

— რატომ? — ისმის კითხვა.

— იმიტომ, რომ თვითონ არის უცხო ჯიშის და ჩამოთესლილი. აბა, კარგად დააკვირდით ელამცხვერ თვალებში, თავზე ჩალმით წარმოიდგინეთ, ნამდვილად თურქ მოლას არ მოგაგონებთ?! — ამბობს ზაზას ბებია ქალბატონი ჟუჟუნა და ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლები.

ჭადარა, ბრგე ვაჟკაცი შემოდის ახალგაზრდა ყმაწვილთან ერთად. ყმაწვილი 17 წლის არც იქნება. ეს ზაზას მკვიდრი ბიძა და ბიძაშვილი მიხეილ და თემურ გაბუნიებია, გვარდიელის ფორმაში. ბიძამ მოკლული ძმისშვილის ფორმა ჩაიცვა, ხოლო იარაღი მამა და შვილმა, ორივემ გაინაწილეს.

კიდევ ბევრს დავაკალავთ ზაზას ზედ, — დაგუდული ხმით ამბობს ბატონი მიხეილი, ქალბატონი ჟუჟუნა აწყვეტინებს, — როგორ შეიძლება ადამიანს ადამიანი დააკლა ზედ? ქრისტიანები ვართ.

ძაღლიყოს მისი მკვდრისადა! — გამიელვა თავში.

როცა სამოიდე თვის წინათ აფაზეთში ქართული ბატალიონი შეიქმნა, პირველი ჩაეწერა ზაზა, სტუდენტი ყმაწვილი. ოსეთშიც იყო. იქ სიკვდილს გადაურჩა. პირველად სწორედ მისი ტანკი შემოვიდა სოხუმში, ოსეთიდან დაბრუნებული და სოხუმში პირველი დაღუპული გვარდიელიც ის არის.

ისინი სულ რვანი იყვნენ. დავალება მიიღეს, რაც არ უნდა დაჯდომოდათ, ქალაქ სოხუმის მთაზე, სატელევიზიო კოშკურა აეფეთქებინათ. აფეთქება დაენანათ და ისე გაათავისუფლეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს, დაეცვათ იგი.

ვილაცამ დარეკა, ქართულად საუბრობდა, დამხმარე ძალა ხომ არ გინდათო?!.

— ძალიან კარგს იზამთ, იყო პასუხი, სწორედ რომ დახმარება გვჭირდება!

სულ მალე ერთი მსუბუქი ავტომანქანა და ერთიც ავტობუსი ამოვიდა მთაზე, კოშკურთან შეაჩერეს. რამდენიმე გვარდიელი გადმოვიდა მანქანიდან. ქართულად ლაპარაკობდნენ, ხანაც მეგრულად. ეჭვი არავის შეპარვია, რომ მაშველები ჩვენები არ იყვნენ. ჩვენი გვარდიელები იური პახომოვი და ვლადიმერ შახმინი გამოელაპარაკნენ რუსულად და მაშინვე მიხვდნენ, რომ აფხაზ გვარდიელებთან ჰქონდათ საქმე. რამდენიმე მათგანი იქვე აიყვანეს ტყვედ, დანარჩენებმა ცეცხლი გახსნეს და ჩვენებმაც ცეცხლით უპასუხეს. იმ აფხაზთა შორის ერთი სწორედ გაბუნია აღმოჩნდა. მოგვიანებით იპოვნეს ზაზა, მოგვარის ტყვიით განგმირული, გულში გაეარა ტყვიას.

— ტყვიამ არც ძმა იცის და არც მოგვარე. ტყვია ბრმაა, მაგრამ განა ადამიანებიც უნდა დაბრმავდნენ ტყვიასავით? — ცრემლებს ყლაპავს ზაზას დედა, ქალბატონი ლალი.

დიახ, იმ ცრუ აფხაზმა მეცნიერებმა, ცრუ აფხაზმა ისტორიკოსებმა, ცრუ აფხაზმა პოლიტიკანებმა დააბრმავეს აფხაზი გაბუნია, გუშინდელი ქართველი და ხელში ავტომატი აალებინეს მისივე ძმის მოსაკლავად. თავად კი ეს ცრუ პოლიტიკოსები ახლა ბინებში შეყუჟულან და გასუსულნი ადევნებენ თვალს ამ ძმათაკვლეტას.

ღმერთმა პირველად მათ უნდა მოჰკითხოს ცოდო-ბრალი, მოეკითხებათ კიდეც!..

ბატონ მიხეილს მკერდზე ოთხი სურათი აბნევია. ერთი ზაზასია, მეორე მოგელი კვიტატიანის, მტერს რომ შურისძიებად შეაკვდა, მესამე ლევან შურღაიასი, მეოთხე ილია ლაბარტყავაა — დღეს ოთხივენი საფლავში წვანან, რამდენმა მათმა მხავსმა ვაჟკაცმა ამოავსო ნაადრევად სამარე. ამ რამდენმა მათმა მსგავსმა ვაჟკაცმა ზე დააბიჯებენ, იცინიან, სჯიან, და ისევ რაღაცას აკეთებენ ისეთს, რომელიც ახალ სიცოცხლეს ინაცვლებს.

არა, ის, რაც მათი მიზეზით დატრიალდა აფხაზეთში, ისევ მათ უნდა მოეკითხოთ და რაც უფრო ჩქარა იქნება ეს, მით უკეთესი!..

— მე დისშვილები აფხაზები მყავანან, რა ვქნა, ვესროლო მათ, — ეკითხება თავის თავს ბატონი მიხეილი, — არა, ვერ ვესვრი, დაფიქრებით აგრძელებს კამათს თავის თავთან და ასკვნის, ვისაც ხელში იარაღს დავუნახავ, ყველას ვესვრი, რადგან ჩვენ გვესვრიან.

დიახ, ზედმეტი სიკეთე და დანდობა სილაჩრის ნიშანია, გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის ბაკი-აძბა, მონა, მორჩილი, შესაზარი. ქართველმა კაცმა მონის გულკეთილობა უნდა მოიშოროს და სისხლის წილ სისხლი უნდა მოითხოვოს, სხვანაირად თავსაც დავკარგავთ და სამშობლოსაც.

თედო ჩანჩიბაძე

უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა.



# არძინბას მარშრუტებს

შეიძლება გვეთქვა, რომ ბატონი ვლადისლავ არძინბა დღემდე კარჩაკეტილ, მკაცრ, ე. წ. ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ხალხთან შეხვედრასა და საუბარს, თუ სათვალავში არ ჩავუთვლით კაბინეტურს, თავს არიდებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს ინიციატივით მთელმა რიგმა წარმოება-დაწესებულებებმა, სამინისტროებმა და რაიონებმაც კი დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ბატონ არძინბას იმ უკანონო, ანტიქართულ ქმედებათა გამო, მან იკადრა კაბინეტიდან გამობრძანება და ხალხში გასვლა. პირველი ასეთი მოგზაურობა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა შედგა გალის რაიონში, რომელიც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ გალის შემოგარენიდან ჩამოსულ ვ. არძინბას სულ მალე მის დაქვემდებარებაში მყოფი მონონაციონალური პოლკის ნაწილებიც მიაყოლეს უკან, ის ნაწილები, რომლებიც თითქოს „აფხაზეთ-საქართველოს“ საზღვარს იცავდნენ ენგურთან და ისლამურ დროშას აფრიალებდნენ. არძინბას მეორე გასვლითი ტური შედგა ოჩამჩირის რაიონში, კერძოდ, სოფლებში — კოჩარა, ლაბრა, არაკიჩი და ათარა-არმიანსკაია. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ეს გასტროლები იმით არის აღსანიშნავი, რომ მან, როგორც გაზეთი „რესპუბლიკა აფხაზია“ წერდა: არაერთგზის და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „მი გოტოვი კ ცივილიზიროვანნომუ რაზრეშენიუ ვსეხ პრობლემ, კ ნორმალნიმ **მეჟდგოსუდარსტვენნიმ ოტნოშენიემ სგრუზიეი**, ჩტო გოტოვ ვსტრეტიტსია ს პრედსედატელემ გოსსოვეტა გრუზიი ე. შევარდნაძე... ტოლკო ნეობხოდიმო პრედვარიტელნო ობგოვორიტ მესტო ვსტრეჩი“.

როგორც ხედავთ, ბატონ არძინბას განცხადების ეს მცირე ფრაზა დიდი ყურადღების ღირსია, რადგან შეხვედრის ასეთი სურვილი მას ყოფილ პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთანაც არ გამოუხატავს (თუ არ ჩავთვლით მის ნაგვიანებ შეხვედრას უკვე ყოფილ პრეზიდენტთან ქალაქ გროზნოში). ეს ინტერესი ორწილ იზრდება, როცა კითხულობთ, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არძინბა საქართველოსთან დამოკიდებულებას აპირებს „ცი[illegible]იზებული, საერთაშორისო სა[illegible]ლმწიფოებრივი ნორმებით“ (?!!) და აუცილებელია წინასწარ შერჩეულ იქნას შეხვედრის ადგილი. ჩვენის ფიქრით, ასეთ ადგილად იგი, იმედია, მიიჩნევს ჩრ. კავკასიის რომელიმე აულს, საიდანაც თავად გახლავთ ბატონი არძინბა წარმომავლობით.

დიახ, ყველაფერი ეს მართლაც ძლიერ სასაცილოა და თან ერთ იგავს გვაგონებს, ბაყაყი რომ ხარს გაეჯიბრა და მანამდე არ მოიშალა გაბერვა, ვიდრე ბუშტივით მუცელზე გაიფხრიწა.

დაველოდოთ მსგავს ფინალს. მგონი ფხრეწა დაწყებულია!...

# რას იტყვის მკითხველი?!.

როგორც სატელევიზიო პროგრამა „ნოვოსტი“ იუწყებოდა ამასწინათ, რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სასამართლომ გააუქმა რუსეთის ე. წ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რომლის სპიკერი გახლდათ ერთ-ერთი გამოჩენილი რეაქციონერი, ჯერ არც თუ მთლად დაშლილი რუსული იმპერიის რესტავრაციაზე მეოცნებე ჟირინოვსკი, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის აღდგენა არა რესპუბლიკებად, არამედ გუბერნიებად.

ამ პარტიის გაუქმების მიზეზი ის გახდა, რომ იგი ნამდვილად ფიქცია და ბლეფი იყო და მისი წევრების უმრავლესობა ჩიჩიკოველთა მსგავსად მკვდარი სულები აღმოჩნდნენ. ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პარტიელების 80 პროცენტი აფხაზეთიდან და ისიც აფხაზები და ისიც ხანდაზმულები და ისიც პენსიონერი (რასაკვირველია არა პერსონალურნი) იყვნენ. როგორც სარწმუნო და კეთილი ხმები იუწყებიან, ამ სიძვირისა და სიდუხჭირის ჟამს პატივცემული ჟირინოვსკი პარტიის ამ ხანდაზმულ და ხელმოკლე წევრებს საწევროს კი არ ახდევინებდა, არამედ, პირიქით, დახმარების სახით თვეში თითოეულს 300-300 მანეთს უგზავნიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ფიქცია-პარტიამ შეწყვიტა არსებობა, გასამრჯელოს გამოგზავნა შეწყვეტილ იქნა, რაზედაც უკვე გაუქმებული ამ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის აფხაზმა წევრებმა პროტესტი გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვენ მისგან, აღუძრან შუამდგომლობა საერთაშორისო სავალიუტო ფონდში, რათა იქედან, ე. ი. ფონდიდან მიეცეთ ვალიუტის სახით სათანადო დახმარება, რასაკვირველია, ვალიუტის სახით, მათ მიერ უკვე გაწეული მოღვაწეობისათვის, რომელიც აფხაზეთში გაჩაღებული ძმათამკვლელი ომითა და სისხლისღვრით გამოიხატა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ჩვენი მკითხველი, მიიღებენ კი ისინი კუთვნილ გასამრჯელოს ვალიუტის [illegible] საერთაშორისო ფონდიდან და თუ მიიღებენ რა ოდენობით?!

ბივი მიქაძე

# აჩრდილები მოსვენებას არ მოგვცემენ



*

უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს.

*

სისხლიანი ქრონიკები

14 აგვისტო, 1992 წელი. მგონი, ყველაზე ტრაგიკული დღე საქართველოს ისტორიაში მისი ძირძველი, კურთხეული მიწა-წყლის, აფხაზეთის მკვიდრთათვის.

ქალაქში ავის მომასწავებელი სროლის ხმა გაისმა. ხალხი დაფეთებული გარბის ქალაქის ქუჩებში. ახე მეჩვენება, ზოგჯერ უაზროდ და უმისამართოდაც კი უმრავლესობა გაჩერებას მიაწყდა, მაგრამ უშედეგოდ, სროლის ხმა კი წუთიდან წუთზე ხშირდება. ნახევარ საათში ქალაქის პირველი საავადმყოფო პირველ დაჭრილებსა და პირველ მოკლულთ ღებულობს... გაოგნებიდან ისტერიულ კივილს გამოვყავარ — „დაი ბოგ, ჩტობ ანი ვსე გრუზინოვ პოეუბივალი, ა აბხაზტევ ნეტ!" — არაადამიანური ხმით წივის ის, ვისმა ძმამ, მამამ, ქმარმა, ნათესავმა და ახლობელმა დიდი ხნის ქადილის შემდეგ დენთის სუნი დაატრიალა იმის „დასადასტურებლად", რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი კი არა, აფსუათა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. დიახ, ალასრულა აწ უკვე გაშიშვლებულმა სუკის აგენტმა არძინბამ თავისი საყვარელი გამოთქმა, — „ვაინა-ტაკ ვაინა," რომელსაც ასე ხშირად და ხმამაღლა გაჰყვიროდა პარლამენტის სხდომებზე და სწორედ ამით დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი საქართველოს ბედკრულ ისტორიაში, რამე თუ „კეთილი საქმის ქმნით" ამას ვერასოდეს მიაღწევდა.

დღეს კი პირველი მსხვერპლი უკვე გაჩნდა, დაიღვარა პირველი სისხლი და ვინ იცის, რას მიაღწევს მისი მასშტაბები?!.

ხუთი დღეა ჰაერში განუწყვეტელი სროლის, ქუჩებში ტანკების მძიმე გრუხუნის გამაყრუებელი ხმა გაისმის. არ მუშაობს არანაირი სახის ტრანსპორტი.

რკინიგზაზე გადასახვლელი ხიდიდან დავყურებ ვაგზლის მოედანს, განაგონს საკუთარი თვალით ვხედავ. ეს მერამდენე დღის უწყალოდ ძარცვის შემდეგ დღეს ისევ გრძელდება ყაჩაღობა სატვირთო შემადგენლობის. უამრავი ქალი და კაცი, განურჩევლად ეროვნებისა, დღისით, მზისით, გამვლელთა და გამომვლელთა თვალწინ ტომრებით, ჩანთებით, ბალურებით, ურიკებით, მანქანებით ეზიდებიან პროდუქტს, ავეჯს, მანუფაქტურას, ჰურჭელს, ხალიჩებს, სხვადასხვა სახის სასმელებს და ვინ იცის კიდევ რას. იგივე სურათის მოწმე ვხვდები ქალაქში. ჩემს ცხვირწინ იმტვრევა მაღაზიისა და საწყობის კარები. სახედაკარგული ადამიანები ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევენ, არადა აფხაზი სნაიპერები დაუნდობლად ისვრიან ყოველი მხრიდან, ნუთუ ეს მაინც ვერ შეაჩერებს სისარბის ვნებათა ღელვას?

კიროვის ქუჩაზე გასულს ნაცნობ მანდილოსანთა ნერვიული ძახილი მაჩერებს. მოხოვენ გვარდიელებს მივაწვდინო ხმა, რომ ისი- [illegible]

ორ მეტრზე მდგარი მანქანის საქარე მინას ამსხვრევს. ოქტომბრის ქუჩაზე გასული ისევ ტყვიის წვიმაში აღმოვჩნდი. ამჟამად სნაიპერების სასროლი ობიექტი იქ მანქანით გავლილი გვარდიელები აღმოჩნდნენ. ჩემს წინ მიმავალი ორი გოგონა სანაგვე ყუთმა შეიფარა, გვარდიელები მანქანის სისწრაფემ გადაარჩინა, მე სახლის სქელმა კედელმა, მაგრამ ვერაფერმა იხსნა თურმე იქვე გზაჯვარედინზე მიმავალი ოცდაორი წლის გოგონა, რომელიც შინისკენ მიიჩქაროდა. იმავე დილას საუზმობისას გამოასალმეს სიცოცხლეს მეორე ახალგაზრდა, სულ რამდენიმე დღის ახალოჯახშექმნილი ქართველი ქალი.

პურის გაუთავებელ რიგში მდგარი, ვინ იცის ოჯახში იქნებ ავადმყოფის, იქნებ მცირეწლოვანთა პატრონმა კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქალმაც კივილს ამოაყოლა სული. ესეც ჩვენი „ძმების" ტყვია იყო, საკუთარ მიწა-წყალზე ლუკმაპური რომ დააამძღლა ქართველს.

თანასოფლელთა დასაცავად მიემართებოდა ს. შრომაში მცხოვრები 23 წლის ლევან შურღაია. თავის ჰიშკართან „ლიმონკით" რომ მოუღო ბოლო სამმა აფხაზმა „ძმამ". ყელი გამოღადრეს ცოლ-ქმარ ლობჟანიძეებს, ცოცხლად დამარხეს შ. პეტრიაშვილი, მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს დედა-შვილი საჯაიები.

შავად გაუთენდა 17 აგვისტოს ორშაბათი ოცი წლის საუკეთესო ჭაბუკს, IV კურსის წარჩინებულ სტუდენტს, ახლობლების, მეგობრების, მეზობლების გამორჩეულად საყვარელ ტარიელ მაკალათიას. ქართველ გვარდიელთა დასახმარებლად გამოსული, მკერდგანგმირული შემოასვენა მამამ ხელში ატატებული.

თითქოს გული უგრძნობდა დედას იმ დღეს, გარეთ არ უშვებდა. პირმშოს. არ გასჭრა მისმა ხვეწნა-მუდარამ. ბიჭებს მანქანა გაუფუჭდათ, მოვეხმარები და შემოვალო. გაიტანა თავისი. მცირე ხანიც და მზადყოფნაში მოყვანილი მანქანა გაეცლებოდა იქაურობას, მაგრამ ისევ „იმარჯვეს" „ძმებმა", ცეცხლი გაუხსნეს სამალავიდან. ერთმა დაჭრილმა გვარდიელმა ხოხვით მიაღწია ტარიელის ბინის კარამდე. აღშფოთებული ქალი, ტარიელის დედა, თავს დასტრიალებდა დაჭრილს, შველას ლამობდა, ის კი ეჭვადაც არ ჰქონდა, მისი პირმშო იქვე, ორ ნაბიჯზე სულს რომ ლევდა ათეული ტყვიით დაცხრილული...

მეზობლებმა ნორმალურად დატირებაც ვერ მოახერხეს საყვარელი ჭაბუკისა, გაუთავებელი ტყვიის წვიმა არ იძლეოდა ამის საშუალებას. მესამე დღეს ნაჩქარევად მიაბარეს მიწას, საკუთარ წილს უდროოდ დაპატრონებული, გამწარებული დედა მაღლივი სახურავიდან დარაჯობდა საფლავს, იქაც რომ არ შეურაცხეყოთ უბედური ბიჭი...

აფხაზეთის ტელევიზიის ქართულ გადაცემაზე ოცნებობდაო ტარიელი, მიამბო მისმა მეზობელმა მანდილოსანმა. ვერ მოესწრო. ისლა მოახერხა, რომ ამ გადაცემით მისი სურათი, კეთილი და ღიმილიანი, ვიხილეთ მისმა თანამოქალაქეებმა.

• • •

ტყვიამ განუგმირა შუბლი კვიტოულთან საჭეს ჩაფრენილ ახალგაზრდა კაცს, დაიჭრა მის გვერდით მჯდომი მამაკაცი, ხოლო დაჭრილის სამი წლის პატარა ირაკლი, ორ მცირეწლოვან ძმასთან მჯდარი, მომაკვდავი ჩიტივით აფართხალდა.

ცას წვდებოდა ბავშვების გოდება, გამწარებული რომ შესთხოვდნენ პაწიას, გაცოცხლდი ირაკლი, გაახილე თვალიო.

ქალაქი როგორც იქნა გაიწმინდა სნაიპერებისგან. არ ისმის სროლის ხმა. თითქოს ცოტა უნდა დამშვიდდეს მოსახლეობა, მაგრამ ჩანს, საამისო დრო ჯერ კიდევ შორსაა, რადგან ცხელმა წერტილმა გუმისთის ხიდს იქით, ეშერაში, ახალ ათონში, გაგრაში, ბიჭვინთაში გადაინაცვლა, საიდანაც გაუგონარი, დაუჯერებელი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ნამდვილი, საზარელი ამბები მოგვდის.

უპრეცედენტო ამბავი ხდება, — ქართველს საკუთარ მიწა-წყალზე საკუთარმა „ძმებმა" (რასაც ხმის ჩახლეჩამდე გავყვიროდით დღემდე) აფხაზებმა, გადამთიელი ყაჩაღები შემოუსიეს და ისეთი ამბავი დაატრიალეს, თვით სისასტიკის სიმბოლოდ ქცეულ მურვან ყრუსაც რომ შეშურდებოდა.

ათობით გადამწვარი სახლ-კარი, ასობით მძევლად აყვანილი ქართველი, დასახიჩრებული, გაუგონარი წამებით მოკლული, ყურებმოჭრილი პატარა ბიჭები, პირში გადამტვრეული, დამწვარი სხეულები, გაუპატიურებული მცირეწლოვანნი, ქალნი და რძალნი, ასომოჭრილი პატარა ბიჭები, პირში ჩაჩრილი ნაღმით აფეთქებულდაგლეჯილი ახალგაზრდა, დედისერთა, 34 წლის ვაჟკაცი, რომლის უბედური დედა ხელებს უკოცნიდა მკვლელს მუხლზედაცემული, შემიბრალეთ, ნუ მომიკლავთო შვილს, მაგრამ ვერ მოულბო აფხაზს გული

ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელსაც ვენა გადაუჭრეს, საწვეთურა დაუდგეს და საკუთარი თვალით აყურებინეს, როგორ იცლებოდა სისხლისგან, როგორ წუთიდან წუთზე ბარდებოდა სიკვდილს.

ცამეტი წლის შვილის უმანკო სხეულის გაჩანაგების უბედურებით ჭკუიდან გადამცდარი დედა, ქართული ოჯახის შეურაცხყოფილი ნამუსი, უხმო ზარი და მოთქმა, შვილთა დაუტირებელი სხეულები, შიმშილი და უსახლკარობა. საკუთარ სახლში, ოფლითა და შრომით წლობით ნაგებში, პატრონად შემოსული გადამთიელი. აი, ის არასრული ნუსხა, იმ უბედურებისა, დღეს რომ ტრიალებს ქართველის თავზე.

• • •

75 წლის, ხუთი ვაჟკაცის დედა მოსთქვამს, — 48 წელი ისე შეუსრულდა ჩემს შვილს, არასოდეს თავის ტკივილის აბიც კი არ დაულევია, არასოდეს კბილი არ სტკივებიაო.

დღეს კი ეს ბუმბერაზი ვაჟკაცი, არნახული სისასტიკით ნატანჯნაწამები, თვალებდათხრილი, სათითაოდ კბილებდამძვრალი, ძვლებდამტვრეული, ტყვიით დაცხრილული ასვენია და არა მარტო თავის გვემული სხეულის დასატირებელ ცრემლს გვადენს, არამედ ამ პირად უბედურებაში განივთულ განსახიერებულ საქართველოს უბედურებაზე შოგვათქმევინებს.

თვითონ კი, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა, ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა იქიდან, სადაც სამ პირტიტველა — „ძმისშვილს" მიჰყავდათ, მაინც ღიმილით მიდიოდა, ცოლშვილს ამხნევებდა... თუმცა ვინ იცის, იქნებ არც სჯეროდა, ასე სასტიკად თუ გაიმეტებდნენ, მაგრამ გაიმეტეს. ეტყობა, ზღვარი არა აქვს იმ პათოლოგიურ სიძულვილს, ჩვენი „ძმები" რომ განიცდიან ჩვენდამი და იმიტომაც გაიმეტეს. ჯერ საკუთარი ხელით ამოათხრევინეს ორმო, მერე კი... მეორე დღეს იპოვეს მეზობლებმა, მაგრამ იმ მეზობლებსაც არ ელოდათ უკეთესი დღე...

სოხუმში ერთი აფხაზი მოუკლავთ გავიგეთ, ახლა სატვირთო მანქანით ყველა ქართველს წაგასხამთ და ნაპრალში ჩაგყრითო, დაპირდნენ და შეუდგნენ კიდეც შესრულებას. რაღაც ბედად გადარჩა ხალხი.

ამ საზარელი ამბებისგან გახევებული, ახლა იმასღა ვფიქრობდი, ასეთი სურათის მნახველს აწი ალბათ ვერაფერი გამაკვირვებს, ეს რისი მომსწრე და მნახველი გავხდი-თქო, მაგრამ ეტყობა ვცდებოდი. თურმე მეტი გაკვირვება წინ მელოდა.

— ღმერთმა ქნას, უკანასკნელი ნაწამები ქართველი ჩემი მეუღლე ყოფილიყოსო, — მეჩურჩულებოდა ედიშერ უგრეხელიძის გამწარებული მეუღლე, ქ-ნი ციალა...

...არა, ამას არ მოველოდი... მჯერა, არ გადაშენდება ის ერი, რომელსაც ასეთი რაინდული სულის მანდილოსნები ჰყავს.

მჯერა, ღმერთი მოიხედავს საქართველოსკენ.

მარეხ ბალიშვილი.



## დაკარგული—დავიბრუნოთ

გვეყო ყოყმანი და გაუთავებელი მოლაპარაკებანი ე. წ. სამშვიდობო მისიის სახელით. მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება არა აღმოჩნდა — რა, თუ არა ფარატინა ქაღალდი, რომელიც ჩვენმა მტრებმა მხოლოდ იმისათვის გამოიყენეს, რომ საქართველოს გვარდიის არსებითი ძალები და ტექნიკა მოეშორებინათ მოწინავე პოზიციებიდან, თავად კი სწორედ ამ პოზიციებზე გამაგრებულიყვნენ. კიდევ მეტი, აწ ავადსახსენებელი 3 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე 3 კილომეტრი კი არა, 15-18 კილომეტრი დაიხიეს ქართული ეროვნული გვარდიის ძალებმა თავისი მძიმე ტექნიკით, მტერს კი ერთი გოჯიც არ მოუცვლია ფეხი უკან. პირიქით, წინ წამოვიდა, ჩვენი მიტოვებული პოზიციები დაიკავა და ქართული სოფლები და მოსახლეობა აიკლო, განძარცვა და გადაჯიკა. თითქმის ახალ ათონამდე მისული ჩვენს ბიჭებს ისევ უკან აბრუნებდნენ და წინ სვლის ნაცვლად უმოქმედობისაკენ ეზიდებოდნენ, ამიტომ თავისთავად უფუნქციოდ დარჩენილ გვარდიელთა შორის საბრძოლო სულისკვეთება ჩაკვდა, მოდუნდა, მოეშვა, გულიც გაუტყდათ, რადგან ყოველივე ეს ომის კი არა, რაღაც გაურკვეველი თამაშის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველაფერი ეს შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ რუსეთის ჩარევითა და ზეგავლენით ხდებოდა, რამაც თითქმის მოგებული ომი კატასტროფამდე მიიყვანა აფხაზეთში.

ხომ არ გაგონებთ ყოველივე ეს 1795 წლის კრწანისის ამბებს, როცა ტოტლებენისა და საერთოდ რუსული იმპერიის იმედით ერეკლემ თითქმის მოგებული ომი წააგო. ნუთუ ისტორია არაფერს ასწავლის თვით მსოფლიოს მასშტაბის პოლიტიკოსებსაც კი!..

მაგრამ მოხდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ, მსოფლიომ დაინახა აფხაზ სეპარატისტთა ნამდვილი სახე, ვინ ვის უმზადებდა გენოციდს, ვინ არის თავისი სიტყვის პატრონი და ვინ მუხთალი, მაგრამ ყოველივე ეს ძლიერ ძვირი დაუჯდა აფხაზეთის ქართველობასა და მთლიანად საქართველოს!

დაკარგული უნდა დავიბრუნოთ და მოღალატეს თავისი წილი უნდა მივუზღათ!..

# დაცემის მოლოდინში

**1992 წლის** 6 მაისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენციაში გახლდით. სანამ ჩემთვის საჭირო განყოფილებას დავუკავშირდებოდი, საკმაოდ უცნაური ინციდენტის მოწმე შევიქენი.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეს, ე. ი. 5 მაისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე, ერთ-ერთ საკითხად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევაც იდგა. ამ პოსტზე დასახელებული კანდიდატურის „ჩავარდნის“ შემდეგ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა არძინბამ პირადი კანდიდატურა დაასახელა და წარმატებითაც გაიყვანა იგი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ დეპუტატთა ფრაქციამ პროტესტის ნიშნად დასტოვა (ეს მერამდენედ) დარბაზი. ამის საპასუხოდ ახლადმოვლინებულმა მაღალი რანგის ხელმძღვანელმა მაღალი ტრიბუნიდან სასწრაფოდ დიდი პათოსით ჩაუტარა „ნათლობა“ ქართველ დეპუტატებს და მათ არც მეტი, არც ნაკლები ნახირს მოწყვეტილი ჯოგი უწოდა. (ამით მან აფხაზური და რუსულენოვანი დეპუტაციაც შეურაცხყო).

სესიის მსვლელობა პირდაპირ გადიოდა ეთერში და მრავალათასიანი ტელემაყურებელთა აღშფოთების მიზეზი არა მარტო ასეთი უპასუხისმგებლო გამოთქმა გახდა, არამედ ეს იყო თვით „არჩევის“ ფაქტი, რადგან ვაჟა ზარანდიას სახელი ამ პოსტზე ასარჩევად წინასწარ დასახელებულთა სიაში არასოდეს უხსენებიათ. გაკვირვებას იწვევდა ისიც, რომ, როგორც სასწრაფოდ გაირკვა, იგი უკვე პენსიაზე ყოფილა გასული. და, რაც მთავარი და უმნიშვნელოვანესია, დეპუტატთა კორპუსის ქართულ და აფხაზურ ფრაქციათა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ უნდა არჩეულიყო ქართველ დეპუტატთა მიერ დასახელებული პიროვნება, რაც უხეშად იქნა დარღვეული აფხაზთა მხრიდან, მაშინ, როცა მსგავს შეთანხმებებს ქართველი დეპუტატები პირნათლად ასრულებდნენ.

ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამ მეტად სერიოზულად აღიქვა ეს ფაქტი და ექვს მაისს უკვე დილიდანვე ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ამ საკითხის ირგვლივ გაისმოდა სჯა-ბაასი, კამათი და აღშფოთება, მაგრამ იმ სცენარის გახმიანებამ უმაღლესი საბჭოს რეზიდენციის კულუარებში, რომლის მოწმეც ჩემდაუნებურად გავხდი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საკომენდატუროში ხანდაზმული, შავებში ჩაცმული მანდილოსანი შემოვიდა და არძინბასთან მიღება ითხოვა, რაზედაც უპასუხეს, რომ იგი ადგილზე არ იყო. მთხოვნელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ დილის საათებში არ შეიძლება ადგილზე არ იყოს. თქვენ განზრახ არ მიშვებთო მასთან. დავას წერტილი დაუსვა სამუშაო კაბინეტიდან დერეფანში ვ. არძინბას გამოჩენამ (?!), შაოსანი ალაშფოთა მორიგე ქალიშვილის სიცრუემ და შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ბ-ნმა ვლადისლავმა მაღალსულოვნად მიაპყრო მას ყურადღება და რბილად მიმართა, რა გნებავთ, მე გისმენთო.

მანდილოსანი მეტისმეტად ღელავდა. ეტყობოდა თავს კონტროლს ვერ უწევდა და საკმაოდ ხმამაღლა და უბოდიშოდ მიმართა მას:

— თქვენ გუშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეთ ვაჟა ზარანდია. მე სესიის მსვლელობას ტელევიზიით ვადევნებდი თვალყურს და ნერვიულობისაგან მთელი ღამე თეთრად გავათიე. იცით თუ არა, ვინ არის ის, ვისი კანდიდატურაც თქვენ დაასახელეთ? ვაჟა ზარანდია ის კაცია, რომელიც გაუპატიურებისთვის 15 წელმისჯილი იყო და მფარველთა დახმარებით 15 არა, მაგრამ სამი წელი ციხეში გაატარაო.

რა თქმა უნდა, ბ-ნ არძინბასათვის დილის ასეთი ვიზიტი მეტად მოულოდნელი და არასასიამოვნო იყო. ნირშეცვლილმა წარბები შეიყარა და ხმადაბლა უპასუხა, — ვიცი მე მისი წარსულიო.

როგორი იყო რეაქცია არძინბას თანმხლები პირისა, რომელიც ახლა იქვე იდგა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ დიალოგს? — ალბათ ისეთი რამ, იშვიათად რომ ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

— მაღალ პოსტზე ახლად დანიშნული ზარანდია გახევებული, გაფითრებული და დაბნეული იდგა... შემოკრებილ ცნობისმოყვარეებს თვალს ვერ უსწორებდა.

ბ-მა არძინბამ თავისი შეურაცხყოფილი პროტეჟე წინ გაიყოლია და სწრაფად აიღო გეზი მანქანისაკენ, ხოლო ხელქვეითთ სიტყვა დაუგდო, — ასეთ გიჟებს ჩემთან ნუ შემოუშვებთო. შაოსანმა პასუხი არ დაუყოვნა, — მე თუ გიჟი ვარ, ექსპერტი დაადგენს, ზარანდიას ავკაცობის დამამტკიცებელი საბუთები კი არსებობს და მას ვერსად გაექცევითო.

დიახ, არსებობს ასეთი საბუთები, დღეისთვის უკვე არქივის საიმედო ჩრდილს შეფარებული.

რაც შეეხება თვით ბ-ნ ზარანდიას, ნაბოძებ მაღალ თანამდებობაზე მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ სასწრაფოდ გაანთავისუფლა სამუშაო ადგილიდან პირადი მდივანი, დამლაგებელი და მძღოლი, — ეროვნებით ქართველები და მათ ადგილზე, რასაკვირველია, არაქართველები აიყვანა.

ისმის კითხვა, რატომ არის ბ-ნი არძინბა ვაჟბატონ ზარანდიაზე ასე შეყვარებული, როცა ნებისმიერი ქართველის დანახვაზე ალერგიასთან ერთად ელეთ-მელეთიც რომ მოსდის?!

ალბათ იმიტომ, რომ ბ-ნი ვაჟა იმდენად არის ქართველი, რამდენადაც აფხაზი. ამასთან ერთად მას სარეცლის გამყოფიც აფხაზი ჰყავს, რომელიც რასაკვირველია, როგორც აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პერსონაჟს ბათუს ნაზიბროლა, ისე სიყვარულით არ მოუყვანია.

სწორედ მას შემდეგ, რაც იგი აფხაზთა სიძე-კაცი გახდა, ბატონ ვაჟას ძველი ცოდვებიც ჩამოეწერა და დაიწყო მისი აღზევებაც, რაც, როგორც ხედავთ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობით დამთავრდა.

მაგრამ ბ-ნ ვაჟას იმასაც შევახსენებთ, რაც მეტია სიმაღლე, დაცემაც უფრო მტკივნეულია, მით უფრო რენეგატისთვის.

ვ. ბ.

რედაქციისაგან:

ვაჟა ზარანდიას პორტრეტი სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ არ დავუმატებდით ახალ შტრიხს, რომლითაც მან თავისივე სახე შეავსო მოსკოვში სამი სექტემბრის შეხვედრის დროს. ეტყობა, ეს საქართველოსა და ქართველი კაცის ინტერესების გამყიდველი აფხაზეთში არძინბამ მისივე ნებით იახლა მოსკოვში, რომ იქაც გაეყიდა ქართველი კაცის ინტერესები და გაჰყიდა კიდეც. ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ამონაწერი სტენოგრამიდან. მხოლოდ მკითხველს უნდა განვუმარტოთ ის, რომ ზარანდიას გამოსვლაში ლაპარაკია აფხაზეთში 1 აგვისტომდე შექმნილ სამხედრო ფორმირებათა შენარჩუნებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დარჩენილიყო ხელუხლებელი აფხაზური მონონაციონალური ფორმირება, ხოლო ქართული ბატალიონი და საერთოდ მთელი ქართული გვარდია უნდა გაეძევებიათ აფხაზეთიდან. აი, სანამდე დაეშვა ვაჟა ზარანდიას ზნეობა, რომელთანაც შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადანის გამყიდველობაც ფერმკრთალდება.

**В. И. ЗАРАНДИЯ.**

Глубокоуважаемый Борис Николаевич, мне хотелось бы поддержать Ва и основные тезисы, которые Вы здесь излагали, и в частности, о том, что до 1 августа.

Это чрезвычайно важно.

Мне хотелось бы подчеркнуть, что такое состояние сегодня там настроений, что та армия, которая туда вошла и которая там действовала, те колоссальные нарушения прав человека, тот фактический геноцид, который проходил под этим лозунгом.

**Б. Н. ЕЛЬЦИН.**

Не нагнетайте пожалуйста, не нагнетайте. Призываю.

**В. И. ЗАРАНДИЯ.**

Нам надо вперед думать. Давайте не будем.

**Б. Н. ЕЛЬЦИН.**

Только конструктивн ые предложения. Любые эмоции сегодня исключаются.

**В. И. ЗАРАНДИЯ.**

Согласен, давайте не будем горячиться.

Я не хотел поддаваться эмоциям, знаете мы договорились об одном о составе делегации. Условия ... сами сейчас появились, я всех их уважаю, совершенно другие люди. Но так нельзя, наверное, если переговоры мы верим на государственном уровне, тогда давайте там...

Еще там десять депутатов из ... групп. И их пригласить, и тогда мы в течение года не закончим эту дискуссию.

ამონარიდი 3 სექტემბრის შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან.

Газета «Кавказский дом», № 26, 1992 г.

ქ. გროზნო.

# ინციდენტი 2

**აფხაზეთის** ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას სხვა მრავალ ანტიკონსტიტუციურ და უკანონო ქმედებათა შორის ერთ-ერთი გახლავთ მისი ინიციატივით შექმნილი მონონაციონალური უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი, რომელიც ასევე უკანონოდ შექმნილ დროებით სამხედრო საბჭოს დაუქვემდებარა და უკაცრავი პასუხია და აფხაზეთის შინაგანი ჯარების სპეციალური დანიშნულების ბატალიონი უწოდა. ამ ბატალიონის მებრძოლთ ცა ქუდად მიუჩნევია და მიწა ქალამნად. სწორედ ამ ბატალიონის წარმომადგენლებმა აღმართეს ისლამური დროშა „სამეგრელო-აფხაზეთის“ საზღვართან, რომელიც დიდი ძალისხმევის შემდეგ იქნა ჩამოხსნილი. თუმცა ეს მიხაკისფერ-ფორმიანი ვაჟბატონები გალის რაიონის ზონაში მონადირებას მაინც არ იშლიან, მათ მორიგ „გმირობას“ უნდა მიეწეროს ქ. სოხუმის მშვიდობის პროსპექტზე მცირე საწარმო „ვალენტინას“ დირექტორის იგორ პეტრეს ძე ხრამოვის მძიმე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ეს ფორმიანი ბანდიტები ბატონ იგორს ყოველგვარი მიზეზის გარეშე ჯერ უწმაწური სიტყვებით, შემდეგ კი ავტომატის კონდახითა და ხელკეტებით გაუმასპინძლდნენ, რის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და ნეიროქირურგიულ ცენტრში იქნა მოთავსებული.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია ამ ფაქტზე, მაგრამ არძინბას მფარველობის ქვეშ მყოფ ამ დამნაშავეებს ცხადია, არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ დღეისათვის, როგორც ჩანს, ბევრი რამ შეიცვალა და სამართალმა პური უნდა ჭამოს.

# იჭვი და სინამდვილე

**აფხაზური** სეპარატისტული მოძრაობის ფესვები იმაზე უფრო ღრმადაა გამჯდარი აფხაზეთის ქართულ მიწაში, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. მე, პირადად ეს აფხაზეთში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე (1954 წ.) ვიგრძენი. ამ სეპარატისტულ მოძრაობაში თავისი კუთვნილი „საპატიო“ ადგილი ყოველთვის განეკუთვნებოდათ ჩემს კოლეგა მთელ რიგ აფხაზ მწერლებს და რაც ამჟამად აფხაზეთში დატრიალდა ამაში მათი წილი ლომისაა, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მწერლები (თუ მათ მწერალი შეიძლება ეწოდოთ!) გენადი ალამია (ნამდვილი გვარი — ლომაია. ჯ. ჯ.) და რაუფ ებჟნოუ ე. წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული ბანდების მეთაურები არიან და სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ სამაჩაბლოში აფხაზ მოხალისეთა გამგზავრებას.

რაც ზემოთ ითქვა, სწორედ ის იჭვია გაცხადებული ჩემს მიერ ადრე დაწერილ რამდენიმე ლექსში, რის დასტურად რამდენიმე მათგანს აქვე გთავაზობთ.

ჯანო ჯანელიძე

## მთვარის ნიღაბი

რევაზ თვარაძეს

აქ ნათებაა მთათა მაღალთა,
ნათება ატანს კუბოს ფიცრამდე
და ჩვენ მდუმარნი ვდგავართ
ტაძართან,
ტაძართან ახე რომ განგვიძარცვეს.

რა უცაბედად გადიზაფხულა
და იცრიცება ზევდის ხუდარა,
კენტი ვარსკვლავი ტაძრის
სახურავს
დაეცა, როგორც კენტი მუდარა.

ვინ გაიხსენებს იმ გზებს, იმ
ხერებს?!.

გზით და ცხოვრებით მეც
დავიღალე,
ჩვენ თუ მოხდა და ვერ
გავიხსენეთ
დე, გაგვიხსენოს ბიჭვინთის ღამე.

გახსოვს სიმღერა, ძმაო, იმ ღამით
როგორ უსმენდი შენს ძმებს
იჭვითა?!.
ცაზე ეკიდა მთვარის ნიღაბი
და ანათებდა იჭვით ბიჭვინთას.

1981 წ.

## სიყვარულის გიწერ ნოტებს

აფხაზ პოეტებს

თუკი, ძმაო, სამტრო მახვილს
აელვებ და ლესავ,
ვინ მოისმენს შენს მოძახილს
სიმღერად და ლექსად?!.

თუკი სითბოს აღარ მისცემ
ხნულში ჩაყრილ მარცვალს,
შეიძლება, ზამთრად იქცე
გაზაფხულის ნაცვლად.

სიყვარულად ავიტოტე,
სიყვარული მფეხვავს,
სიყვარულის გიწერ ნოტებს
სიმღერად და ლექსად.

ჩემი ფაცხა,
შენი ფაცხა
ერთი ხევდით იწვის,
დედაჩემი ცრემლს რომ მარცვლავს
ეს ცრემლია რიწის.

ეს მდინარე, ზღვისკენ რომ რბის,
სიყვარულის მადლით,
ეს ბილიკი მწვერვალამდე
სიყვარულით ადის.

ჩემო სისხლო,
ჩემო ხორცო,
ევვო ერთად ერთო,

როგორ მინდა, სანთელივით
ერთგულებად ენთო!..

მოძახილო თუკი ორბის,
როგორც უცხოს გესმა,
თუკი ნიჟი არ გაქვს ძმობის,
ვერ იქცევი ლექსად.

ვერ იქცევი სიმღერებად,
სინათლედ და ცეცხლად
და იუდას ბედი გელის,
სულს რომ ჰყიდის ვერცხლად.

და ეს მთებიც ასე მტკიცედ
სიყვარულმა შეჰკრა,
მე თუ ძმობა შემოგფიცე,
შენ რად მიწვდი ეკალს?!.

კლდესაც დაშლის ერთი ბზარი,—
ცა ხწუხს ამის გამო,
ჩემი ზარი,
შენი ზარი
ერთ სატკივარს ამბობს.

სიყვარულად ავიტოტე,
სიყვარული მფეხვავს,
სიყვარულის გიწერ ნოტებს
სიმღერად და ლექსად.

1978 წ.

## ბრუტოს!..

ჰაი, შენც აქ ხარ, აქა ხარ, ბრუტოს,
რომ დარცხვენილმა ჩაიბუტბუტო.

ვიცი, შენც ჩამცემ, შენც ჩამცემ ხანჯალს,
რადგან გგონია, არ გელის დასჯა.

მაგრამ იცოდე, ღმერთია მაღლა,
თუმცა თვით ღმერთსაც დაეტყო დაღლა.

დაეტყო დაღლა, არაფერს ამბობს,
მხოლოდ მოითხოვს თაყვანს და ამბობს.

თუმცა ხხვაგვარი ღმერთსა ხწამს გასაჯა, —
მას მახვილს უძღვნის, ვინც ეძმო ხანჯალს.

1989 წ.

## თამაზ ჩხენკელი



### ძველი დრამა

ოტია პაჭკორიას

გაგრა: ყურეზე დაშვებული ამფითეატრი...
აქ ანტიკური სახიობით სუნთქავს ნაპირი
და ბრინჯაოსფრად გარუჯული კოლხი ატრიდი
ისევ იმ ძველი ტრაგედიის თამაშს აპირებს.

ნიღბებს ურჩევენ მზიურ ნესტანს, ცივ ბეატრიჩეს,
სიცხეში თვალი ეპარებათ გმირებს მთებისკენ,
მაგრამ ამაოდ. ჯერ ადრეა. ამფითეატრი
სულგანაბული ელოდება ცბიერ ეგისთეს.

პროტაგონისტი ჯერ არა ჩანს. უნდა დაღამდეს,
ხალხით გაივსოს რესტორანი, აინთოს ბისტრო...
და უკვირს ბებერ ჰერაკლიტეს: ნუთუ აქამდე
გრძელდება დრამა დაწყებული ჯერ კიდევ მის დროს.

1987

### ჩამოსული

ვიღაცა დაძრწის საქართველოში,
ვიღაც უცხო და გადამთიელი,
შედის და გადის შინაურივით,
თუმცა სტუმრადაც არვინ მიელის.

ის ხელებს იქნევს, ყვირის, იქადის,
ის იმუქრება, ბრძანებს, მმართველობს,
რომ ტყავს გააძრობს კუდის რიკამდე
მის არ დამჯერე მთელ საქართველოს...

1988

• • •

წიხლებს გვირტყამენ გუშინდელი ჩვენი მოძმენი,
ჩვენი ძუძუთი დაზრდილები, ჩვენი მკოცნელნი,

გუშინწინ ზრდილი რაინდები, ქველნი მხედარნი,
დღეს ჩვენგან ღვარძლით გათიშული ქვეგამხედვარნი.

ველარ ძლებიან ჩვენი გმობით, ჩვენი · გინებით
ის ჩვენი — სისხლით გაფიცული — შერმადინები.

1989.IV.

### ფარდა

ყელმოღერებულ ანტიურ ქანდაკს
რომ ჰგავდა, — მორჩა: მკაცრია ბოლო!
დამთავრდა,
მძიმედ ეშვება ფარდა
და ფიცარნაგზე გამოდის ქორო.

და აჰა, ბნელში,
იქ,
ფარდის მიღმა,
თითქოს სიცოცხლის გარეთ მყოფები —
ყრიან კოთურნებს, იხსნიან ნიღბებს,
იხდიან სამოსს მსახიობები,

და თავდახრილნი უსმენენ ქოროს,
რადგან იციან: ის ამბობს მართალს.
ჭეშმარიტებას ის ამბობს მხოლოდ,
როდესაც მძიმედ ეშვება ფარდა!

1988.X

### გაგრის ბაზილიკა

სურო ჭამს გაგრის ბაზილიკას.
ველური ხავსი
ხარბი სიცოფით ჩაფრენია ქვათა ნაოჭებს
და გადუშლია ყოფნისა და არყოფნის ზღვარი...
მაგრამ მნახველებს — ეკლესიის კარიბჭის თავზე —
ულამაზესი სიმეტრიით დღემდე აოცებს
შდანდარტი ძველი იბერიის —
რვაკუთხა ჯვარი.

1985

### ოდიში

ვივიანე ჭანტურიას

ოდიში. გზაზე პატარა ოდა.
ოდაში წიგნი, სევდა, ბუხარი
არავითარი დრტვინვა და შფოთვა —
მაცთუნებელი რამ სიმწუხარე.

აქ, თუკი არის, რბილი თათებით
დაიარება კატა — ეროსი,
და მასპინძელში ჭვირს სინატიფე
ალბიონის და სამეგრელოსი.

ძვირფასი ღვინო: „რინა და ძინა“,
„ირო და ჭგირო“, „თქვენს მობრძანებას“,
და ღია კარში ფიქრივით ბრწყინავს
კავკასიონის შორი ზმანება.

1971

### შერიგება

მოდი ვიფიქროთ ამ მშვენიერ დღეზე,
ნულა გავიხსენებთ გარდასულ ტკივილებს,
მოდი შევრიგდეთ, შევრიგდეთ, შევრიგდეთ!
დროა,
უკვე დროა დავიწყებას მიეცეს
გულში ჩათესლილი ცოფი და ბოღმა...
ამ დღემ ამოძირკვოს, ამ მზემ ამოხაპოს
ჩვენი გულებიდან დიდი შავი ღვარძლი!

### ხვედრი

(კითხვა-პასუხი)

კი, არსის ხვედრი არსშია თვითონ,
დიახ: კოკასა შიგან რაცა დგას!
მაგრამ ის ხვედრი ვინ როგორ ზიდოს,
ან რატომ ზიდოს კაცადკაცადმან?

• • •

არ იპატიო ვით მარგალიტი?
თუ ფეხით ჰქელო ვით ღორმან, ღორმან,
რომ ის არ იყო, რაც ხარ,— მალევე
სკორეთი სავსეს რომ ჩახდე ორმოს!

1991

### ბიჭვინთის ტაძარი

მთელ ამ ბიჭვინთის არემარეში
ჩემი ერთგული ეს ტაძარია.
სიტყვის უთქმელად, ფიცის გარეშე
ვუგებთ ერთმანეთს და გვიხარია.

ხოლო ზღვის პირას მაღლივ შენობებს
გაკრიალებულთ დ●რით მზიანით
ეს ლაპარაკი ჩვენი „შენობით“
სწყინთ და რატომღაც ალიზიანებთ.

ცხრაენოვანი ისმის ხმაური
სანაპიროზე... აქ კი — მწყაზარი
ალვების ჩრდილში — ნათესაური
გრძნობით ვსაუბრობთ მე და ტაძარი.

1983

### ძმები

გიორგი გუბლიას

ვარ იმ კუთხეში, სადაც ქართული
ანბანი არის ნაკლებ პატივში...
დავდივარ ისეთ ფიქრში გართული,
თამარის დროს რომ ერქვა „პ ა ტ ი ჟ ი“.

თუ მაგონდება ბესლეთის ხიდი
და საოცარი წიგნი ჰადიშის,
მავანი კაცი — ურგი და ფლიდი —
ნუ ჩამომართმევს ამას ქადილში.

იმ კურთხეული აფხაზთა მეფის —
ქართველთა მეფის ძე და ბადიში
სტუმრად ვარ მე აქ და ჩემი ძმების
უცხო ენაზე მესმის პ ა ტ ი ჟ ი.

1983

### არეული ნაბიჯებით...

ფიროსმანის ფუნჯის ჩრდილში
მიმალული,
ტირიან და ქვითინებენ ნარინჯები,
აფხაზეთი ცრემლიანი, სინანულით
მეგებება არეული ნაბიჯებით...
შოთას ენით არ პაექრობს თამადები,
არც აკაკის და ილიას ლექსით
ვტკბებით?
მეგობრობას, ძმობასა და თავდადებას

უჩივიან ძველი შერვაშიძეებიც...
ფიროსმანის ფუნჯის ჩრდილში
მიმალული,
ქვითინებენ, რონინებენ თურინჯები.

ლანდა მასხულია.



საქართველოს ახლანდელ ყოფას რომ შევცქერი, სწორედ ეთერისა და აბესალომის ამბავი მახსენდება.

აბა, ერთი მოისმინეთ ნაწყვეტი ამ ქართულ-ხალხური საუნჯედან:

„... მიდის მურმანი გზაზე, შეჭყრია ეთერის სურვილი და ჰკლავს. ვინ არის ისეთი, რომ ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო, ფიქრობს თავისთვის მურმანი.

შემოხვდა წინ ეშმაკი მურმანს და ჰკითხა:

— სად მიდიხარ ან ეგრე რას დაღონებულხაროო?

მურმანმა თავისი ამბავი უამბო. ეშმაკმა უთხრა:

— შორს რად ივლი, წამალს მე გასწავლი, ისეთ წამალს, რომ აბესალომმა ეთერი თავისი ხელით მოგცესო, წამალს გასწავლი, თუ

## მურმანის ორეული

შენ სულს მომცემო.

— ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო, — უთხრა მურმანმა.

— მაშ, ქაღალდი დამიწერეო, — უპასუხა ეშმაკმა, — რომ პირობას არ გადახვალ და მერე გასწავლი წამალსაო.

დაწერა მურმანმა ქაღალდი და მისცა ეშმაკს.

ეშმაკმა უთხრა:

— ჭვარს რომ დაიწერენ ეთერი და აბესალომი, ეთერს ჩუმად ერთი მუჭა ფეტვი ხელუკუღმა შეაყარე, მკბენარი დაესევა და რამდენიც არ უნდა აცილონ, ვეღარ მოაცილიან, სანამ შენი ხელი არ მოხვდებაო...“

მურმანი მართლაც ასე მოიქცა და შემდეგ რაც ტრაგედია დატრიალდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

არც ერთი ზღაპარი ისე, უბრალოდ, გასართობად არ შეუთხზავს ქართველ კაცს. შიგ საქართველოსა და ბედკრული ქართველის ბედი არის ჩადებული.

სულგაყიდული მურმანი დღეს ვინც არის, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, უცხო, გადამთიელი ბანდიტები მკბენარებივით რომ დაასხია საქართველოს და ყოველნაირად ცდილობს ნაწილ-ნაწილ აქციოს და დაახლიჩოს იგი.

იმედია, საქართველო ამ გადამთიელ თუ შინაურ ბანდიტ-მკბენარებს მალე მოიშორებს და ეთერქალზე სამართლიანად იქორწინებს. თავისუფლება და ერთიანობაა საქართველოს ეთერ-ქალი.

საფლავს მურმანისას კი, ახლა გროზნოში რომ ნებივრობს და დაჩალიჩობს, რომ სამაჩაბლო ოს სეპარატისტებს უბოძოს, მესხეთ-ჯავახეთი — თურქ-მესხებს, ხოლო აფხაზეთი — აფსუებს, ჩეჩნებსა და ადიღეელთ, ეკალი არ აცდება და შთამომავალნი მურმანივით წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ უკუნითი უკუნისამდე...



## გასამება

როცა არძინბას მსგავს ისტორიკოსთა და ძმათა მისთა სასაცილო მტკიცებებს ვისმენ, რომ ეს ქრისტიანული აფხაზეთი თითქოს არასოდეს ყოფილიყოს საქართველო და, რომ ეს უძველესი და უმშვენიერესი ქართული ქრისტიანული ციხე-ტაძრები მათივე ასომთავრული წარწერებითა და ქართული ჩუქურთმებით თითქოს აფსუებთან ერთად გადამთიელ ადიღეებს აეგოთ და დაემშვენებინოთ (და თან სახვალიოდ, თუ დასცალდათ, აქ მეჩეთის მშენებლობაზე ოცნებობენ), ერთი ქართული-ხალხური ზღაპარი მახსენდება.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ამ ზღაპრის ფაბულა და განსაკუთრებით მის არც თუ სასიამოვნო ფინალს მივაპყროთ ყურადღება.

„ერთ ქალაქში ერთი ისეთი ეკლესია ააშენეს, რომ მისი ბადალი მთელს ქალაქში არ მოიპოვებოდა. გუმბათზე ოქროს ისეთი ჯვარი დაადგეს, მზე რომ უყურებდა, ცეცხლივით კაშკაშებდა.

ერთხელ ამ კლესიას ერთი ყვავი შემოეჩვია, დილიდან საღამომდე იმ ოქროს ჯვარზე იჯდა და ისე გააუბედურა ყვავმა ეს ოქროს ჯვარი, რომ ხისა ეგონებოდა კაცს. როგორ არ სცადეს დაეფრთხოთ ეს ფრინველი, მაგრამ საქმეში ხარ? ბოლოს ამ ეკლესიის მღვდელმა დაუძახა მედავითნეს, დაანახა ჯვარზე მჯდარი ყვავი და უთხრა:

— ან შენ უნდა იყო ამ ეკლესიაში ან ეგ ყვავი მაგ ჯვარზეო.

დაღონდა მედავითნე, რაღას იზამდა? წავიდა შინ, იფიქრა, ბევრი იფიქრა და ბოლოს მოიფიქრა, რაც უნდა ექნა. აიღო ერთი ნაჭერი დამარილებული მჭლე ღორის ხორცი, ერთი ჯამი ღვინო და წავიდა ეკლესიაში. ავიდა გუმბათზე, დაჰკიდა დამარილებული ღორის ხორცის ნაჭერი ჯვარზე და ღვინოც ჯამით ძირს დადგა.

სად იყო და სად არა, მოფრინდა ყვავი და დაჯდა ჯვარზე. ხორცს ჯერ უნდობლად უყურებდა, მერე ვეღარ მოითმინა და ერთი ნისკარტი ჩაჰკრა, გემო მოუსინჯა, ეგემრიელა. მეორე, მესამე და დაიწყო შემდეგ გულდამშვიდებით ჭამა. მედავითნე კი ჩუმად უყურებდა და სიხარულისაგან სულ აკოკუკუს უვლიდა.

ყვავმა ჭამა, ჭამა და როცა გაძღა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაიჩხავლა.

მლაშე ხორცის ჭამის შემდეგ ყვავს წყალი მოსწყურდა, დაიხედა ძირს, ჯამით ღვინო უდგას, აფრინდა და ჯამის გვერდით დასკუპდა.

ყვავმა ჯამის გარშემო ტრიალი დაიწყო, არ ენდობოდა ჯამს, მაგრამ წყურვილმა თავისი გაიტანა და დაიწყო ჯამიდან სმა. რამდენსაც სვამდა ყვავი ღვინოს, იმდენად უფრო მაგრად ედებოდა წყურვილი. იმდენი სვა, რომ მთლად გამოსცალა. როცა დაინახა, ჯამში აღარა იყო რა, აფრინდა ისევ ჯვარზე, მაგრამ ვაი მაგ აფრენას, ძლივს აიტანა ტანი. დაიწყო ყვავმა ჯვარზე ქანაობა და მოუსვენრად ტოკვა, ღვინო თანდათანობით ეკიდებოდა. უცებ შეტორტმანდა, ფრთები უმწეოდ გაფოფრა და ძირს ზღართანი მოიღო. მედავითნეც ამას ელოდა, როგორც მგელი, ისე დააცხრა ამ საბრალო ყვავს, აიღო ხელში, უყურა, უმწეოდ რომ ბლიტავდა თვალებს და მიაძახა:

— თუ ებრაელი ხარ, შე მუდრეგო, ღორის ხორცს რაღათა სჭამ, თუ მაჰმადიანი ხარ, ღვინოს რაღათა სვამ, თუ ქრისტიანი, იმ წმინდა ჯვარს რატომ აფუჭებდიო! — და თავი კედელზე მიუნაყა“.

იმ ყვავის ქცევა და სითავხედე გამახსენდა, როცა აფხაზმა სეპარატისტებმა ე. წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლები აფხაზეთში მოიპატიჟეს და სოხუმში ორგზის ყრილობა ჩაატარებინეს, შემდეგ ამასაც არ დასჯერდნენ და ქალაქი სოხუმი მათ დედაქალაქად გამოაცხადებინეს.

აი, ბედის დაცინვა, თუ გნებავთ, სად ისლამური კონფედერაცია და სად ქრისტიანული აფხაზეთი, კოლხეთის · უძველესი ცივილიზაციის კერა?!. სად ქრისტიანული, ქართული ტაძრები და სად აფსუა სეპარატისტები, როგორც თავად უწოდებენ თავიანთ თავს, ადიღეელთა მოძმენი?!..

ჩვენი ეს ეჭვი გადამთიელი ისლამის წარმომადგენლების შემოსევამ დასტურჰყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ფინალიც იმ გათავხედებული ყვავის ამბის ფინალს დაემსგავსება.

ჩვენ მაინც იმ ქრისტიანი, წარმომავლობით ჭეშმარიტი აფხაზების სიმუხთლე და ღალატი გვაოცებს, უცხო, ურჯულო გადამთიელთ რომ მოძმეებს ეძახიან, მშობლიურ მიწა-წყალსა და ოჯახს რომ აჯიჯგნინებენ, ხოლო საკუთარ მოგვარეებსა და სისხლხორცთ აშკარად თუ ზურგიდან დანას სცემენ და ტყვიას ახლიან.

იქნებ ჰგონიათ, რომ მათი სიყვარულისა და ინტერესების დასაცავად შემოეთესლენ?!

გვიან იქნება შემდეგ თითზე კბენანი!..

ჩვენ მოძმის გატანა და ერთგულებაც ვიცით და შინაურ მტერსა და მოღალატესაც თავის წილს მივუზღავთ.

ნურავის ნურაფერი შეეშლება, დიდი ვაჟა-ფშაველას „სტუმარმასპინძლის“ ტრადიციებზე გაზრდილთ, არც ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერი გოჩა გვავიწყდება, სამშობლოს წამიერი გულმავიწყებლობისათვის საკუთარ შვილს რომ ხანჯალი გაუტარა გულში.

ტოგო ბეჟვაია

ციკლიდან: „ჯვარცმა“

## ...და მაინც უმთავრესი

მშვიდობით, უკვე დროა, ძვირფასო, ძილინების,
ირხევა ოქროს სხივი — მახვილი დამოკლეს,
წელზე ცისარტყელებით და თმებში გვირილებით
მიმასვენებენ სასაფლაოსკენ.

ვაი, რა ადრე მეც ფრთები დამემსხვრა,
თვალებზე დამფენია მეც ნისლი ფოფინა
და მაინც უმთავრესი
და მაინც უმთავრესი,
სიცოცხლე კი არა, სიკვდილი ყოფილა.

ნუ დაინანებთ ცრემლსა და ვარდებს
და კიდევ ღიმილს სევდიან ასულთა,
ვაი, რა ადრე,
ვაი, რა ადრე,
რაც არ დაწყებულა, სწორედ ის დასრულდა.

მშვიდობით, უკვე დროა, ძვირფასო, ძილინების,
ირხევა ოქროს სხივი — მახვილი დამოკლეს,
წელზე ცისარტყელებით და თმებში გვირილებით
მიმასვენებენ სასაფლაოსკენ.

ცოტნე პირველი

ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო ტიციან ტაბიძის სტრიქონებით:

**„მწარეა ლუკმა საქართველოში,**
**პოეტისათვის უფრო მწარე“...**

ამ სიტყვების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, შეგვიძლია ვთქვათ, ქართველი პოეტისათვის, ქართველი მწერლისათვის ათჯერ უფრო მწარეა ლუკმაპური აფხაზეთში.

რატომ? — შეიძლება იკითხოს საქმეში ჩაუხედავმა კაცმა...

კეთილი, მივყვეთ ფაქტებს.

1957 წელს აფხაზეთში დახურულ იქნა ერთადერთი ქართული ალმანახი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართული საოლქო გაზეთიც კინაღამ გააუქმეს და მისი რედაქცია რუსულ გაზეთს დაუქვემდებარეს. 1954 წლიდან კი დაიწყო მკაცრი საპასპორტო რეჟიმი ქართველთა წინააღმდეგ, რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება, და, როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთში ჩაწერის საკითხი პირდაპირ უმაღლესი საბჭოს და პირადად არძინბას კომპეტენციაში შედის, რომლის მიზანია გზა გადაუკეტოს ქართველს აფხაზეთში, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე. ეს იმის ტოლფასია, საკუთარი სახლის კარები რომ გამოგიკეტოს კაცმა.

ერის წარმმართველი და გონება, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ეს შემოქმედებითი ინტელიგენცია გახლავთ.

არ ყოფილიყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და საერთოდ თაობა „თერგდალეულთა“, თავიანთი პერიოდული პრესით, არ იქნებოდა დღევანდელი საქართველო.

ეს კარგად ესმოდათ ჩვენს მტრებს. ამიტომ აფხაზეთში დაიწყო ყოველივე ქართულისა და შემოქმედებითის დევნა.

აფხაზეთის მწერალთა კავშირს დაუქვემდებარეს აფხაზეთის ქართველ მწერალთა სექცია, რომლის შემადგენლობა 24 წევრიდან ნელნელა 16-მდე შემცირდა. შეიძლება თამამად ითქვას, ყოფილი საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ქართველ მწერალთა ეს ერთადერთი უნიკალური ორგანიზაცია გახლდათ, რომელიც ზრდის ნაცვლად მცირდებოდა. და ეს ხდებოდა შეგნებულად, ქართველი მწერლების დისკრიმინაციის ხარჯზე. სამაგიეროდ გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა აფხაზ მწერალთა რიცხვი. 80-ათასიან ხალხს, რომლის მხოლოდ 9 პროცენტმა იცის მშობლიური აფხაზური, ჰყავდეს 50 მწერალი, ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო მასშტაბით. აქედან ოცამდე მწერალი ერთი სოფლიდან, სახელდობრ, კვიტოულიდან, მართლაც გაუგონარი რამ არის. ამას თუ მივუმატებთ სამასამდე აფხაზ ხარისხოვან, ე. წ. მეცნიერს, გასაგები გახდება, თუ რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ აფხაზი ეროვნების ინტელიგენციის წარმომადგენლები შედარებით ქართველი ეროვნების ინტელიგენციასთან.

განა მწერალი, რომელიც წიგნს წერს და არავინ კითხულობს, მეცნიერი, რომელიც ხარისხს იცავს და უხარისხო შრომებს აქვეყნებს, კორუმპირებულ ფენას არ განეკუთვნება?!.

სწორედ ეს კორუმპირებული და პრივილიგირებული ინტელიგენციის წარმომადგენლები გამოდიან დღეს აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის ლოზუნგით და უფსკრულისაკენ ეზიდებიან მშვიდობისმოყვარე აფხაზ ხალხს.

რაიმე უპირატესობას, პრივილეგიას რომ მიაღწიო სხვა ხალხის, სხვა ეროვნების წინაშე, საჭიროა რაღაც განსაკუთრებული ნიშნით გამოირჩეოდე. ასეთ პრივილეგიებს ამტკიცებს და მოითხოვს დაჟინებით და სარგებლობს კიდეც დღემდე აფხაზეთში აფხაზი ეროვნების მოსახლეობა.

რა არის ასეთი უპირატესობა?!

— ის, რომ თურმე ქართველი მოსახლეობა აქ, აფხაზეთში არ წარმოადგენს მკვიდრს, რომ ერთადერთი მკვიდრი ამ მიწისა გახლავთ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები.

ეს ასედაც რომ იყოს, არავითარი საერთაშორისო თუ უბრალო ადამიანური კანონით არავის არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს აბორიგენობა.

მე ამ საკითხს, აბორიგენობის საკითხს ჩემს გამოსვლაში დიდ ადგილს ვერ დავუთმობ და ეს არც არის დღეს ჩემი მიზანი. მაგრამ, რადგან სწორედ ის, რომ ქართველის არააბორიგენობა, ის რომ თითქოს ქართველის არამკვიდრობა გახდა აფხაზეთში ქართველი კაცის დამონების მიზეზი, ამიტომ ყოველგვარი ისტორიისა და წყაროების გარეშე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას, თუ ვინ არის ამ მიწის აბორიგენი, ის, ვინც ქართულ ქრისტიანულ ტაძრებს, ხიდებს, აგებდა და ზედ ქართული ღმერთის ადიდებელ ლოცვა-კურთხევას ურთავდა, თუ ის, ვინც გუშინწინ, უფრო სწორად, 1912 წელს გამოსცა თავისი პირველი წიგნი და ისიც ქართველი კაცის, მაჭავარიანის მიერ შედგენილი ალფა-ბეტით.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება ხალხი ისლამს ადიდებდეს, მუჰამედს ქედს უხრიდეს და იესო ქრისტეს სადიდებლად აგებდეს ტაძარს და მის საგალობლებს აღავლენდეს ამ ტაძართა ფრესკა-კედლებზე?!.

დიახ, ყველა არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლი აფხაზეთში უპირველესად ქრისტიანულია და ამასთან ერთად ქართული, რომელთაც ქართული არქიტექტურა და წარწერები, ლოცვა-კურთხევა ამშვენებთ. არც ერთი სხვა ძეგლი აფხაზეთში არ მოიძიებოდა და არც მოიძიება.

მიწა, მისი შემოგარენი სწორედ მისია, ვინც მასზე ისტორიულ-კულტურულ-არქიტექტურულ ძეგლებსა და ტაძრებს აგებდა, ვინც მისი სულიერი კულტურისა და ცივილიზაციის ანაბეჭდები დააჩნია და არა ის, ვინც ნახირს აძოვებდა და მომთაბარის უდარდელობით გადაუარა და გადაჯიკნა ეს მიწა.

სხვა მეტი თუ არა, სასაცილოცა და სატირალიც არის იმის მტკიცება, რომ აფხაზეთი აფსუების კუთვნილებაა და არა ქართველების, რომ აბორიგენები აქ აფსუაა და არა ქართველი, რომ ორი აბორიგენი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგება.

დიახ, მართალია, ორი აბორიგენი ერთდროულად არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ვინ არის ის ერთი?!

ამაზე მინდა, პასუხი გავცე აფხაზ ცრუ მეცნიერებს არა ქართველი მეცნიერებისა და ისტორიკოსების პოზიციიდან, არამედ ლიტერატურის, უფრო სწორად სპარსელი პოეტის სიტყვებით, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და, რომ ეს პოეტი გახლავთ ხაყან შირვანელი და მას მოვუსმინოთ.

**ტრფობით შენი თეთრის ხახით**
**და კვების, მას რომ ამკობს,**
**აფხაზეთში ლტვუხსრლე**
**და ქართულად ვლაპარაკობ.**
**იმდენჯერ და ისეთი ხმით**
**გიხმობ: „მოი, მოი აქო“,**
**ენა თმისებრ დამიწვრილდა**
**და თმა ენად მექცა, კარგო.**

იქნებ ვინმემ იფიქროს, სიყვარულით გულდამწვარ პოეტს ტარაბუა დაესხა თავს და ქართული და აფხაზური ერთმანეთში აერიაო.

არა და არა!

პატივცემულ სპარსელ პოეტს ხაყანის ისე კარგად სცოდნია ქართული, რომ სიტყვები „მოი, მოი“ სპარსულ ლექსში ქართულად ჩაუწერია.

და კიდევ ერთი მტკიცება, რომ აფსუები აქაური მკვიდრნი არ გახლავთ და მათ მეცნიერ-ფოლკლორისტს, პროფესორ შალვა ინალიფას, ადრე ინალიშვილს, ვურჩევდი, ისტორიკოსობას თავი ანებოს და ეთნოგრაფი თუ არის, აფსუურ ხალხურ მასალებს ჩაუღრმავდეს, სადაც, როგორც სარკეში, ისე ნათლად ჩანს, ვინ საიდან არის ჩამობრძანებული და აქ, აფხაზეთში დასახლებული:

**აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს**
**ძარცვავ**
**და მთებს უდგეხარ ერთგულ**
**დარაჯად**
**და არცა შენი ნავალი, არცა**
**კვალი არა ჩანს.**

(თარგმანი გ. ნიშნიანიძისა, ზწკარედული თარგმანი და კომენტარები ბ. გურგულიასი).

**გადაიხვეწა კაენი უფლის პირისაგან და დაესახლა ნოდის ქვეყანაში, ედემის აღმოსავლეთით.**

# სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას



უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ტაეპი უძველესი აფხაზური პოეზიის ნიმუში გახლავთ, რომელიც ნადირობის ღმერთს აირგს ეძღვნება და როგორც აქ მოყვანილი სტრიქონებიდან ჩანს და მათლადაც, ეს ნადირობის ღვთაება მთის მკვიდრია, მთებს უდგას დარაჯად და ზღვისპირეთსა და ბარში მხოლოდ იმისათვის ჩამოდის, რომ ნადავლი წაჰგვაროს და განძარცვოს. როგორც მოგეხსენებათ, ღმერთი კი არა, რიგიანი კაციც არ ძარცვავს საკუთარ სამფლობელოსა და საცხოვრისს.

ნათქვამია, რაც სიმღერა, ღმერთიც და კაციც იგივეო და ეს ღმერთიც და კაციც ზღვისპირელნი კი არა, მთიდან არიან ჩამობრძანებულნი და ასეთ შემთხვევაში დღესავით ნათელი ხდება, რატომ ასე თავგამოდებით ცდილობენ აფსუა-სეპარატისტები თავი შეაფარონ კავკასიის ხალხთა კონფედერაციას და ამ გაერთიანებაში ნებით თუ უნებლიეთ მიათრევენ აფხაზეთის ქრისტიანულ მოსახლეობას.

საამისოდ აფხაზეთის აფხაზური თუ რუსულენოვანი საინფორმაციო საშუალებანი თავგამოდებით ცდილობენ და უკვე კარგა ხანია, რომ ქართული მოსახლეობა შემთხვევით შემოხიზნულად მიიჩნიონ აფხაზეთში და ცრუმეცნიერნი თუ ლიდერნი აფხაზური ე. წ. ეროვნული მოძრაობისა გასაოცარი მკრეხელობით ცდილობენ, რომ ჩვენ, ქართველებს ოკუპანტების სტატუსი მოგვანიჭონ.

დიახ, ეს ოკუპაციის ახალი ფორმაა, როცა საკუთარი მიწის, წყლისა და ტაძარ-ეკლესიების ოკუპაციას ახდენს ხალხი.

ასეთ შემთხვევაში რა გასაკვირია, რომ აფხაზეთში უკვე ათეული წლებია ყოველივე ქართულის იგნორირება კი არა, დევნაც ხდება.

ყველა შემოქმედებითი სადავე, რასაკვირველია, აფსუებმა ჩაიგდეს ხელთ. დავიწყოთ იმით, რომ კულტურისა და განათლების სამინისტროები მთლიანად დაკომპლექტებულია აფხაზური კადრებით, ასევე თეატრალური და მუსიკალური საზოგადოებანი და იქ ქართველები მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელნი თუ არიან. იგივე მდგომარეობაა ყველა შემოქმედებით ორგანიზაციაში. სახელდობრ, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირებში, როგორც წესი, სათავეში მხოლოდდამხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები უდგანან.

იგივე მდგომარეობაა აფხაზეთის ტელერადიოკომიტეტში, სახელმწიფო გამომცემლობა „ალაშარაში“, პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებაში, რის გამო ქართული წიგნებისა და ჟურნალის გამოცემა ნულამდეა დაყვანილი. სამაგიეროდ დაუბრკოლებლივ გამოდის ხუთი აფხაზური ჟურნალი, ოთხი აფხაზური და რუსულენოვანი გაზეთი, რომელთა მიზანი მხოლოდდამხოლოდ ერთია: ანტიქართული პროპაგანდა.

ახლახან გაუქმებულ იქნა აფხაზეთის ბეჭდვითი სიტყვის სამმართველო, ხოლო პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, რომლის მშენებლობისათვის საქართველოს ბიუჯეტიდან 4 მილიონამდე მანეთი იქნა დახარჯული, გამოეყო საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის პალატას, შეუერთდა გამომცემლობა „ალაშარას“ და ქართული წიგნების გამოცემა საერთოდ შეწყდა.

ყოველივე ამას თუ მივუმატებთ იმას, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიას მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების დარგში ხელმძღვანელობს „აიდგილარას“ თავკაცი სერგეი შამბა, ხოლო ქვეკომისიებს აფხაზი ზანთარია და რუსი ლოგინოვი, ცხადი გახდება ქართული ინტელიგენციის და შემოქმედებითი დარგის მუშაკთა ხვალინდელი დღე აფხაზეთში.

ჩვენ პრინციპულად მოვითხოვთ გადახალისდეს ან სრულიად შეწყდეს ამ კომისიის მუშაობა. პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება გაიყოს შუაზე და მისი ნაწილი თავისი მანქანა-დანადგარებით მიეცეს ახლად დაარსებული გამომცემლობა „მერანის“ ფილიალს და განახლდეს ქართული წიგნების გამოცემა.

სისრულეში იქნას 1989 წლის 15 ივნისის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება, რათა აფხაზურ ტელევიზიაში დროის განსაზღვრული მონაკვეთი დაეთმოს გადაცემებს ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ბიუჯეტში ქართულ მოსახლეობას შეაქვს შემოსავლის 50-ზე მეტი პროცენტი, ხოლო აფხაზურ მოსახლეობას სამი პროცენტი. მთელ ბიუჯეტს კი ხელის ერთი მოსმით დაეპატრონენ ჩვენი ოპონენტები. სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი, ვინ შრომობს და ვინ ჭამსო, უფრო სწორად, გალელები შრომობენ დაა გუდაუთელები მიირთმევენ.

განა ამის დასტური არ არის ის ფაქტი, რომ, როცა აფხაზურ ტელევიზიაში ქართული გადაცემის საკითხი დადგა, პასუხი ასეთი იყო აფხაზეთის ხელისუფალთაგან, ბიუჯეტი არ გვყოფნისო.

ხალხნო, რაღა მაინც და მაინც მაშინ ცარიელდება აფხაზეთის ბიუჯეტი, ქართველი რომ მოითხოვს მის უმცირეს ნაწილს, ხოლო ამ ბიუჯეტიდან კარგა სოლიდურ ხელფასს იღებენ და განცხრომით ცხოვრობენ დაქირავებული რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ჩვენ დასათრგუნად მოიხმეს აფხაზეთში.

ახლა ამასაც არ დაჯერდნენ აფხაზი ექსტრემისტები და ყოველგვარი კანონიერების გარეშე შექმნეს აფხაზური გვარდია, შეაიარაღეს იგი კბილებამდე.

იმის კითხვა, ვის ხარჯზე ხდება მათთვის გრანდიოზული იარაღის შეძენა და იმ სოლიდური ხელფასის გაღება, მაშინ, როცა აფხაზეთის პენსიონერებს თვეობით პენსიას ვერ უხდიან, ხოლო პედაგოგებსა და სხვათა და სხვათა უკვე 4-5 თვეა გასამრჯელო არ მიუღიათ და სულს ღაფავენ შიმშილისაგან.

ხალხის გონი და წარმმართველი ძალა ყოველთვის შემოქმედებითი ინტელიგენცია იყო.

დიახ, აფხაზეთის ქართული ინტელიგენცია ვალდებულია იკისროს როლი მოთავისა, რომელმაც ამ ქაოსიდან და პოლიტიკური უღრანებიდან უნდა გამოიყვანოს ქართული მოსახლეობა.

კმარა ქართველთა დისკრიმინაცია, გამუდმებით წნეხში მოქცევა და მონის მდგომარეობაში ყოფნა.

ქვეყანა, სადაც ეროვნული ნიშნის მიხედვით ეძლევა უპირატესობა ადამიანებს, უსამართლობისა და ჩამორჩენილთა ქვეყანაა.

თუმცა ამის შესახებ შეგვიძლია მოვუსმინოთ ცნობილ რუს პოეტს ანდრეი ვოზნესენსკის:

**«Для человека**
**национальность**
**И не заслуга,**
**И не вина.**
**Если в стране утверждают**
**иначе, значит,**
**Несчастная это страна...».**

ენგურის პირას, აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვართან აფსუური ისლამური დროშა ფრიალებს, ნიშნად იმისა, თითქოს საქართველო სხვა არის და აფხაზეთი სხვა და ვინც ასე ფიქრობს, იგი ღალატობს არა მარტო საქართველოს საერთო ინტერესებს, არამედ უპირველესად თვით აფხაზ ხალხს და მას უბედურებასა და სისხლისღვრას უმზადებს.

აბა, კარგად ჩავუფიქრდეთ აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის დიმიტრი გულიას სიტყვებს, რომელიც თითქმის 40-50 წლის წინათ არის წარმოთქმული:

„ჩვენ ერთ ცისქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ, მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველებს არა მგონია, ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია“.

არა მგონია, ამ სიტყვების ავტორზე მეტად უყვარდეს რომელიმე აფსუას აფხაზეთი.

**ჯანო ჯანელიძე**

**სიტყვა წაკითხულია აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის I ყრილობაზე. 1992 წელი, მაისი.**

ახლა სოხუმის ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, სასურსათო მაღაზიებთან გამართულ რიგებში თუ სხვა თავშეყრის ადგილებში ხშირად გაიგონებთ შეშფოთებულ კითხვას: „მაინც რატომ ვძულვართ აფხაზებს ქართველები ასე საშინლად?“ სამწუხაროდ, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი ვერ გაეცემა. აფხაზთა მიმართ ქართველებში კი მიუხედავად ყველაფრისა, ამას ვერ შენიშნავთ: — ქართველები აფხაზებს როგორც სისხლით ნათესავებსა და ძველ მეგობრებს, პატივს მიაგებენ.

მაგრამ ეს უკანასკნელი აზრი უკვე სხვა საუბრის თემაა.

ამჟამად უფრო საინტერესოა საკითხი, მართლაც რამ გამოიწვია აფხაზ მოსახლეობაში ასე ფესვგადგმული ქართველთმოძულეობა? ვფიქრობ, ეს მეცნიერული გამოკვლევის საგანია და სათანადო გულდასმით, გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს.

მე მეცნიერი არ გახლავართ და, რაღა თქმა უნდა, კომპეტენტური ვერ ვიქნები, მაგრამ მსურს გადმოგცეთ ზოგი ჩემი მოსაზრება, რომლებიც შესაძლოა საკამათო, მაგრამ ამასთან საინტერესოც იყოს.

ჩემის აზრით, ამ სიძულვილის ორგვარი სახეობა არსებობს: რეალური და ყალბი, გამოგონილი.

სიძულვილის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი გახლავთ რუსეთის იმპერია და მისი ვერაგული, იმპერიული პოლიტიკა, რომელიც მოკლედ გამოიხატება ცნობილი დევიზით — „გათიშე და იბატონე“, ამ დევიზით რუსეთის მესვეურები ცდილობდნენ და ხშირ შემთხვევაში მიზანსაც აღწევდნენ, ერთმანეთისთვის გადაეკიდებინათ, არა მარტო სხვადასხვა წარმოშობისა და რელიგიური აღმსარებლობის ტომები და ხალხები, არამედ თვით სისხლით მონათესავე, საუკუნეობით ერთად ცხოვრებით ერთმანეთს მტკიცედ დამოყვრებული, ფაქტიურად ერთი კულტურით განათლული ხალხებიც. ასეთები იყვნენ, მაგალითად, აფხაზები და ქართველები.

მაჰაჯირობის შემდეგ აფხაზი მოსახლეობა აქ, სამშობლოში, ცოტაღა დარჩა. იგი რუსეთისათვის აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა კავკასიაში, კერძოდ, შავიზღვისპირეთში. სამაგიეროდ, საშიში იყვნენ შედარებით მრავალრიცხოვანი ქართველები და კიდევ უფრო მეტად საშიში — აფხაზ-ქართველთა უძველესი დროიდან მომდინარე, საერთო ჭირ-ვარამით ფოლადივით ნაწრთობი ძმობა-მეგობრობა. ეს ურთიერთკავშირი იმდენად ღრმა იყო, რომ აფხაზი თავადაზნაურობა, და, საერთოდ, განათლებული აფხაზები თავს ქართველებადაც კი თვლიდნენ.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის კანცელარია ქართულ ენაზე მუშაობდა. თვით მთავარი მიხეილი რუს გენერლებს ოფიციალურ წერილებს ქართულად სწერდა, ხოლო მისი შვილი, პირველი აფხაზი მწერალი გიორგი შარვაშიძე ქართულად წერდა ლექსებს, დრამებს, თუ სხვა ნაწარმოებებს.

რუსეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა აფხაზები და ქართველები ერთმანეთისათვის წაეკიდებინა, მათი ძმობის მოშლით, მათ შორის მტრობის ჩამოგდებით, თვითონ ესარგებლა, ისინი დაესუსტებინა და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად, თავაუტკიებლად ებატონა.

ამ მიზნით აფხაზთა მიმართ მტრული პოლიტიკა ფარისევლური ლოიალობით შეცვალეს; აქებდნენ მათ ვაჟკაცობას, სტუმართმასპინძლობას, რაინდობას და სხვა. მათ დიდძალი მიწები დაურიგეს და, საერთოდ, მისცეს მრავალი პრივილეგია. აფხაზ-ქართველთა ამ მტკიცე და ურღვევი ძმობის მოშლაში თავისი დიდად უარყოფითი როლი ითამაშა, აგრეთვე, მაშინდელმა განათლების სისტემამაც, რომელიც, ძირითადად, რუსული შავრაზმული იყო.

შედეგად აფხაზობა თანდათან რუსებისაკენ გადაიხარა, ქართველი ხალხი მისთვის თანდათან უცხო ხდებოდა, ისინი სულ უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა მათ შორის უშუალო მტრობას ადგილი არ ჰქონია 1918 წლამდე, მანამ, სანამ ახალი თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო არ შეიქმნა. მაშინ მოხდა აფხაზ-ქართველთა პირველი დაპირისპირება... და მას შემდეგ აფხაზობა სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ავნოს ქართველებს, რაც შეიძლება მეტი რამ წაჰგლიჯოს საქართველოს...

რუსეთის იმპერიის ეს უკუღმართი პოლიტიკა გაგრძელდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგაც. აფხაზეთს მიეცა პოლიტიკური ავტონომია. აფხაზები გაბატონდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუმცა აქაც ისინი ეროვნულ უმცირესობას შეადგენდნენ.

ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის პერიოდში ანტიქართული ბაცილებით აფხაზი ხალხის მოწამვლა კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა. აფხაზებს ყოველ კაპრიზს, ყოველ ახირებულ მოთხოვნას ზედმიწევნით უსრულებდნენ, საოცარი ხელგაშლილობით აძლევდნენ ყოველგვარ პრივილეგიას სწორედ ქართველი ხალხის ხარჯზე. აფხაზთა ერთმა ნაწილმა ირწმუნა, თუ ისინი გამუდმებით გამოვიდოდნენ ქართველთა წინააღმდეგ, თუ უფრო შეიძულებდნენ ქართველებს, რუსები მათ უფრო მეტი წყალობით აავსებდნენ, მაღალ პოსტებს, ყოველგვარ მატერიალურ კეთილდღეობას მიუბოძებდნენ. ასეც ხდებოდა. ე. ი. აფხაზობა ფაქტიურად ჯილდოვდებოდა სწორედ ქართველთა მტრობისა და სიძულვილის გამო.

# ქართველთ-მოძულობის სინდრომი



ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიიღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან.

სიძულვილის მეორე რეალური წყარო გახლავთ 1937-1953 წლებში დაშვებული არასწორი პოლიტიკა, როცა აფხაზი ხალხი მართლაც განიცდიდა ერთგვარ პოლიტიკურ დისკრიმინაციას, ნაციონალურ შევიწროებას. ეს კარგად ახსოვთ აფხაზთა ძველ და საშუალო თაობებს და ვერც მოუნელებიათ. არ სჯერათ საქართველოს ხელმძღვანელთა ფიცი, რომ მაშინ დაშვებული შეცდომები არ განმეორდება, პირიქით, აფხაზთა უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდება. ამ ხალხში მაშინდელი უუფლებობით დაგროვილი წყენა გახლავთ ჩვენდამი სიძულვილის მეორე წყარო.

კონფრონტაციისა და მძულვარების ამ საშინელ მოძალებაში, ალბათ, სავარაუდოა, აგრეთვე, რელიგის როლიც. მაჰმადიანიზმი — აფხაზთა ძირითადი რელიგია, ერთგვარად უბიძგებს მათ უნდობლად, მტრულად მოეკიდონ ქრისტიან ქართველ ხალხს. იგივე რელიგია, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდ როლს თამაშობს მათ სიმპათიებში ჩრდ. კავკასიის მთიელ ხალხებთან, რომლებთანაც იგი მტკიცე ალიანსშია და თავისი მთავარი ქალაქიც — სოხუმიც კი გამოაცხადა ყბადაღებული ჩრდ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქად, ხოლო აფხაზეთის სოფლები ჩეჩენთა და ადიღე-ჩერქეზების სათარეშო არენად აქცია...

სიძულვილის ყალბი, მაგრამ ფრიად ანგარიშგასაწევი წყაროა საქართველოს მტრების, პირველ რიგში, მოსკოვის საინფორმაციო საშუალებების მიერ ფართოდ გავრცელებული, საჭურვისეული, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მტკიცება, თითქოსდა საქართველო იყოს მცირე იმპერია ანუ მის მიწა-წყალზე მცხოვრები მცირე ერების, კერძოდ, აფხაზებისა და ოსების მჩაგვრელი.

აი, რას ვკითხულობთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“: „იმპერია მსხვილი კოლონიური სახელმწიფოა. იმპერიას შეადგენს მეტროპოლია და მისი კოლონიები“. შეეფერება თუ არა იმპერიის ეს განმარტება ადრინდელ ან თანამედროვე საქართველოს? რასაკვირველია, არა და არა!

ადრე და შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო ძალიან იშვიათად, ისიც მოკლე დროის მანძილზე თუ იყო სუვერენული ქვეყანა, იშვიათად ახორციელებდა თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას, არც ვრცელი ყოფილა იგი ოდესმე (გარდა მეთორმეტე საუკუნისა). საქართველოს მეფეს არასდროს უტარებია იმპერატორის ტიტული. არასდროს ჰქონია კოლონიები და თვითონაც არ ყოფილა მეტროპოლია. ხოლო მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის თითქმის ორი ათეული წელი საქართველოს სახელმწიფო არც არსებობდა. 1918-21 წლების საქართველო იყო დემოკრატიული რესპუბლიკა და მასში შემავალი მცირე ხალხები სარგებლობდნენ კულტურული ავტონომიის უფლებით მაშინდელი საერთაშორისო კანონების კვალობაზე.

შემდეგ წლებში, როგორც ვიცით, საქართველომ ფაქტიურად კვლავ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, შედიოდა რა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სინამდვილეში თვითონ წარმოადგენდა რუსეთის კოლონიას.

თანამედროვე სუვერენული საქართველო ნაწილობრივ კვლავაც დამოკიდებულია რუსეთზე. რუსეთის გარეშე ვერ წყვეტს არა მარტო საგარეო, თვით თავის საშინაო საჭირბოროტო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებს, ფაქტიურად მას ჯერ კიდევ არ მოუპოვებია სრული თავისუფლება, ხოლო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს აქვთ ზოგს კულტურული და ზოგს პოლიტიკური ავტონომია.

განა ვინმე ჰკუათამყოფელი იტყვის, რომ თანამედროვე საქართველო იმპერიაა? ყოფილ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში თუ ვინმე იყო უუფლებო და დამცირებული, სწორედ ქართველები იყვნენ. სწორედ ისინი განიცდიდნენ დისკრიმინაციას, ნაციონალურ და სხვა სახის შევიწროებას ოს და აფხაზ ხელისუფალთაგან.

ვფიქრობთ ეს საკითხი ისე ნათელია, რომ რაიმე საბუთებს და საგანგებო მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს.

მაგრამ აფხაზმა სეპერატისტებმა ხელზე დაიხვიეს ეს სახაროვისეული აბსურდული თეორია და ყველგან გაჰყვირიან, თითქოს საქართველო იმპერია იყოს და ჩაგრავდეს აფხაზ ხალხს, რაც სინამდვილეს სრულებით არ შეეფერება.

საქართველო და ქართველები ბევრ აფხაზში იწვევს სიძულვილს აფხაზთა ვაიპოლიტიკოსების მიერ შეთხზული მითით, თითქოს აფხაზეთი ქართველთა მიერ იყოს ანექსირებული, დაპყრობილი. ისინი ამტკიცებენ, რომ 1918 წელს შეიქმნაო დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკა, რომ თითქოს იგი ეცნოს ლენინს.

მივყვეთ ფაქტებს. 1918 წელს აფხაზმა კომუნისტმა ლიდერებმა აფხაზეთი მართლაც გამოაცხადეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მაგრამ ერთია შენს თავს უწოდო დამოუკიდებელი და მეორე — სხვებმა მიგიჩნიონ, ჩაგთვალონ ასეთად. ვინ არ იცის, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ახალი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო ხდება ის ქვეყანა, რომელსაც სცნობს, როგორც მინიმუმი, თუნდაც სამი სუვერენული სახელმწიფო.

ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით ნამდვილად მიესალმა ლენინი აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნას? დავუშვათ, სიტყვიერად მართლაც მიესალმა მას; განა ეს რამეს ნიშნავს? არა, არ ნიშნავს, თუ მას არ მოჰყოლია შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი; ისეთი დოკუმენტი, რომელიც რუსეთის მთავრობის მიერ აღიარებდა დამოუკიდებელ აფხაზეთის რესპუბლიკას, არ არსებობს! და თუნდაც არსებობდეს, განა საკმარისი იქნებოდა იგი? რა თქმა უნდა, არა! ერთი ქვეყნის მიერ აღიარება, რაც უნდა დიდი და ძლიერი იყოს იგი, სრულებითაც არ კმარა. მაშ, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არასდროს ყოფილა და არც 1918 წელს ჩაუთვლია იგი რომელიმე ქვეყანას დამოუკიდებლად. ხოლო სხვაზე დამოკიდებული ქვეყნის დაკავება სამხედრო ძალით არამც და არამც არ ნიშნავს მის ანექსიას, მითუმეტეს, თუ ეს სამხედრო ძალა თავისივე ქვეყნისაა.

ასეთი ვითარება იყო სწორედ მაშინ, 1918 წელს აფხაზეთში, როცა ქართული გვარდია გადაადგილდა თავისსავე ტერიტორიაზე ოდითგანვე საქართველოს შემადგენელ ნაწილში — აფხაზეთში.

ამგვარად აფხაზი პოლიტიკოსების მტკიცება, თითქოს ეს ქვეყანა ქართველებს დაეპყროთ, სინამდვილეს არ შეეფერება, იგი აშკარად პროვოკაციულია და მიზნად ისახავს აფხაზ ხალხში ქართველისადმი სიძულვილის ისტერიის გაღვივებას.

სამწუხაროდ, მათ მიზანს მიაღწიეს. პრესითა თუ ტელევიზიით ყოველდღიურად გადმოცემულმა ამ მონაჩხმახმა შხამიანი ნაყოფი გამოისხა, რომელიც საკმაოზე მეტი დოზით ვიგემეთ ქართველმაც და აფხაზმაც.

ქართველმა სწავლულმა ისტორიკოსებმა მეცნიერული მსჯელობის საგანი უნდა გახადონ და ამ ყოვლად დაუსაბუთებელ აზრს დაუპირისპირონ ობიექტური, დასაბუთებული სიმართლე, რომ ამიერიდან მაინც არ მოუწამლონ სიცოცხლე აფხაზთა მომავალ თაობებს.

სიძულვილის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, აგრეთვე, აფხაზ პოლიტიკოსთა და მეცნიერთა მტკიცება, თითქოს აფხაზეთი მხოლოდ აფხაზთა სამშობლოა და ქართველები აქ შემდეგ მოსულები, უცხო ხალხი იყოს, რომ თითქოს ეს უცხო ხალხი მათ სამშობლოს ართმევს. ეს მტკიცება ქართველი და რუსი მეცნიერების მიერ განადგურებულია, მაგრამ აფხაზი ლიდერები მაინც თავისას არ იშლიან, ხელზე იხვევენ მას, რომ უბრალო მშრომელ აფხაზებს ჩვენდამი სიძულვილი ჩაუნერგონ. აფხაზური ელიტის მიზანი მარტივია: განუყოფლად იბატონონ აქ, ამ ქართულ მიწაზე, ჩაგრონ აქ მცხოვრები ხალხები, თვითონ მიისაკუთრონ, მიითვისონ ყველა დიდი თუ პატარა სახელმწიფოებრივი პოსტი, ამ მშვენიერი უხვი კუთხის ყველა სიმდიდრე, ყოველი სიკეთე, ხოლო სხვა ხალხი, მათ შორის ამ მიწის მკვიდრი მოსახლეობა — ქართველები, უკეთეს შემთხვევაში, თავიანთი სურვილების ბრმა აღმსრულებლებად ჰყავდეთ, ხოლო უარეს შემთხვევაში კი მათ განზრახული ჰქონდათ ქართველთა უდიდესი ნაწილის აფხაზეთიდან გასახლება და აქ ჩეჩენთა და ადიღურ-ჩერქეზული ტომების ჩამოსახლება. ამდენად, მათ სურდათ მოეწყოთ ქართველთა გენოციდი, რასაც კიდევაც მიაღწიეს (ნაწილობრივ) 1989 წლის ივლისსა და ამჟამად 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში იძულებით თავსმოხვეული სამოქალაქო ომით.

ამიერიდან ეს აღარ უნდა განმეორდეს აფხაზმაც და ქართველმაც უნდა მტკიცედ დავიხსომოთ და ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ქვეყანა, რომელსაც ჰქვია „აფხაზეთი“, ორი ხალხის: აფხაზების და ქართველების სამშობლოა. ამ მშვენიერ, ბარაქიან მიწაზე ორივე ხალხი, სხვა ერთა წარმომადგენლებთან ერთად, იცხოვრებს მშვიდობიანად და ბედნიერად კიდევ უფრო უკეთესი მომავლის დასამკვიდრებლად.

ექსტრემიზმში გადაზრდილი აფხაზური რადიკალიზმი დამარცხდა. ახლა უნდა ჩამოყალიბდეს ზომიერი აფხაზური პოლიტიკა, რომელიც სწორად წარმართავს აფხაზი ხალხის ურთიერთობას სხვა ხალხებთან, უწინარეს ყოვლისა, ამ მიწის უძველესი მკვიდრის, სისხლით მონათესავე ქართველი ხალხისადმი.

**ამირან მიქაუტაძე,**
მწერალი.

სისხლიანი ქრონიკები

# ნურას უკაცრავად!..

მოგეხსენებათ, გემოვნება არასოდეს ღალატობდა აფხაზეთის უმაღლეს პარტიულ ელიტას და რეზიდენციაც შესაფერისი დაიგულეს, მრავალსართულიანი შენობა მარმარილოსა და გრანიტის სვეტებითა და გრილი, მყუდრო კაბინეტებითა და კორიდორებით, სადარბაზოებითა და სააქტოებით, კომფორტაბელური სათავსოებითა და დგამ-ავეჯით. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის უმაღლეს პარტიულ ბურჟუას როცა ყოველივე ეს დაატოვებინეს მოსკოვის პუტჩის შემდეგ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვაჟბატონმა ვლადისლავ არძინბამ მისი ძველი რეზიდენცია, რომელიც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შენობაში იყო მოთავსებული და, რომელიც არანაკლებ ბრწყინავდა თავისი მრავალსართულითა და კომფორტაბელობით, რატომღაც მიატოვა და მოულოდნელად საოლქო კომიტეტის შენობაში გადმობრძანდა, — აქ უფრო სიგრილეა და ზღვის ნიავი უბერავსო. აქ გადმობრძანდა უმაღლესი საბჭოს მთელი საშტატო შემადგენლობაც და მარადმოქმედი კომისიებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, არაფერს აკეთებდნენ გარდა ყოველდღიური ხრიკებისა საქართველოს რესპუბლიკიდან აფხაზეთის გამოყოფისა და აფხაზეთის „რესპუბლიკის" გამოცხადების მცდელობისა.

მაგრამ მკითხველს არ ეგონოს, რომ არძინბა და მისი ელიტა მარტო ზემოთ მოხსენებულ იდეალებით იყო დაკავებული და სხვა წვრილმანები არა აწუხებდათ რა!

დიახ, უსაზღვრო ოცნებას უსაზღვრო ხარჯები და ფულადი სახსრები ესაჭიროებოდა და პატარა აფხაზეთის დიდი დიქტატორი ამისათვის, ასე ვთქვათ, არაფერს ერიდებოდა. თითქოსდა თავისი რეზიდენციის სივიწროვისა და მისი გაფართოებისათვის დაადო თათი და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალ რეზიდენციას ადრე ე. წ. პარტიული საგანმანათლებლო კორპუსიც მიუერთა თავისი სამკითხველო-ბიბლიოთეკითა და სააქტო დარბაზებით. მწვანეები, ყვითლები, წითლები და თითქმის აფხაზეთის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი შეედავა, აქ უფრო უპრიანი იქნება საავადმყოფო, ან თითქმის ქუჩაში დარჩენილი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა ჩავასახლოთ, ან რომელიმე სკოლა-ინტერნატი ან თუნდაც დედათა სახლი გავხსნათო. მაგრამ დიქტატორი რისი დიქტატორი იქნებოდა სხვათა კეთილ ნებას დაჰყოლოდა და თავისი არ გაეტანა და გაიტანა კიდეც. ეს საგანმანათლებლო სასახლეც მიუერთა აფხაზეთის უზენაესის რეზიდენციას. შემდეგ, მართალი გითხრათ, არც კი ვიცით, როგორ, ამ შენობის მთელი კორპუსი ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვის კომერციული ბანკის „მენატეპი"-ს ხელში აღმოჩნდა და ეს ე. წ. „მენატეპი", როგორც ამბობენ, მოსკოვის უმაღლესი ყოფილი პარტიული ელიტას ფულებით დაარსდაო. „მენატეპმა" თავის მხრივ სოხუმის ფილიალი შექმნა, ფილიალმა კიდევ ახალი სავაჭრო სახლი „კორაქსი" იბარტყა. ყველა ამ კომერციულმა თუ კორპორაციულმა საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით ის გააკეთა, რომ ჯერ ბინა „საგანმანათლებლო" სახლში დაიდო იჯარით. იჯარ-არენტით, ამბობენ, თორემ მწარე ენები ლაღადებდნენ, არძინბამ უდიდესი გასამრჯელო მიიღო „ლევად", რომ ეს კომერსანტები ამ შენობაში დაეფუძნებინა.

ვინ იცის სოხუმში ამის საწინააღმდეგო რამდენი მიტინგი ჩაატარეს სხვადასხვა საზოგადოებრივმა პარტიებმა და მოძრაობებმა, მაგრამ საქმეში ხარ?!.

პირიქით, ერთ მშვენიერ დღეს ხმა გავარდა, სავაჭრო სახლი „კორაქსი" „საგანმანათლებლო" კორპუსიდან აფხაზეთის ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შენობაში გადადისო. მაგრამ ყოველივე ეს არც დავიჯერეთ და ვერც დავიჯერეთ. როგორ ეს აფხაზეთზე და აფხაზ ხალხზე „შეყვარებული" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი მთელს აფხაზეთს ერთადერთ ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გარეშე დატოვებსო?! არ დავიჯერეთ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სოხუმის, ზღვისპირა უმშვენიერესი კორპუსი გამოკეტილი არ დაგვიხვდა. აქეთ ვუარეთ, იქეთ ვუარეთ, მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, ნურას უკაცრავად, საიდუმლო, ზღაპრული ეკლესიასავით, მისი ყველა შესასვლელ-მისასვლელი გამოკეტილი აღმოჩნდა და ასე დარჩა მთელი ქალაქი კი არა, მთელი აფხაზეთი თავისი მეცნიერ-ლექტორ-სტუდენტებითა და სწავლულებით ცენტრალური-საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გარეშე. სოხუმში ყველა სხვა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მოგეხსენებათ, დიდი ხანია უკვე საგულდაგულოდ გამოკეტილია და გაუქმებული.

ამის შემდეგ კიდევ იტყვით ვაჟბატონი ვლადისლავი თავგადამკვდარი და გაგიჟებამდე არ ზრუნავს აფხაზეთზე და განსაკუთრებით აფხაზ ხალხზეო?, ,

ნურას უკაცრავად!..

როგორც მორწმუნე ადამიანებმა მიამბეს ამ დღეებში, ვიღაც პირნათელი პიროვნების აჩრდილი ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს შენობას მიადგა იმ მიზნით, რომ სარჩელი უნდოდა აღეძრა არძინბას ამ არასამართლიანი ფაქტის გამო, მაგრამ სასამართლოს კარიც გამოკეტილი დახვდა და დაღონებული ბაგრატის მთის აღმართს აუყვაო.

როგორც ამბობენ, ეს აჩრდილი ცნობილი აფხაზი მწერლის, აწ განსვენებული ივანე პაპასქირის იყოო, ვის სახელსაც ატარებდა ეს ცენტრალური-საჯარო სამკითხველო-ბიბლიოთეკა და რომელიც არძინბასა და ძმათა მისთა სითავხედემ საფლავიდან წამოაყენა, რათა სიმართლე მოეძია, მაგრამ ჯერჯერობით სიმართლე გაურკვეველია, სამკითხველო-ბიბლიოთეკა კი — გაუქმებულ-გაკოტრებული.

იმასაც ამბობენ, რომ ეს ფრიად საინტერესო ოპერაცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი სხდომის დასტურით განხორციელდაო.

განა ამის შემდეგ კიდევ აღმოჩნდება კაცი, რომელიც იტყვის ასეთი უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი ხალხის საქმეს აკეთებდაო?

არძინბას და ძმათა მისთა თაოსნობით აფხაზეთში ბევრი ასეთი „ოპერაცია" განხორციელდა, რომლის წყალობით მრავალი სახელმწიფო ქონება, შენობა თუ დაწესებულება წინასწარ იქნა გასხვისებული და ყოველივე ამას სათავეში უდგას მოსკოვის ფრიად სახელგანთქმული კომერციული ბანკი „მენატეპი", თავისი აფხაზური ფილიალებითა და სავაჭრო სახლებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აფხაზური ეროვნების „კომერსანტებით" არის დაკომპლექტებული და, რომლებიც დღისით, მზისით, ყოველგვარი საპრივატიზაციო კანონ-წესის გარეშე ჰყიდიან და გასცემენ აფხაზეთის ხალხის ქონებას, საზღაურად კი იღებენ ყველაფერს — „მერსედესიდან" დაწყებული ხელსაყრელი — სარფიანი სესხით დამთავრებული.

დიახ, იყიდება აფხაზეთი, იყიდება ქართველი კაცის მიერ საუკუნეობით შექმნილი და ნაშენები კორპუსები თავისი შემოგარენითა და სანაპირო-ზღვისპირეთით და ყიდულობს ყოველივე ამას მოსკოვი, ამიტომაც არის რომ ტელევიზიის სამივე მოსკოვური არხი ცოფს ჰყრის და საქართველოს გვარდიის აფხაზეთიდან — საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანას მოითხოვს, მოითხოვს, რადგან აფხაზეთთან ერთად ჰკარგავს არძინბას და არძინბას წყალობით აქ, აფხაზეთში დაბანდებულ მილიონებსა და მილიარდებს...

**ჯონდო ჯანდიერი**



აფეთქებული ხიდი კოდორთან.

# ჯავშნოსანი № 1001

რატომღაც მახინჯმა სინამდვილემ შთაგვაგონა და გვაიძულა ფორმიან შს სამინისტროს მუშაკს იჭვითა და უნდობლობით ვუცქიროთ, ეს მაშინ, როცა მათშიც ცოტა როდია კეთილი, ვაჟკაცური, თავდადებული და მაღალი ინტელექტის მქონე მუშაკი.

ასეთნი კი განსაკუთრებით აფხაზეთში ფასობენ. სწორედ აფხაზეთის შს სამინისტროს თანამშრომელთა უმრავლესობამ გამოიჩინა კეთილშობილობა და თავდადება, როცა აფსუა-სეპარატისტების მიერ შერისხულ მინისტრს ბატონ გივი ლომინაძეს ერთგულება შეფიცეს და პროტესტის ნიშნად უყოყმანოდ გამოაცხადეს გაფიცვა და დაუმორჩილებლობა. იოლი როდი იყო რბილი სავარძლიდან თითქმის ფირალის მდგომარეობაში მოქცევა.

ჩემს წინ ზის ამ სამსახურის მაღალპროფესიონალი ექსპერტი ვახტანგ ლავრენტის ძე კვარაცხელია და დინჯად, აუჩქარებლად მიყვება, თუ როგორ დაესხა თავს ე. წ. აფხაზური გვარდია სოხუმში დისლოცირებულ და აფხაზებთან დროებით, განსაკუთრებულ დავალებაზე გასულ და უკან დაბრუნებულ ქართულ ბატალიონს.

პირველი შეტაკება ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფელ ოხურეისთან მოხდა, სადაც სახელდახელოდ იქნა განიარაღებული უკვე საკმაოზე მეტად ალვირახსნილი და გათავხედებული აფხაზური გვარდიის 50-მდე მებრძოლი.

პირადად ჩვენ, არაერთგზის გავმხდარვართ მოწმენი საგანგებოდ, დიახ, საგანგებოდ, თუ როგორ აბუჩად იგდებდნენ ქართველ მგზავრებს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ე. წ. აფხაზი გვარდიელები.

მეორე შეტაკება აგუძერაში დისლოცირებულ ნაწილებთან მოუხდათ სოსო ახალაიას ბატალიონის წევრებს. იქ ბრძოლა უფრო ხანგრძლივი და უფრო მკაცრი იყო.

გაფიცულმა შს სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს მთავრობის სოხუმის აგარაკის შემოგარენში იმყოფებოდნენ, დროზე გაიგეს ამ შეტაკებათა შესახებ და მაშინვე ჩაებნენ ბრძოლაში.

აფხაზი გვარდიელები ყანებსა და ციტრუსებში გაიფანტნენ და იქიდან ესხმოდნენ თავს ბატალიონსა და შს სამინისტროს შინაგანი ჯარის მებრძოლებს. აფხაზი სნაიპერები სახლების სახურავებზე მიიმალნენ და იქიდან იღებდნენ მიზანში ქართველ ვაჟკაცებს.

ცოტა მსხვერპლი როდი იყო!..

სწორედ აქ შეამჩნია ბატონმა ვახტანგმა ცალკე ჯავშნოსანი, შტურმით აიძულეს აფხაზი ექსტრემისტები დაეტოვებინათ იგი და, აი, ტყვეობაში იქნა აყვანილი პირველი... საბრძოლო მანქანა.

ვახტანგ კვარაცხელია უშუალო მონაწილეა ბრძოლისა ქალაქ სოხუმის მისადგომებთან, ტურბაზა „ცხუმთან", წითელ და თეთრ ხიდებთან, სოფელ შრომასთან, ქ. სოხუმის რკინიგზის სადგურთან...

სწორედ ამ ჯავშნოსანით მონაწილეობს ბატონი ვახტანგი განსაკუთრებულ რეიდებში, რომლის საშუალებით ხდება ყაჩაღ-მარადიორთა ალაგმვა და განადგურება.

თვალი შევავლე ბატონ ვახტანგის უძილო, ჩაწითლებულ თვალებს, დაღლილ-დაქანცულ სახესა და გამოხედვას და მაშინვე მივხვდი, რა ძნელია, მთელი დღე და ღამე დარაჯობდე მშვიდობას და მშვიდობიან მოსახლეობას, როცა ყოველ ნაბიჯზე შინაური თუ გარეშე ჩასაფრებული მტრის ტყვია გითვალთვალებს.

დიახ, განსაკუთრებით ძნელია ებრძოლო შენიანს, თუ შეიძლება ასეთ ადამიანებს შენიანი უწოდო, ისინი ხალხის და ქვეყნის მოღალატენი არიან და უნდა განადგურდნენ, ჩაფიქრებით ასკვნის ვახტანგი და თავის ჯავშნოსანს გასცქერის, რომელსაც № 1001 ამშვენებს.

სწორედ მსგავსი დაღლილობა და უძილო ღამეთა კვალი წავიკითხე აფხაზეთის შს მინისტრის პირველი მოადგილის ალექსანდრე ლომინაშვილის სახეზე, თვალებში.

მართლაც მძიმე მოვალეობა გვაკისრია, აგრძელებს იგი საუბარს, მაგრამ ბედნიერი კაცი ვარ, რომ ისეთ ადამიანებთან მიხდება მუშაობა, როგორებიც არიან აფხაზეთის შს სამინისტროს სამძებრო განყოფილების უფროსი გია მხეიძე, ქ. სოხუმის სამმართველოს უფროსი თემურ რაფავა, სამძებრო განყოფილების მუშაკი მახარე ფოჩხუა. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

დიახ, აფხაზეთის შს სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა სიმართლემ გაიმარჯვოს და სამართლიანობა ზეიმობდეს არა მხოლოდ ერთადერთი ეროვნებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია აფხაზეთის, ამ ძირძველი ქართული მიწის წარსული, აწმყო და მომავალი.

**რევაზ დადიანი**

# რას სდუმხართ, ნამდვილ აფხაზნო?!

ერთი რამ მიკვირდა და მიკვირს ამჟამადაც, აქ, აფხაზეთში როცა პოლიტიკური ვნებები ბობოქრობენ, ნამდვილ აფხაზნი სულ მუდამ გაჩუმებულნი არიან, თითქოს ვიღაცის თუ რაღაცისა ეშინიათ, ხმას არ იღებენ, სიმართლეს თვალს ვერ უსწორებენ. ეს ხდება იმ დროს, როცა ზოგი თურქყოფილი და ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებული „ერის მამობას" ჩემულობს: ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ ნამდვილ აფხაზნი უფრო ნაკლებად სჩანან პოლიტიკურ არენაზე. ეს მათი უინიციატივობითა და პასიურობით არის გამოწვეული.

აბა, ერთი გავიხსენოთ, როდის ამოიღეს მათ ხმა ექსტრემისტთა მიერ ჩადენილ უკეთურ საქმეთა წინააღმდეგ.

გახსოვთ, ალბათ, სოხუმში ბოლო დროს როგორ მომრავლდნენ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ფაფახიანი მამაკაცები. ისინი ექსტრემისტულად განწყობილ აფხაზებთან ერთად აწყობდნენ კრებებს, აცხობდნენ „კანონებს", დეკლარაციებს. ბოლოს იქამდეც გათავხედდნენ, რომ უძველესი კოლხური ქალაქი ცხუმი მთიელ ხალხთა რაღაც კონფედერაციის დედაქალაქადაც კი გამოაცხადეს. ჩვენდა სამარცხვინოდ, ქართველებმა ყურიც არ ათხოვეს ამ მოვლენებს, კანტი-კუნტად დაგმეს ეს ე. წ. კონფედერაცია, ხოლო ნამდვილ აფხაზებს პირში წყალი ჰქონდათ დაგუბებული. ერთმა არა სთქვა: ჩვენი სისხლხორცეული ძმები ქართველები არიან და არა სამ მთას იქით დამკვიდრებული ხალხებიო. ადამიანთა მეგობრობის წინააღმდეგი ვინაა, მაგრამ როცა შენს გვერდით მდგომ ძმას ხელს ჰკრავ და „ძმების" საძებნელად სამ მთას იქით გადაიხვეწები, ეს კარგს არაფერს მოგიტანს. არც მოუტანა სიკეთე ამგვარმა საქციელმა ჩვენს გზასაცდენილ ძმებს. მიუხედავად მომხდარი უბედურებისა, კიდევ ქართველნი ინდობენ მათ.

ჩამოსული დაქირავებული მკვლელი თავისას მიიღებს და აქედანაც მოუსვამს, მაგრამ რაღა ვქნათ აქ პირისპირ დარჩენილმა ქართველებმა და აფხაზებმა? ერთადერთი ჭეშმარიტი გზა არსებობს და ამ გზას თუ არ დავადგებით, მასიურად ამოვწყდებით. ეს გახლავთ დიალოგის გზა.

აი, აქ ძალზედ დიდი როლის თამაში ნამდვილად აფხაზნო — შერვაშიძეებო, ემხვარებო, მარღანიებო, მარშანიებო, თარბებო, ანჩაბაძეებო, ლაკერბაიებო, ფილიებო, თანიებო, ჩხოტუებო...

დღეს არა მარტო აფხაზეთის, საქართველოს საკითხიც წყდება. ამ დროს თქვენი წონიანი სიტყვა უნდა თქვათ „ქართულენოვანო" აფხაზნო!

აფხაზეთი თქვენით ამაყობდა ძველთაგან, მომავალშიც თქვენით ეამაყოს მას, ნამდვილ აფხაზნო!

**რამაზ მშვენიერაძე**

„აფხაზეთის ხმა", № 184.

# გამოვდევნოთ სულიდან კურდღელი

საერთო საცხოვრებლის მესამე სართულზე ავდივართ. აქ, ეტყობა, ოჯახიანთა ბინებია. დერეფანი, ოთახები სავსეა ბავშვების ჟრიამულით, და კიდევ ის ხვდება თვალებს, რომ ყველა ბინის კარი ღიაა და დიდსა და პატარას რაღაც გამორჩეული უშუალობისა და გულღიაობის ნათელი დასცმციმებს სახეზე.

დიახ, ცხოვრების პირობები თავის დაღს ასვამს ჩვენს სულებს. აქ ადამიანები სადა და მართალი ცხოვრებით ცხოვრობენ. იქნებ ეს უიოლებთ კიდეც ყოფის მოუწყობლობის სიდუხჭირეს. ერთმანეთის თვალწინ უხდებათ კერძების მომზადებაც და ბალღის ძუძუთი „დაპურებაც". ამიტომაც არიან სულით ერთმანეთს გადაბმულნი, ერთურთისთვის მოყვრებივით მახლობელნი... განმარტოებისა და საკუთარ სიძნელეებზე დაფიქრებისთვის ნაკლები დრო რჩებათ.

...ზის ჩემს წინ — სიმპათიური, ღიმილიანი, ორმოცს ოდნავ გადაცდილებული ქართველი კაცი. გრუზა თმები თითქმის გასთეთრებია და ეს უხდება კიდეც.

— სულ ათ დღეში გავჭაღარავდი, — თითქოს ჩემს ფიქრებს კითხულობსო, ამბობს და უცებ სახე ელრუბლება. მე ვხვდები, რისი თქმაც სურს და ხმას არ ვიღებ, სახეში ვაჩერდები, — გისმენთ-მეთქი, ვაგრძნობინებ, მაგრამ თავს დაბლა ხრის და ერთხანს დუმს.

— „ეშინია სიმართლის თქმის, — ვფიქრობ ჩემთვის და ხასიათი მიფუჭდება.

საიდან მოდის ეს შიში? იგი არ არის ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისება. იქნებ წლების მანძილზე აფხაზეთში, გამეფებული ფსიქოლოგიური ზეწოლის, ხოლო დედა-საქართველოს ანუ როგორც უბრალოდ ვამბობთ ხოლმე, თბილისის მხრიდან ყურადღების მოდუნების შედეგია, რაც, ბუნებრივია, დაუცველობის კომპლექსს ბადებს? იქნებ ჩვენსავე კეთილშობილებასა და ხასიათის სირბილეში დევს ამ კითხვის გასაღები?.. არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენს უმრავლესობას დაკარგული აქვს ნამდვილქართული შინაგანი სიმამაცე და სიცინცხლე, ზოგიც ლამის „მონის ფსიქოლოგიამდე" დაეშვას. როცა ასეთს ვუცქერი, ერთდროულად სიბრალულის და ზიზღის გრძნობა მიჩნდება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისინი იქნებ არც არაფერ შუაში არიან. ადამიანი ადამიანია და მისთვის ერთნაირად დამახასიათებელია შიშიც და სიმამაცეც (მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა), ჩვენ კი მისგან იქნებ ზედმეტს, შეუძლებელს მოვითხოვთ!

მახსოვს, ჩემთვის შემზარავი ჯყო კუთხეში მომწყვდეული ლომებივით გასუსული ქართველების ერთი ჯგუფის ყურება. ეგ მაშინ იყო, ოდეს ყველასათვის კარგად ცნობილი ოზგანის „ნებართვით" საქართველოს ტელევიზია გუდაუთის რაიონის ქართველებს ეწვია და მათთან გასაუბრება სცადა — 1989 წლის იმ ავადმოსაგონარ ივლისში. დუმდნენ, რადგან უწყოდნენ, რაც მოელოდათ, თუკი გაბედავდნენ და სიმართლეს იტყოდნენ, დიახ, ამაზრზენი, შემზარავი იყო ის დუმილი!

ახლაც იმ კადრებმა გაირბინეს ჩემს თვალწინ და საშინლად მომინდა, ეს კაცი მაინც არ მეხილა მათ დღეში!.. ეს მაინც არ მეხილა მათ დღეში!...

— თქვენ არ დაწერთ, რაც იყო, როგორც იყო, თქვენებურად შეალამაზებთ, — გამოლმა მეღიმება იგი და ჩემთვის უცებ აშკარაა, რომ ამ მართლაც ვეფხვივით ვაჟკაცს გულშიც კურდღელი იღვიძებს. როგორ მინდა ახლა შევაბრუნო ეს პროცესი, ყურცქვიტა დავთრგუნო მასში და ნადირთა მეფის ვნებები გავაღვივო, მაგრამ...

ეშინია, დიახ, ეშინია, რადგან, მისი ვარაუდით, შეიძლება არძინბა და ძმანი მისნი ისევ დაბრუნდნენ, კვლავ ძველებურად გაგრძელდეს ქართველთა დისკრიმინაცია... თუმცა, დისკრიმინაციას ვინ ჩივის, დაგვტოვებენ კი ცოცხლებს? მათ ხომ ქართველთა ბინები და სახლები წინასწარ ჰქონიათ ჩრდილო კავკასიელი გადამთიელებისათვის გადანაწილებული. ისინიც ჩამოვიდნენ და აგერ დათარეშობენ, ყელს სჭრიან „მასპინძლებს", სცემენ, სისხლს სვამენ, აუპატიურებენ ქალებს... მოკლედ, მხეცებივით იქცევიან.

— ა, ნახეთ, სად ვცხოვრობ! — წამოენთო იგი უცებ. — ასეთ ყოფას სულ არყოფნა ჯობია! ოც წელიწადზე მეტია, ჩემს საქმეს პირნათლად ვემსახურები, მაგრამ ვინ მომაქცია ყურადღება?! ყველამ ფეხებზე დამიკიდა. საერთო საცხოვრებელში ვწვალობ ამ ხნის კაცი. ღმერთმანი, საკუთარი ცოლშვილის მრცხვენია. ესენი კი ადგნენ და ისევ ის ძველი კორუმპირებული ფუნქციონერები დააბრუნეს.

ამას უკვე საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის კომიტეტის ხელმძღვანელობაზე ამბობს. სხვათა შორის, მათ გვარებსაც ასახელებს და ისე შემომცქერის, თითქოს ნიშანს მიგებსო. გასაგებია — ამათი

**დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე.**

არ ეშინია, ესენი არაფერს არ უზამენ გაკრიტიკებისათვის. მით უმეტეს, რომ ბევრ რამეში ნამდვილად მართალია. ვუსმენ და ვაკვირდები.

ატყობს, თვითონაც ატყობს, რომ თავის დაძვრენას ცდილობს და სინდისი აწუხებს. ეს სახეზეც ემჩნევა და რაღაც უსაგნო წრიალშიც.

— არა, არ მინდა, ნურაფერს ნუ დაწერთ, — მიტყდება ბოლოს და ბოლოს. — მე თვითონ, თვითონ უნდა ვიძიო შური, გესმით? რაც მე მათ დამმართეს?! უცხონი რომ ყოფილიყვნენ, ასე არ დამწყდებოდა გული. იქ, ძირითადში, ისეთი ხალხი მეხვია, ვისაც ბავშვობიდან ვიცნობ. (ჩეჩნებს ვერ დააბრალებენ, გადამთიელები იმ დღეებში თვალითაც არ მინახავს). ზოგიერთთან მიქეიფია კიდეც, ძმაკაცებში გვეთქმოდა. იმ დღემდე, რა თქმა უნდა.

„ის დღე" — 16 აგვისტო გახლავთ. თავის მეგობართან ერთად უნივერსამში პურის ასაღებად „გავარდნენ" საკუთარი „ჟიგულით". პური აიღეს და მანქანასთან რომ დაბრუნდნენ, მათდაგასაოცრად, შიგ აფხაზი ეროვნების ორი ავტომატიანი დახვდათ. ხმის ამოღებაც არ აცალეს, იარაღი დაუმიზნეს და მანქანაში ჩასხდომა უბრძანეს. მალე გუმისთის ხიდს გაღმა მიჰქროდნენ.

რესტორან „ეშერას" მღვიმესთან ჩამოყარეს ის და მისი მეგობარი და ცინიკურად მიაძახეს, დღეიდან შენი „ჟიგული"... შენი ადგილი არ არისო.

დაიწყო ცემა, დამცირება, უღმერთო წამება ათი დღე. რა არ აკადრეს, როგორ არ დაკაცინეს! არა, არცრაიმე საიდუმლო დავალება ჰქონია, არც რაიმე დანაშაულზე წაუსწრიათ. უბრალოდ, ქართველი რომ იყო, იმიტომ ტანჯავდნენ და ასცინოდნენ, მიწასთან ასწორებდნენ და არც დაგიდევდნენ, რომ ეს თვითონ მათივე უზნეობის, დაცემის მაჩვენებელი იყო.

— აი, ხედავთ? ეს ორი თითი კარებშუა მომიქციეს და კარები მიკეტეს. ღმერთმანი, ისე ვიყავი ქანცგაწყვეტილი, რომ, თუ დამიჯერებთ, უბრალო გმინვაც კი არ ამომხდომია. ახლა იმას ვფიქრობ, მართლა სიკვდილის ზღვარს ხომ არ ვიყავი გადაცილებული-მეთქი. აბა, ახლა ეს რომ გამიკეთონ, — იღიმება, — ჩემი ბღავილი ეგერ, ენგურს გასცდებოდა (გუმისთასო, არ ამბობს, იქეთ გახედვაც არ სურს!). ორჯერ გამიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ რატომღაც უკან დამაბრუნეს. მაინცდამაინც დიდად არ გამხარებია, სულს რომ „მინარჩუნებდნენ". პირიქით, ერთხელ ჩემს გუშაგს ხელი ვუტაცე ავტომატის ლულაზე, გულზე მოვიბჯინე იგი და შევევედრე, ჩახმახს გამოჰკარი, გადამარჩინე ამ ჯოჯოხეთს-მეთქი. მან მიმოიხედა და მიპასუხა, აქ არ შემიძლია, ხალხი დადის, შესაფერის ადგილს მოვნახავ და... მაგ ბედნიერებაზე უარს არ გეტყვიო.

დიახ, სიკვდილი მენატრებოდა. ამ მდგომარეობამდე მას შემდეგ მივედი, როცა ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა ხელები გაშალა, ვიცი, არაფერ შუაში არა ხარ, მაგრამ მაინც დამნაშავე ხარ, რადგან... ქართველი ხარო. ხედავთ, როგორ შეეძლოთ ადამიანების სიძულვილით დაბრმავება გაუთავებელ ჩიჩინს, ქართველები დამპყრობლები არიანო?! ჯერ „იიდგილარას", შემდეგ კი არძინბას გარემოცვის ნაზელავია ეგ. სხვა ვერაფრით ამიხსნია ის ზღვარსგადასული სისასტიკე, რაშიც ბევრმა მათგანმა გერმანელ ფაშისტებსაც კი გადაამეტა. ეს ყველაფერი მე ჩემს თავზე გამოვცადე, საკუთარ ტყავზე ვიწვნიე.

ისევ ყურდება. სულს ითქვამს.

— აგერ, ჩვენს შორისაც ხომ არიან ასეთები — არაფერს გასცემენ, არც სამშობლო აწუხებთ, არც მეგობარი და მეზობელი იციან, მხოლოდ იხვეჭენ, ოდენ თავისი თავი ახსოვთ, პირუტყვებივით იცოხნებიან და... არიან, რა! მათი ცხოვრებით ღმერთმა ნუ მაცხოვროს. მე ჩემს საქართველოს, ჩემს ხალხს ვენაცვალე! ეგ ამბები რომ დაიწყო, პირველსავე დღეს სისხლის გადასხმის სადგურს მივაშურე მეგობართან ერთად, 400-400 გრამი სისხლი ჩავაბარეთ. ამას ისე, სხვათაშორის ვიხსენებ, თორემ სათქმელად არცა ღირს. მე ერთი პატარა კაცი ვარ, მაგრამ ჩემი მამულის სუნთქვით ვსუნთქავ, ჩემი ხალხი თავს მირჩევნია. ამას გრძნობენ ისინი, ქვეცნობიერად გრძნობენ, ამიტომაც თუ მაწამებდნენ ასე „განსაკუთრებით".

მე სიხარული ტკივილად მებჯინება ყელში! აი, იგი — ნაღდი ქართული სისხლი და გენი! ამას ვეძებდი მასში! ამიტომაც მოვედი მასთან! ახლა კიდევ იტყვის რაღაცას, მკითხველს რომ გაუხარდება ისეთს! — მკარნახობს ინტუიცია. მართლაც ასე ხდება:

— თავად ვერაფერი ვერ მოვექცეოდი, ისინი რომ მომექცნენ, უბრალოდ, ვერ გავიმეტებდი. ჩვენი ბავშვები ხომ ხშირად ერთ [illegible] ნებ აწიც ვერ გავიმეტებ. ესეც იციან მათ, იციან და იმიტომაც გვექცევიან ასე სასტიკად. გამოდის, ჩვენი სიკეთე ჩვენვე გვებლანდება ფეხებში. არ გავწირეთ, შევიბრალეთ, თორემ ჩვენი ჯარი ხომ ორ-სამ საათში გაივლიდა გუდაუთს. ეჰ, ომს თავისი კანონები აქვს და ეგ სულგრძელობა იქნებ ძვირადაც დაგვიჯდეს.

— არ შეიძლებოდა! — ვეუბნები მე.

ტუჩებს იკვნეტს. ვგრძნობ, მშვენივრად გვესმის ერთმანეთის: იცის, რასაც ვეჩუბნები. აკი თვითონაც ამავე აზრისაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ შეიძლება ამ დაყოვნებას მეტი მსხვერპლი მოჰყვეს ორივე მხრიდან...

იქნებ აქედან მოყოლებული ჩვენი საუბარი მკითხველისთვის ნაკლებსაინტერესო იყოს. იგი თავის მოსაზრებებს მიზიარებს ჩვენების მხრიდან ამ ომში დაშვებულ უამრავ „ტაქტიკურ შეცდომებზე". მაგალითად, არასწორად მიაჩნია ეშერის დათმობა და იქ მცხოვრები ქართველების მიტოვება... უკვირს, ვინ მიაწოდა ბატონ თენგიზ სიგუას ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს 25 სექტემბრისათვის ჩეჩნების გარდა, თითქმის ყველა ჩრდილოეთკავკასიელი გადამთიელი გაიყვანეს აფხაზეთიდან?! როგორ დაიჯერა მან ეს სიცრუე? ან რუსეთის სესიას რა უფლება ჰქონდა „საქართველოს საკითხები" განეხილა?! — შფოთავს იგი, — გამოდის, ჩვენც გვქონია შანსი გადავწყვიტოთ რუსეთ-უკრაინის დავა ყირიმის საკითხებზე, ან ყარაბახის თუ დნესტრისპირეთის პრობლემები და ა. შ. ეს საკავშირო ტელევიზიაც ხომ მთლად სიცრუისა და სიყალბის გუდად იქცა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ არ ღებულობს საქართველოს ხელმძღვანელობა უფრო გადამჭრელ ზომებს ამ „ინფორმაციული ომის" ალსაკვეთად?.

კიდევ ბევრი რამ აღაშფოთებს ჩემს თანამოსაუბრეს...

ბოლოს კვლავ თავის „აფხაზურ თავგადასავალს" უბრუნდება, ათი დღის ტანჯვა-წამების შემდეგ გუდაუთიდან გაგრაში გადაიყვანეს და ვილაცაზე გაცვალეს. ამაში ერთ-ერთი აფხაზი დაეხმარა, რომელიც მართლაც კაცური კაცი აღმოჩნდა.

ცოლი, შვილი, ნათესავები, მეზობლები, შეხედავდნენ თუ არა, გაოცებას ვერ მალავდნენ — შავი, ხუჭუჭი თმების პატრონი თოვლის პაპასავით გათეთრებულიყო, სახეზეც დასტყობოდა სულზე გადავლილი ბოროტების ნაკვალევი, მოძმის ღალატი რომ ჰქვია.

წამოსვლის წინ მოდუნებული, მხრებჩამოყრილი — ეტყობა იმ დღეების გახსენებამ და ჩვენმა საუბარმა დაქანცა — ისევ მთხოვს, წერილი არ დავწერო და არ გამოვაქვეყნო. მეც ნაწილობრივ ვუსრულებ სურვილს — არ ვამხელ მის ვინაობას. ეჰ, სამწუხაროდ მის სულშიც შიშის კურდღელი თუ კურდღლის ჩრდილი რიალებს.

„გამოვდევნოთ ჩვენი სულებიდან კურდღელი!" — ეს სურვილი სპონტანურად მიჩნდება, რამეთუ...

იგი მარტო არ არის, კურდღლის სიმპტომი თუ სინდრომი ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია.

იქნებ ესეც იყოს მიზეზი, ასე სასტიკად რომ გვექცევიან აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში — თვალში ხომ არ ვეპატარავებით მაგათ და მაგათ?!. ღირს ამაზე მწარედ დაფიქრება!..

**ბიჭო ბერაია**



სისხლიანი ქრონიკები

# თამაზ ნადარეიშვილი: „დამნაშავეებს ხალხის ბედს ვინ ანდობს?!“

ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო თამაზ ნადარეიშვილმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, კომკავშირული და პარტიული პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკიც ყოფილა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ყოფილიყო თავისი ხალხის ღირსეული შვილი, მთელი პრინციპულობითა და თავგამეტებით დაეცვა ქართველთა ინტერესები აფხაზეთში, რისთვისაც, ყოფილა შემთხვევა, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფაც გადაუტანია, მაგრამ თავისი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატნია. ერთი-ორჯერ აფხაზმა ექსტრემისტებმა ტყვიებიც მიუშალეს კარ-ფანჯრებზე, მაგრამ ბატონ თამაზს ზოგიერთებივით ფეხი არ უცვლია და დღემდე რჩება თავის შეხედულებათა და პრინციპების ერთგული. ამ დღეებში აფხაზეთის მთავრობის აგარაკზე ვეწვიეთ, სწორედ იქ, სადაც ქართველი დეპუტატების, „დემოკრატიული ფრაქციის“ რეზიდენციაა მოთავსებული. გვარდიელის ფორმაში შემოგვეგება იგი, უძილობითა და ზომაზე მეტად გარჯით წამოწითლებული თვალები მიგვანიშნებდა, რომ იოლი ცხოვრებით როდი ცხოვრობენ ჩვენი დეპუტატები და მათ შორის უპირველესად ბატონი თამაზ ნადარეიშვილი.

ათასი საკითხითა და საზრუნავით დატვირთულს, ორიოდე წუთი მაინც წავართვით და ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

**კორესპონდენტი:** ვინც თვალს ადევნებს და ყურს მიაპყრობს თქვენს გამოსვლებს ტელევიზიითა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით, ცხადად ხედავს, რომ თქვენ მშვიდობის მომხრე ბრძანდებოდით და ბრძანდებით აფხაზეთში, რომ ბოლოსდაბოლოს ქაღალდზე კი არ უნდა დარჩეს მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება, არამედ სინამდვილედ უნდა იქცეს. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ თქვენ მომხრე ხართ ვლადისლავ არძინბას ხელისუფლებაში დაბრუნებისა?!.

**თამაზ ნადარეიშვილი:** არამც და არამც. რაც აფხაზეთში ამბები დატრიალდა და სისხლი დაიღვარა, ყველაფერი უპირველესად არძინბასა და მისი თანამზრახველთა სცენარითა და მოქმედებით მოხდა. ოღონდაც ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც „სცენარში“ ჰქონდათ გათვალისწინებული. ომი აფხაზეთში დიდი ხანია მიმდინარეობს და არა მხოლოდ კანონთა ომი. ადრე სისხლიც ბევრი დაიღვარა, მაგრამ ყველაფერი ეს უხმაუროდ და კანტი-კუნტად ხდებოდა და დაზარალებულები მხოლოდ ჩვენ, ქართველები ვიყავით. მარტო ის რად ღირს, რაც 1989 წლის 15-16 ივლისს მოხდა! განა ცოტა ადამიანი დაიღუპა, განა ცოტა სისხლი დაიღვარა?!. დასჯით კი თითქმის არავინ დასჯილა, და თუ ერთი-ორი კაცი დასაჯეს, როგორც იტყვიან, პარიტეტის მიხედვით. ერთი დამნაშავე აფხაზი, ერთი არადამნაშავე ქართველი.

დიახ, აქაც მოფერებისა და წაყრუების პოლიტიკა იმარჯვებდა და ამ პოლიტიკის ნიღბით ზელიც ბევრმა მოითბო. და ახე, ნელი-ნელ ქართველი მონის მდგომარეობამდე მიიყვანეს აფხაზეთში.

მე ნამდვილად არ უარვყოფ 3 სექტემბრის ხელშეკრულების მნიშვნელობას. მარტო მისი პირველი პუნქტი რად ღირს, სადაც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის ხელშეუხებლობაზე არის ლაპარაკი. მაგრამ ვთქვათ სიმართლე, ხელშეკრულების არც ერთ პუნქტს დღემდე არ ასრულებს აფხაზური მხარე და ამაში მათ დათვურ სამსახურს უწევენ რუსეთის რეაქციული ძალები, ტელევიზია, საინფორმაციო საშუალებანი. დიახ, ვიღაცას ძალიან აწყობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი უსასრულოდ გაგრძელდეს, და ამისათვის ყველაფერს აკეთებენ როგორც აფხაზთა მხარე, ისე კავკასიის ე. წ. კონფედერაციის წარმომადგენლები. არძინბას დონის პოლიტიკურ მოღვაწეს არ შეუძლია გონიერებით ისელმძღვანელოს, მისი გზა პროვოკატორისა და ავანტიურისტის გზაა და მოსამკელსაც შესაფერისს იმკის, ვიღაცეებს კი სურთ, მას ხელი ძვირფასი ნადავლით დაუმშვენონ.

დიახ, სისხლის სამართლის ამ დამნაშავეს გადაწყვეტილი აქვს, რაც არ უნდა დაუჯდეს, ისევ დაუბრუნდეს თავის სავარძელს სოხუმში. ეს არ უნდა მოხდეს და თუ მოხდა, მაშინ მე ხელისუფლებაში არაფერი მესაქმება. შეიძლება სულიერ ავადმყოფს ხალხის ბედი მიანდო?!..

**კორ.:** როგორც ვიცით, მოსკოვში განმეორებით, მესამე გზის უნდა მოხდეს ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და ელცინის შეხვედრა. ალბათ მონაწილეობას თქვენც და არძინბაც მიიღებთ. როგორ გავიგოთ ყოველივე ეს. ისევ რუსეთი ხომ არ განაგებს საქართველოს საგარეო თუ საშინაო საქმეებს და ისევ რუსეთი ხომ არ მფარველობს აფხაზ სეპარატისტებს?! რას იტყვით, რომ არ არის მოსალოდნელი კორექტურა 3 სექტემბრის ხელშეკრულებაში და ისიც აფხაზ სეპარატისტთა სასარგებლოდ?!.

**თ. ნ.** ძნელია, გადაჭრით პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. შეხვედრა აფხაზეთის საკითხზე მართლაც დაგეგმილია და ეს მაშინ, პირველ შეხვედრაზე ითქვა და განისაზღვრა. კორექტურის შეტანა კი 3 სექტემბრის ხელშეკრულებაში, არასერიოზული ნაბიჯი იქნება, როგორც რუსეთის, ასევე ჩვენი მხრივ.

ის, რომ რეაქციული ძალების ზეგავლენით ცდილობენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განიხილონ და სათანადო რეკომენდაციები და წინადადებებიც მისცენ სესიას, ესეც საქართველოს საშინაო საქმეში ჩარევის აშკარა ცდაა და, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ ამის უფლება არ უნდა მივცეთ მოძალადეებს. რასაკვირველია, ასეთი მცდელობანი არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან რუსული იმპერიული ამბიციები ინერციით გრძელდება და ჯერ კიდევ ეს ეფექტურია, რადგან, როგორც ხედავთ, საქართველოში და მასთან ერთად აფხაზეთში რუსეთს თავისი მძლავრი სამხედრო ძალები და შეიარაღება გააჩნია, რომლებიც ახე თავგამოდებით მფარველობენ ე. წ. აფხაზურ გვარდიასა და მის ეპიცენტრს გუდაუთას. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას იმ ე. წ. სამხედრო „ლაბორატორიის“ (გააფრთებული წინააღმდეგობანი გუმისთაში, რომელმაც რამდენიმე ქართველის სიცოცხლე და ჩვენი ტექნიკაც შეიწირა.

დიახ, არსებობს გარკვეული პრეტენზიები და, შეიძლება ითქვას, სამართლიანიც, რომ გუდაუთაში არ შევიდა ჩვენი გვარდია, გუმისთა არ გადალახეს და ქართული სოფლები საჯიჯგნად მიეცათ აფხაზ ექსტრემისტებსა და გადამთიელ ბანდიტებს. გუდაუთა მართლაც უპრეცედენტო პრივილეგიებით სარგებლობს უკვე 25 წელია. ამ ხნის მანძილზე იქ არც ერთი კომისია არ ყოფილა, იქ არც ერთი შემოწმება არ ჩატარებულა, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებსაც ეკრძალებოდა იქ შესვლა. და დღეს, როცა გუდაუთა ამოვსებულია სოხუმში ნაძარცვი მანქანებითა და სხვა ათასნაირი დოვლათით, იქნებ აუცილებელიც იყო იქ ქართული გვარდიის შესვლა, მაგრამ ახლაც არ მოხდა ეს...

გუდაუთა ხომ ექსტრემისტთა და სეპარატისტთა ბუდეა და იქ გამეფებული ისლამური კლანის იდეებით იწამლება მთელი აფხაზეთი. ამ კლანმა ამ ბოლო დროს განსაკუთრებით შეავიწროვა აფხაზეთის სხვა ქრისტიანი წარმომადგენლები და განდევნა ისინი მმართველობიდან. საფიქრალია, რომ ეს მოძრაობა მომავალში უფრო ფართო და უფრო სახიფათო მასშტაბებს მიიღებს. სწორედ მათი ინიციატივით იქნა მოწვეული აფხაზეთში კავკასიელი ბანდიტები, იმ პირობით, რომ გამარჯვების შემთხვევაში მათ აქ სამუდამოდ დატოვებდნენ და აქედან განდევნილ ქართველთა ადგილზე ჩაასახლებდნენ.

როგორც ხედავთ, ჩანაფიქრი ფრიად ვერაგული და მაცდუნებელი იყო. ვნახოთ, ვინ როგორ და რა ფორმით დარჩება აქ, აფხაზეთში?!

ყველაფერს ამას წერტილი უნდა დაუსვას 11 ოქტომბრის არჩევნებმა. ჩვენ ხელ-ფეხი უნდა გავუხსნათ ჩვენს ხელისუფლებას და მივცეთ ლეგიტიმურობის მანდატი, სხვანაირად ჩვენი ყოველი ნაბიჯი, იდეალურიც კი, საეჭვოდ და საჭოჭმანოდ მოეჩვენებათ ჩასაფრებულ შინაურ თუ გარეულ მტრებს, მით უფრო აფხაზ სეპარატისტ-პროვოკატორებს.

**კორ.:** ამ დღეებში სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული ე. წ. კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მიმართ, როგორც არაკანონიერი და არაჰუმანური ორგანიზაციის წინააღმდეგ, დააკავეს მისი ვიცე-პრეზიდენტიც მუსა შანიბოვი, რომლის საქმის ძიება მიმდინარეობს. აქ, ჩვენ კი მის მონათესავე და თანამზრახველ ორგანიზაცია „აიდგილარას“ გულდრუქს ვუკმევთ და ნიავს არ ვაკარებთ, როცა სწორედ მან მიიყვანა აფხაზეთი სისხლისმღვრელ ომამდე, ჯერ შექმნა და შემდეგ შეაიარაღა არაკანონიერი აფხაზური გვარდია, შემდეგ აქ, აფხაზეთში მოიწვია და ჩაასახლა შეიარაღებული გადამთიელი ბანდიტები. ასე რომ, ბრალდება და დანაშაული დიდია. პასუხს კი არავინ არ აგებს. რას ნიშნავს ყოველივე ეს? რას აკეთებს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა?!.

**თ. ნ.:** დიახაც, მართალი ბრძანდებით. ჩემთვისაც გაუგებარია ამდენი მიმტევებლობა. ნუთუ ისის პატიებაც შეიძლება, რაც „აიდგილარამ“, მისმა თავკაცმა სერგეი შამბამ და საერთოდ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს აფხაზმა დეპუტატებმა მოიმოქმედეს? მე პირადად დანაშაულად მიმაჩნია მათ გვერდით მუშაობის გაგრძელება. დამნაშავეთ / არა აქვთ უფლება ავტონომია და ხალხი მართონ, ისინი უნდა გასამართლდნენ. მოდით, დავუცადოთ 11 ოქტომბრის არჩევნებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პროკურატურამ და საერთოდ სამართალდამცავმა ორგანოებმა თავიანთი საქმე არ აკეთონ. საგამომძიებლო ტომებს კი არა, ისტორიის ფურცლებს გაუჭირდება იმ ცოდვების დატევა, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთში ჩაიდინეს. მათ პასუხი უნდა აგონ!..

## ჩეჩნის ნიღბით

ვინც კი იხილა აფხაზეთის ტელევიზიით გადაცემა, რომელიც გუდაუთის რაიონში ჰუმანიტარული დახმარების ჩატანას და დანაწილებას მიეძღვნა, არ შეიძლება არ აღშფოთებულიყო. დიახაც, დიდი რისკი გასწიეს მწვანეთა მოძრაობის თბილისელმა და სოხუმელმა წარმომადგენლებმა, რომ ეს დახმარება ადგილებზე მიეტანათ. როგორც მგლები ცხვრის ფარას, ისე მისჩერებოდნენ აფხაზი და კავკასიელი ბოევიკები გუდაუთის ბომბორის აეროდრომზე ჩაფრენილ ქართველებს. მაგრამ აქაც ალექსანდრე ანქვაბმა იკაკაცა და ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ტვირთი, რასაკვირველია, ძვირფასი ტვირთი დანიშნულებისამებრ გაენაწილებინათ. მიმღებნი კი მართლაც საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ჩასულთა შორის იყო მწვანეთა წარმომადგენლები, თბილისელი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი გია ბარამიძე, ჟურნალისტი ნუგზარ კერესელიძე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის სპიკერი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გია გვაზავა.

— სამმა ვერტმფრენმა 12 ტონაზე მეტი სურსათ-სანოვაგე ჩაიტანა გუდაუთაში, იქაური ქართველებისათვის. აეროდრომი, მოგეხსენებათ, სამხედროა და საკმაოზე მეტი სიმპატიებით არის განწყობილი აფხაზი ექსტრემისტების მიმართ. არა გვგონია, ეს სიმპატიები იაფი უჯდებოდეს აფხაზ მხარეს. მფრინავები და აეროდრომის რუსი ოფიცრები თავიანთი უმაღლესი რანგის ჩინოსნებით გარკვეული საზღაურის საფასურად მზად არიან, კავკასიელი კი არა, თვით ეშმაკთა წარმომადგენლები გადააფრინონ ან, პირიქით, გადმოაფრინონ ჯოჯოხეთიდან, — გვიყვება ბატონი გია გვაზავა.

ჩვენ, ქართველებს კი პირველად საკმაოზე მეტად თავშეკავებითა და ოფიციალობით შეგვხვდნენ ეს ჩინოსნები, მაგრამ მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ, როცა საქმე გარკვეულ გასამრჯელოზე მიდგა, სიამოვნებით დათანხმდნენ სოხუმში 140 ლტოლვილი ქართველი გადმოეფრინათ და ეს გააკეთეს აფხაზური მხარისაგან დაფარულად.

ყველას თავისი წილი მივუზღავით.

აქაური ქართველების უმრავლესობა რაჭული წარმომავლობის არიან, დინჯნი და აუჩქარელნი, მაგრამ საკმაოდ მხნედ და აგრესიულად გამოიყურებიან.

— იარაღი რომ მოგვცა, ჩვენ თვითონ მოუვლიდით ამ გადამთიელებს, ჩუმად გვიჩურჩულა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ და სახანზე მიგვითითა, — ჩვენი სისხლი დალიეს ამათ. ყველაფერი გაზიდეს, რაც კი გვებადა. მანქანით დაიწყეს და კვერცხებითა და ქათმებით დაამთავრეს. ფეხსაცმელი რომ ფეხსაცმელია, ისიც კი არ შეგვარჩინეს.

ახალი სოფლიდან ოთხარისაკენ გავწიეთ.

ამ სოფელში აფხაზი და სვანი წარმომავლობისანი გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. დრო იყო, ძმურად, მშვიდად და მინდობით შესცქეროდნენ ერთმანეთს, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი შეცვალა ექსტრემისტთა და სეპარატისტთა მოწოდებამ და ახლა მხოლოდ მტერს ხედავენ აფხაზები აქაურ ქართველებში.

„ფრიად მიმქცევნი“ — ახლა მახსენდება ვახუშტ ბატონიშვილისეული დიაგნოზი აფსუათა მიმართ. ადრე ეს გამოთქმა გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, მაგრამ დრომ დაამტკიცა, რომ ბრძენი ისტორიკოსი არ ცდებოდა.

გუშინ რომ ძმობასა და ერთგულებას გეფიცებოდა და სულში გიხუტებდა ის ხალხი, დღეს სასიკვდილოდ გიმეტებს.

აი, ამის ერთი მაგალითი, რომელიც იქვე გუდაუთაში მოგვიყვნენ:

— ერთად ვსწავლობდით, საშუალო სკოლა ერთად დავამთავრეთ, ჩვენი მშობლებიც ერთად სწავლობდნენ, ჩვენი შვილებიც, როცა და-ძმა დასახვრეტად გაიყვანეს, გოგონა ფეხებში ჩაუვარდა თავისი მამის მეგობარს, აფხაზ ბიძა-კაცს და შეევედრა, ძმა მაინც გადამირჩინეო.

— გაჩერდი, შენმა დედამ საკუთარი თვალით უნდა ნახოს თავისი შვილების სიკვდილი! — იყო „მოწყალე“ ბიძა-კაცის გულქვა პასუხი.

და მაინც გადარჩა და-ძმა, ღმერთმა და კეთილმა ხალხმა იხსნა. კეთილთ ქვეყანაზე რა დალევთ!.

— ყველაფერს გავუძლებთ, შიმშილსაც, სიცივესაც, უსახლკარობასაც, — გვეუბნებოდა ერთი გულაყუჩებული სვანი ქალი, გვიამბობს ბატონი გია გვაზავა, ოღონდ არაადამიანობა და გულქვაობაა ძნელი ასატანი, მძიმეა იმის ყურება, როცა ადამიანი ადამიანობას კარგავს და მხეცს ემსგავსება. ბევრმა ჩვენმა „მოძმემ“ და „მოკეთემ“ სწორედ ასეთი სახე მიიღო.

ორ საფურგონო მანქანაზე სახელდახელოდ გადმოვტვირთეთ პურის ფქვილი, კონსერვები, ყველი, კვერცხის ფხვნილი და კიდევ ბევრი რამ და გზას ახალი სოფლისაკენ გავუდექით. რასაკვირველია, სოფლის შესასვლელთან წინ აფხაზთა პიკეტი გადაგვიდგა, მაგრამ საქმეში ისევ ალექსანდრე ანქვაბი ჩაერია და გზა განვაგრძეთ. წინ ისევ ახალი გამოცდა გველოდა.

— ეს აქაური კომენდანტი ხასანია, — ჩაილაპარაკა ჩვენმა მძღოლმა და მანქანის სვლა შეანელა.

წინ აღიმართა საკმაოზე მეტად უხეში აღნაგობის ჩეჩენი და ჩასქელებული წარბებიდან გვიბღვერდა.

საქმეში ისევ ბატონი ალექსანდრე ანქვაბის ჩარევა... მაგრამ ჩეჩენი მეგზური ამის შემდეგ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაგვშორებია. ეს გადამთიელი მამაძაღლი ისე მბრძანებლობდა აქ, თითქოს მისი მამა-პაპის მამულში მივედით. ჩვენი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი მის მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. ქვითინითა და ცრემლებით მოგვეგებნენ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ქართველობა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა ფეხზე დადგნენ და გარეთ გამოეფინენ. ამ სოფელში 700-მდე ქართველი ცხოვრობს და

— ჩემი სახლი აუფეთქებიათ ოთხარაში, ღმერთმა მოკეთეები გადამირჩინოს და სახლს ვინ დაეძებს? ასე უკვე 6 სახლია თურმე დამწვარი და აფეთქებული ჩვენთან, სოფელში, — დაგუდული, სევდიანი ხმით მეუბნება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი.

... და თვალწინ წარმომიდგა ბატონი აკაკის მამისეული კოპწია, ამწვანებული ეზო და ნატიფად ნაგები ასევე კოპწია ოდა-სახლი. ადამიანობა დაკარგული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთი ოდასახლი ასაფეთქებლად და ცეცხლს მისაცემად გაიმეტოს.

... და ამას აკეთებს „მოძმე“, მეზობელი, ჩეჩნის ნიღაბს ამოფარებული. მაგრამ, არა უშავს, დროა ყველაფრის მსაჯული, უმკაცრესი მსაჯული, არ შეიძლება, ვარდი ერგოს მას, ვინც ეკალს თესავს!..

**ჯოტო გოგია.**

# «МИНГРЕЛЬСКАЯ АЗБУКА»




მე-20 საუკუნის მიწურულისათვის თითქოსდა უკვე გაიცვითა, თავისი ელვარება და აზრი დაჰკარგა ყველაზე ცნობილმა და პოპულარულმა დევიზმა: „დაჰყავი და იბატონე!“, რომელსაც ახე მარჯვედ იყენებდნენ სხვადასხვა იმპერიები და დამპყრობლები დაპყრობილთა მიმართ.

ნურას უკაცრავად! ეტყობა, დედამიწის ზურგზე ჯერჯერობით ყველაფერი უცვლელი რჩება და მათ შორის დაყოფისა და ბატონობის დევიზიც. ამის დასტური იყო, როცა 1989 წელს, აფხაზი ექსტრემისტი-პროვოკატორების გამოსვლათა დროს არაერთგზის გავრცელდა პროკლამაციები „სამეგრელოსა და მეგრელთა“ შესახებ აფხაზეთში. სულ უფრო აშკარად ამუშავდა საკავშირო პრესა აფხაზეთის, ოსეთის, აჭარის და სვანეთის საქართველოდან დამოუკიდებლობისა და ჩაგვრის შესახებ. ბევრისათვის მაშინვე ყველაფერი ნათელი გახდა, რუსულმა თუ თურქულმა იმპერიამ სკივრიდან ძველი ნაცადი მანიპულაციები და ხერხები ამოიღო და აამოქმედდა. ასპარეზზე გამოჩნდნენ ჯოჯუები, დგებუაძეები, აშორდიებისა და ძვანიების ეს ძველ-ახალი მემკვიდრეები.

აფხაზ სეპარატისტებს იმდენი გონიერება არასოდეს ჰქონიათ, რომ საკუთარი ჭკუითვე ემოქმედათ და ემსჯელათ და ჩვენ მაშინვე ვიგრძენით, რომ ეს მეგრელთა დასაცავი პროკლამაციები რუსული იმპერიის მიერ შემოგდებული ხრიკები იყო.

...და გაზეთ „ოქროს საწმისის“ 1990 წლის მე-4 ნომერში მაშინვე დავბეჭდეთ ეს პროკლამაციები და ქართველ ხალხს მოვუწოდეთ, არ წამოგებულიყვნენ ამ ძველ, გაცვეთილ ავანტიურაზე.

აი, ადგილი ერთ-ერთი ამ პროკლამაციიდან: „როდემდე უნდა ვებლანდებოდეთ ჩვენ, მეგრელები ყველას ფეხებში. რატომ არ გვაქვს ჩვენ ჩვენი დედაქალაქი, ჩვენი გაზეთები? 400 წლის მანძილზე სამეგრელო იყო დამოუკიდებელი სამთავრო, მაგრამ საქართველომ რუსული ხიშტების დახმარებით დაიპყრო იგი. (ეს „რუსული ხიშტი, რასაკვირველია, თვით ამ პროკლამაციის ავტორთა ფანდია — დ. ჩ.) მთელი ამ ხნის მანძილზე ქართველები ჩვენი ჯანმრთელი სისხლით ამრავლებდნენ თავიანთ ნაშიერებს. სძულთ რა ჩვენი ენა, ჩვენი ადათ-წესები, მათ სურთ, ჩვენ მონები ვიყოთ... ჩვენ გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა, რათა ავაღორძინოთ სამეგრელო!

გაუმარჯოს თავისუფალ სამეგრელოს!..“ და ა. შ. და ა. შ.

და მალე, სულ მალე მხარდამჭერებიც აღმოჩნდნენ, ეს გახლავთ აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც თითქოსდა თავს დებენ სამეგრელოსა და მეგრელი ხალხის „განთავისუფლებისათვის“, ნამდვილად კი ამ დღეებში ყველასათვის ნათელი გახდა მათი ჩანაფიქრი, გამოიყენონ აფხაზეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი მეგრული მოსახლეობა საკუთარი მიზნების — „აფხაზეთის რესპუბლიკის“ შესაქმნელად, ჯილდოდ კი მათ ბინებში ჩეჩენ და ადიღეელ გადამთიელებს წერენ, მათ კი ყურებს, ცხვირებს ჭრიან, თვალებს თხრიან, სისხლისაგან ცლიან და ჭიქებით სვამენ, კბილებს აძრობენ ღრღეროზით, საკუთარ საფლავს თავად ათხრევინებენ და ისე მარხავენ ცოცხლად! ამის შემდეგ განა ტრადიციულ ძმობაზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი?! ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, ვინ ვისი ერთგულია და ვის ეპატიჟებიან ეს ჩამოთრეული ვიგინდარები აქ აფხაზეთში, ამ საქართველოს სახელდობრ, ძველ კოლხურ მიწაზე.

და ყველაფერი ეს კარგა ხანია ჩაფიქრებული იყო და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა.

მეგრელთა ვითომდა მფარველობისათვის „ვეფხისტყაოსანიც“ კი გამოიცა ორიოდე წლის წინათ აფხაზეთის გამომცემლობაში, რასაკვირველია, მეგრულ ენაზე, „ყილოში ტყეშამის“ სახელწოდებით. გამოიცა განუსაზღვრელი ტირაჟით და ხელიც გვარიანად მოითბეს „აიდგილარასა“ და აფხაზეთის პოლიგრაფიული ბაზის თავკაცებმა.

და აი, ამ დღეებში აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ შტაბ-ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილ იქნა ახლახან გამოცემული და თითქმის სალებავშეუშრობი სახელმძღვანელო პირველკლასელი მეგრელი ბავშვებისათვის „მინგრელსკაია აზბუკა“. როგორც „მეგრელთა საქმეში“ ჩახედულთათვის კარგად არის ცნობილი, ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელო შეიქმნა და გამოიცა 1899 წელს თბილისში, მეფის რუსეთის უმაღლეს მოხელეთა მითითებისა და „მზრუნველობის“ საფუძველზე, რათა საქართველოსათვის მეთოდურად ჩამოეშორებინათ სამეგრელო და ამით ორწილად გაიოლებოდათ მთლიანად საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება. უკანასკნელი სამი-ოთხი ათეული წელია ყველაფერი კეთდება, რათა აფხაზეთი ჩამოაშორონ საქართველოს, მაგრამ ამ საქმეში უპირველესი ხელისშემშლელი აღმოჩნდა თვით „მეგრელი ხალხი“, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას რომ შეადგენს, და, რომელიც პირველი აღუდგა წინ აფხაზ-სეპარატისტთა მზაკვრულ ჩანაფიქრს.

და, აი, მიზანში ამჟამად სწორედ „მეგრელი ხალხი“ იქნა ამოღებული და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მას შთააგონონ, რომ არა მხოლოდ აფხაზეთი არ არის საქართველო, არამედ სამეგრელოც.

სწორედ ამიტომ დასჭირდა ამ „მინგრელსკაია აზბუკა“-ს ამოწევა სიძველის არქივიდან აფხაზ და არა მგონია მხოლოდ აფხაზ სეპარატისტებს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ „სახელმძღვანელო“ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე არის დაბეჭდილი და გამოცემული, რაც აფხაზეთის სასტამბო-პოლიგრაფიულ პირობებში გამორიცხულია. როგორც ჩანს, „დიდი რუსი“ ხალხის მზრუნველობამ აქაც იჩინა თავი და სახელმძღვანელოს ბეჭდვა-გამოცემა სადღაც „დიდი იმპერიის“ ცენტრალურ სტამბაში მოხდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის იანვრის მოსკოვური ტელევიზიის ომახიანი განცხადება პრეზიდენტყოფილის გაქცევისას, რომ ზვიად გამსახურდიამ გეზი დასავლეთისაკენ აიღო, რათა ახალი, აფხაზურ-მეგრული სახელმწიფო შექმნასო, შემთხვევით არ იყო წამოსროლილი. ამ წამოძახილის ნაყოფს ამჟამად საკმაოზე აშკარად ცხადლივ ვიმკით, როგორც აფხაზეთში, ისე სამეგრელოში და საერთოდ საქართველოში.

ათასობით ტირაჟით ახლახან დასტამბული და გამოცემული „მინგრელსკაია აზბუკაც“ ამ ნაყოფის ერთ-ერთი ნიმუშია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოძიება, როგორც ადრე, 1989-90 წლებში აღმოჩენილ „მეგრულ პროკლამაციებს“, ამ „სახელმძღვანელოს“ ხელახალი დაბადების ფაქტს დუმილითა და უმოქმედობით არ ჩაუვლის გვერდს.

**დათა ჩხანარია**

სისხლიანი ქრონიკები

# НАМ ОБЕЩАЛИ ДОМА ГРУЗИН

**— Я Магомедов Магомед Мурзаевич, 1963 года рождения, уроженец села Аджидада Кизилюртовского района Республики Дагестан прибыл... для участия в военных действиях против грузин.**

**Целью моего прибытия в Абхазию было получение жилого дома грузин после их изгнания из Абхазии, как мне обещали.**

Кто рискнет утверждать, что в этом откровении есть хоть толика идеи свободы, пропагандируемой политиками автономной республики?

**— В Гутаута нас встретили, устроили в пансионат, где в основном были чеченцы, сказали ждать пока не отправят на боевые действия. К нам приходили абхазские представители из народной партии, благодарили и обещали скоро вооружить и после победы над грузинами и изгнания их из Абхазии дать дома. От адыгейцев и чеченцев я слышал, что они прибыли в Абхазию еще до начала военных действий.**

Добровольцев ублажали, благодарили, обещали, но им и не доверяли.

**— К нам приезжала делегация женщин из конфедерации горских народов. Они обещали деньги, продукты питания, оружие и танки...**

**Все добровольцы и я в том числе подписали заявление о добровольном вступлении во внутренний полк абхазской гвардии, где было написано, что в случае измены мы будем расстреляны.**

Вот так-то — или убивай и заселяйся в дом грузина, или самого — к стенке. Очень популярно и цивилизованно.

Страх за свою шкуру, а не признание вины, раскаяние заставляет Магомеда говорить правду.

**— 15 сентября меня и еще троих добровольцев, чеченца Абдулу, Сергея и Вовчика из Адыгеи направили в Нижнюю Эшеру, остальных в другие места, большую часть в сторону Гагры, где планировалось нанести удар, прорваться в город силами в основном чеченцев...**

**Абхазская сторона ждет поддержки со стороны экс-президента, нападения их на позиции войск Госсовета с целью захвата Сухуми. Они надеются что с приходом к власти Гамсахурдиа Абхазия станет отдельной республикой.**

Магомед признает, однако врял ли сострадает (ведь дом не получит):

**— Грузинская часть населения в Нижней и Верхней Эшере Гудаутского района находится в ужасном состоянии, идет насилие, грабежи, расстреливают невинных людей... дополнительно поясню: постоянного места работы не имею, работаю иногда шабашником, в 1991 году привлекался к уголовной ответственности за кражу и был осужден... Я слышал, что в Абхазии воюют абхазы и грузины и есть возможность поживиться...**

Вот такова анатомия наемника, да пожалуй и его нанимателей. Снова задаю себе вопрос: как будем жить дальше? И пока не могу найти ответа. Правда однозначно, что те кто столкнул в безумстве братьев (речь не о тех братьях, кому платить надо) навсегда покрыли себя неувядаемым в душе и сердце гневом народов Абхазии. Но им этого не понять, во всяком случае не дано понять.

**И. ВЛАДИМИРОВ.**
**«Демократическая Абхазия», № 7, 1992 г.**

# თუ ყურად არ იღებს...

საქართველოს სატრანსპორტო მშენებელთა კორპორაცია „მაგისტრალის“ მრავალათასიანი და მრავალეროვანი კოლექტივი დაძაბულად ადევნებს თვალყურს ამ ბოლო ხანს მოვლენათა მსვლელობას აფხაზეთში. იგი მთელ ქართველ ხალხთან ერთად უაღრესად შეშფოთებულია და დიდი გულისწყრომით აღნიშნავს აფხაზი ექსტრემისტების მხრიდან მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გატაცებისა და მძევლად აყვანის ფაქტებს.

კერძოდ, 1992 წლის 24 აგვისტოს, საკუთარი ბინიდან, აფხაზმა ყაჩაღებმა თავხედურად გაიტაცეს მძევლად დამსახურებული სატრანსპორტომშენებელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო აფხაზეთში უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობას, მრავალშვილიანი ოჯახის მამა, უაღრესად კეთილშობილი და თავმდაბალი ადამიანი, „საქტრანსმშენის“ ტრესტის სოხუმის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი ალექსანდრე ჩხაიძე, რამაც საბოლოოდ აავსო მშენებელთა მოთმინების ფიალა.

ამასთან დაკავშირებით და სატრანსპორტო მშენებელთა დავალებით, კატეგორიულად მოვითხოვ, რომ აფხაზმა ექსტრემისტებმა დაუყოვნებლივ დააბრუნონ ყველა მძევალი.

თუ აფხაზური მხარე ყურად არ იღებს ჩვენს მოთხოვნას, მივმართავთ საქართველოს არმიის სარდლობას, რომ სატრანსპორტო მშენებელთა მთელ პირად შემადგენლობას მისცეს საშუალება, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მძევალთა განთავისუფლების და ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზი ავაზაკების მიერ საქართველოს წმინდათაწმინდა საზღვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარდა ამისა, „საქტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი თავისი დანაზოგიდან 500 ათას მანეთს გადარიცხავს საქართველოს ჯარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ფონდში.

რედაქციის მინაწერი: ამ ინფორმაცია-პროტესტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ჩვენ ყველასათვის გარკვეული მიზეზის გამო, მოგვიანებით გავეცანით. მანამდე ჩვენს რედაქციაში ცნობილმა ფსიქიატრმა, ბატონმა ბიძინა მგალობლიშვილმა დაგვირეკა და გვთხოვა, ზემოთ მოყვანილი ფაქტის გამო, თუ შეგვეძლო, დახმარება აღმოგვეჩინა. ჩვენ მაშინვე აფხაზეთის „დემოკრატიული ფრაქციის“ რეზიდენციაში დავრეკეთ. ყურმილი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ბატონმა აკაკი გასვიანმა აიღო და ჩვენს თხოვნაზე, დახმარება აღმოეჩინა, რომ მძევალი ალექსანდრე ჩხაიძე როგორმე ტყვეობიდან დაეხსნა, მისთვის ჩვეული გულდაჯერებით დაგვაიმედა, და, როგორც ჩანს, სიტყვაც მალე შეასრულა, რადგან სულ მალე ცნობილი გახდა, რომ ღვაწლმოსილი მშენებელი უკვე განთავისუფლებულია და ვიღაც ახლო ნათესავთან აფარებს თავს.

— რატომ ახლო ნათესავთან და არა საკუთარ ოჯახში?! — იკითხავს მკითხველი.

დიახ, ბატონი ალექსანდრე ჩხაიძე, ეს ღვაწლმოსილი და დამსახურებული პიროვნება მხოლოდ მძევლობას როდი დააჭირეს აფხაზმა სეპარატისტებმა და გადამთიელმა ბანდიტებმა, — საკუთარი ეზო-კარი გაუჩანაგეს, სახლი კი გადაუწვეს და ნაცარ-ტუტად უქციეს.

აი, როგორ უხდიან სიკეთეს მადლიან მშენებელს გონებადაბნეული და გაბოროტებული ადამიანები.



## ერთი შეკითხვა „მარადონას“

ქალაქ სოხუმში ყველა იცნობს ადგილობრივ „მარადონას“. იგი ზამთარ-ზაფხულ სწორედ ისე დასეირნობს ქუჩა-ქუჩა, სანაპიროზე, როგორც ფირზე ჩვენმა ფოტოკორესპოდენტმა აღბეჭდა და თქვენ აქ ხედავთ.

როცა სოხუმში პრეზიდენტყოფილის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი მიტინგები მიმდინარეობდა, „მარადონაც“ ფრიად ჩაფიქრებული ადევნებდა თვალს აქციების მსვლელობას და ყურს უგდებდა გამომსვლელთ.

მიტინგის ერთ-ერთმა მონაწილემ ჩაფიქრებულ „მარადონას“ კითხვით მიმართა:

— ისურვებდი „მარადონა“ პრეზიდენტობას?

— თუ ხალხი ამირჩევდა, რატომაც არა, შემდეგ ჩაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ დააყოლა, — მე მგონია, გავამართლებდი, ნამდვილად გავამართლებდი!...

◆

# წინათგრძნობა და მედისწერა

„როცა სიკვდილს, — თქვა ნაპოლეონმა, — ჩვენთვის ძვირფასი არსება მიჰყავს, ჩვენგან შორს რომ იმყოფება, წინათგრძნობა თითქმის ყოველთვის გვატყობინებს ხოლმე ამის შესახებ და სიკვდილის წუთს მომაკვდავი თვალწინ გვიდგება“. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი რაოდენობის ცნობაა დაგროვილი, ნაპოლეონის ნათქვამს რომ ადასტურებს. იგივე მოვლენას ამოწმებენ თავიანთი ხელმოწერით 1928 წლის 11 იანვარს რიგაში ჩაწერილი საბუთის ხელის მომწერნი (საბუთის ორიგინალი მე მაქვს შენახული).

1915 წლის 1 მარტს, — ნათქვამია ამ საბუთში, — საღამოს 7 საათზე, სამწუხაროდ, გარდაიცვალა ჩემი მეუღლე ფენია შეინესონი (კრიშიან ბარონის 7).

ამ სამწუხარო ამბის შესახებ დეპეშით შევატყობინეს შინ არ მყოფ შვილებს, გარდა ერთი ვაჟიშვილისა, ნაფტალისა, ამ დროს ტულაში რომ გადასახლდა და მისი მისამართი ჯერ არ ვიცოდით (ამჟამად ის ცხოვრობს ბერლინში.). ცხადია, გული მწყდებოდა, რომ ვაჟიშვილი ვერ დაესწრებოდა დედის დასაფლავებას. დიდად გავოცდი, როცა დასაფლავების დროს ხახლში შემოვიდა. შვილს ვკითხე, როგორ შეიტყო ამ უბედურების შესახებ, თუკი ჩვენ არ შევატყობინებია. მან გვიამბო:

1 მარტს, საღამოს 7 საათზე, იმ დღეს და იმ საათს; ზუსტად რომ ემთხვევა დედის სიკვდილის დღესა და საათს, ჩემს შვილს ტახტზე ეძინა, ქალაქ ტულაში, თავის ბინაში. მან ნახა, აგონიაში მყოფი დედა, ისიც ნახა, თუ როგორ ვიდექი მის გვერდით და გამწარებული ვუსრესდი ხელებს.

შვილი ადგა, სასწრაფოდ მოემზადა და რიგაში გამოემგზავრა. რათა დავრწმუნებულიყავი, მართლა იხილა თუ არა, რაც სინამდვილეში მოხდა, ტახტთან სულ სხვა ადგილი დავიკავე, მაშინ შვილმა ხელი მომკიდა, იმ ადგილას მიმიყვანა, სადაც იმ საღამოს ნამდვილად ვიდექი და მითხრა:

— შენ აქ იდექი და არა მანდ.

— ჰო.—ვუთხარი დაბნეულმა.

რიგა, 1928 წლის 11 იანვარი“

# ოთხი გვარითა და ორი პირით

იგი მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალ-მარტის თვეებში გამოჩნდა აფხაზეთში. ყოფილი პრეზიდენტის მომხრე-მომიტინგეთა შორის იდგა, უკაცრავად პასუხია და, ჩასუქებული დედალივით, გაფოფრილი, ჩაბიუვინებული და ყეყეჩური სიამაყით. რაღაც გაურკვეველ განკარგულებებს იძლეოდა, რამოდენიმეჯერ ტრიბუნაზედაც ავიდა და ფამილიარული, მძაღე, გულამაყუჩებელი სიტყვებით დამოძღვრა მომიტინგენი. კანტი-კუნტად გაისმოდა ტაში. ყოფილ პრეზიდენტს გადაჰკიოდა და აშკარად უჭერდა მხარს, თან აფხაზი ხალხის სახელით გამოდიოდა, აფხაზ ხალხს მფარველობდა და ჭირისუფლობდა, ჩემს ხალხს არავის დავაჩაგვრინებო.

გაზეთ „საქართველოს ცის ქვეშ“-ს აწერდა ხელს. ეს გაზეთი ჯერ თბილისში გამოდიოდა, გაზეთი კი არა, რაღაც გაზეთის მსგავსი, გასაცოდავებული, მწირი, მჭლე, არაპროფესიულ და მდარე პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული. სამაგიეროდ რედაქტორი გამოიყურებოდა ჩათქვირინებული და ჩასუქებული, ჩაპუტკუნებული და ჩაპუდრული. როგორც ჩანს, თბილისში ვერ მოიკიდა ფეხი თავისი გაზეთით და სოხუმში გადმობარგდა. აქ ნამდვილად გამოუჩნდა ქომაგნი, მეცენატნი და სპონსორები. აქ ხომ ყველა პროვოკატორს და მამაძაღლს ფართო გზა ეძლევა. ფულითაც მოამარაგეს, ქაღალდითაც და სტამბითაც, ეს მაშინ, როცა ჩვენს რედაქციას ერთ სტრიქონსაც არ უწყობენ სოხუმის არც ერთ სტამბაში, მისთვის და მისი გაზეთისათვის კი ყველა გზა გახსნილი გახდა. მანქანაც ემსახურებოდა, რასაკვირველია „გაზ-24“. ბინაც მისცეს და სავარძელიც. ორგვერდიან ფარატინა გაზეთს 5 მანეთად, ზოგჯერ 10-ადაც ცხვირში გვაჩრიდნენ; ნახეთ, პრეზიდენტის წერილია, პრეზიდენტის მიმართვაა აფხაზი და ქართველი ხალხისადმიო. ყოფილი პრეზიდენტი კარგა მარჯვე ანკესი გამოდგა ფულის მოხვეჭისათვის, პოლიტიკური ამბიციებისათვის და ყველა მამაძაღლობისა და საქმოსნობისათვის.

ყოველ მიტინგზე გაჰკიოდნენ, მიბრძანდით ჯიხურთან, შეიტანეთ ფული, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თბილი საცვლები, სურსათი, თბილისში მივდივართ, ცხენისწყლისპირად მივდივართ, მარანში, დიდი ხარჯებია, იარაღი უნდა ვიყიდოთ, დედაქალაქი უნდა ავიღოთ!.. და ანკესს წამოგებული საწყალი ხალხი ყველაფერს გასცემდა, გასცემდა თვით სიცოცხლეს... რაც უკანვე მიიღო თითქოსდა პრეზიდენტის მომხრე მზია კარლოს ასულ ჯიჯელავა-საფაროვა-შერვაშიძე-ჩაჩბამ.

ეს გვარი ესპანური წარმომავლობის არ გეგონოთ, ქართულ-სომხურ-აფხაზურ-აფსუური წარმომავლობისა. ცოტა აჭრილი და არეულ-დარეულია მისი პატრონივით, მაგრამ რას იზამ, როცა ჰირდებოდა ქალბატონ მზიას, ქართველი იყო, როცა შესაფერი მომენტი ჰქონდა — წაისომხებდა, და როცა, ბოლო დროს პოლიტიკური ალზევების პინა აფსუათა მხარეზე გადაიხარა, გააფხაზდა-გააფსუუვდა, შერვაშიძობას არ დაჯერდა და ჩაჩბობაც, მიიმატა ამ ზომაზე მეტად ტიტულოვანმა ქალბატონმა.

მოწოდებას მოწოდებაზე აცხობდა ეს ნილბოსანი ვაიჟურნალისტი, მიმართავდა ქართველ ხალხს, აფხაზ ხალხს, კავკასიის ხალხებს, რუს ხალხს და საერთოდ ყველა ხალხს, მიმართავდა თავისი, ტიტულოვანი მთავარი რედაქტორის სახელით, პრეზიდენტის სახელით, აფსუათა სახელით, მომიტინგეთა და მოშიმშილეთა სახელით, მდგომ თუ მჯდომარე პროტესტანტების სახელით და თავისივე გაზეთში პირველ გვერდზე, პირველ სვეტში და პირველ სტრიქონებად ბეჭდავდა.

ღმერთო ჩემო, ნუთუ, ღმერთო, სულ არ გაგაჩნია იუმორის გრძნობა და თუ გაგაჩნია, რატომ სიცილისაგან ცა ნამსხვრევებად არ აქციე?!. მე მგონი, კი, იცინოდა კი არა, ხარხარებდა ღმერთი, როცა ქალბატონ მზიას მოწოდების სტრიქონებს თვალს გადაავლებდა, მიტომაც ხშირი იყო ჭექა-ქუხილი აფხაზეთში იანვარ-თებერვალ-მარტში, რაც ასე იშვიათი და უჩვეულოა წლის ასეთ დროს.

ყოველ კვირას თუ არა, ყოველ ათ დღეში გროზნოში მიემგზავრებოდა, ქალბატონი მზია, თან სოლიდური ამალა ამშვენებდა, სეფე-ქალებითა, მაყრიონითა და დონ-ჟუანებით, დაფინანსება, რასაკვირველია, ზემოდან ხდებოდა. ქვემოდანაც არ აკლებდნენ პატივისცემას ზვიადისტები.

იქ შეხვედრები პრეზიდენტყოფილთან, საიდუმლო, პირისპირ, განცალკევებით. იქედან რა მითითება ჩამოჰქონდა, ეს მხოლოდ ორმა იცის — ქალბატონმა მზიამ და პრეზიდენტყოფილმა. ფაქტი ისაა, რომ აფხაზური ხელისუფლების უმაღლესი ელიტა განსაკუთრებით უფრთხილდებოდა ქალბატონ მზიას და მის გაზეთ—„საქართველოს ცის ქვეშ“ — ნიავს არ აკარებდნენ. ეტყობა აფხაზურ-სეპარატისტულ მოძრაობაში თავისი წილი ჰქონდა დაკისრებული მზევინარს (სიყვარულით ასე მიმართავენ ზოგჯერ) და მის გაზეთს.

ზვიადის მომხრე მომიტინგე-დემონსტრანტებმა ქალაქ სოხუმის ქართული თეატრის გარე ფასადიდან კონსტიტუციის მოედანზე გადაინაცვლეს, იქედან, როცა ხალხი შემოელიათ, სოხუმის საკათედრალო ეკლესიის ეზოში. აქ მჯდომარე პროტესტანტებს ქალბატონი მზეონა (ზოგჯერ ასედაც მიმართავენ სიყვარულითა და ფერებით) ჩაუდგა სათავეში. აბა, აფხაზეთის ლია ცის ქვეშ ხომ არ დაჯდებოდა „საქართველოს ცის ქვეშ“-ის მთავარი რედაქტორი ქალბატონი მზია და... სასწრაფოდ კარავი დასცეს, ტელევიზორი დაუდგეს, ისიც ფერადი. ახლა კავშირი ხომ უნდოდა გარე სამყაროსთან საერთაშორისო ხაზით და სასწრაფოდ, ციმციმ ტელეფონი მიართვეს იქვე, ცალკე უბრალო, ცალკე სამთავრობო.

აი, სადამდე შეუძლია ალამაღლოს ერთი პიროვნების სიყვარულმა და თაყვანისცემამ მეორე პიროვნება და ისიც ჯიჯელავა-საფაროვა-შერვაშიძე-ჩაჩბა.

ვინც მოისმინა საქართველოს ტელევიზიით გადაცემა პროგრამით „საღამო მშვიდობისა“ — რომელიც გროზნოში ჩატარებულ დიდ კავკასიურ ფორუმს— „კავკასიური სახლი — მრგვალი მაგიდა“-ს მიეძღვნა, ალბათ შეამჩნევდით, როგორ ჭრელი პეპელასავით დაფრინავდა ჩვენი ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი ქალბატონი მზია ზვიადიდან სოსლანბეკოვისაკენ, სოსლანბეკოვიდან შანიბოვისაკენ, შანიბოვიდან დუდაევისაკენ და ხან ვის და ხან ვის მიუჯდებოდა გვერდით და ყველა მათგანს ღიმილით აწყალობებდა. თან მთელ „მრგვალ მაგიდას“ წითელ ხაზად გასდევდა გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ“, უკვე სხვა დონით და სხვა ელფერით გამოცემული. ეტყობა, ამ გაზეთის გამოცემაში უკვე ბატონი ზვიადი ჩაება და ალბათ დუდაევიც.

უკვე ყველაფერი ცხადი გახდა. ზვიადის სახელით აფსუებს აფხაზეთი უნდა ვაჩუქოთ, იქნებ სამეგრელოც და თუ გადებილებულ გიორგი მარჯანიშვილს მიაპყრობთ ყურს — კახეთიც ცალკე სამეფო უნდა გახდეს, გურიაც და იმერეთიც და ა. შ. და ა. შ.

აი, რა ამოძრავებდა, რისთვის ილვწოდა „საქართველოს ცის ქვეშ“-ის მთავარი რედაქტორი და მისი თანამზრახველი ქალბატონი მზია აფხაზეთიდან.

მიტომაც ასე გაშალა მზია ჯიჯელავა-საფაროვა-შერვაშიძე-ჩაჩბას უნიჭობამ ფრთები აფხაზეთში და გროზნოს გადაუფრინა და ბოლოს იქვე დაიდო ბინა-სამყოფელი.

ახლა ალბათ შესაფერის ფინალს უნდა მოელოდეს ის პირი, რომელიც ოთხ გვარს ატარებს და ორი პირით მეტყველებს...

**დურუ ჩანჩიბაძე**




გამოდის თვეში ერთხელ

ინდექსი — 66481.

რედაქციის მისამართი: 384900, ქ. სოხუმი, ლენინის ქ. 19.

ტელეფონი: 2-82-72.

მთავარი რედაქტორი ჯანო ჯანელიძე

სარედაქციო კოლეგია: სალომე ზვიადაძე, გენო კალანდია, თემურ მიბჩუანი, მიტროპოლიტი დავითი, გურამ ოდიშარია, ფელიქს ტუებუჩავა, ვლადიმერ ჯოლოგუა.

პასუხისმგებელი მდივანი დათო ჩაჩიბაია